

თეონა ბექიშვილი

# მე და საზოგადოება

მე-3 და მე-4 კლასი

მშობლის დამხმარე რესურსი

გამომცემლობა სიდი  
2018

## სარჩევი

შესავალი .....	3
ბავშვთა უფლებები .....	6
ბავშვისა და მშობლის უფლებები და მოვალეობები სკოლაში .....	15
თანამედროვე მშობელი ახალი პრობლემების პირისპირ .....	20
ტოლერანტობა - როგორც თანამედროვე სამყაროში არსებობის აუცილებელი ფორმა.....	27
ბავშვის განვითარების სფეროები და ასაკობრივი თავისებურებები .....	29
ურთიერთობის სწორი და ეფექტური ფორმები, შეცდომები .....	33
გენდერული სტერეოტიპები ბავშვთა აღზრდის წინააღმდეგ .....	36
რატომ უნდა გავზარდოთ ბუნების დამცველი .....	39
ცხოველთა უფლებები. ....	47
მშობლები ძალადობის წინააღმდეგ - ბულინგი .....	55
ინტერნეტი მისი სარგებელი, რისკები, ინტერნეტბულინგი .....	61
მშობელი - მოქალაქე .....	69
რატომ და როგორ უნდა გავზარდოთ მკითხველი .....	74
როცა ბავშვები ავად არიან .....	81
დავით სარაჯიშვილი - მოქალაქე და ჩვენი, დღევანდელი მშობლების თაობის, მოქალაქეობრივი ამოცანა .....	82
გამოყენებული ლიტერატურის სია .....	88

## შესავალი

ამ სახელმძღვანელოს ძირითადი მიზანია დაეხმაროს მშობლებს ბავშვების აღზრდისა და ფორმირების საქმეში, მეტი ინფორმაცია მიაწოდოს მათ ახალი სასკოლო საგნის, „მე და საზოგადოების“ ირგვლივ, აუხსნას თანამედროვე მოქალაქის აღზრდის წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ, აღჭურვოს მშობელი საკუთარი შვილის თუ ზოგადად ბავშვთა უფლებების დასაცავად საჭირო ინფორმაციით.

საუკუნეების განმავლობაში ფიქრობდნენ ადამიანები, როგორ უნდა აღეზარდათ ბავშვები, რომ ისინი გამოდგომოდნენ ოჯახს, საზოგადოებას, თემს, ერს. ეს ნაფიქრი პრაქტიკაში გადადიოდა და ბუნებრივად, ზედმეტი ძალისხმევის გარეშე, თაობები ითვისებდნენ აღზრდის იმ ძირითად პრინციპებს, რომლებიც მათი საზოგადოების ფორმირებისათვის იყო საჭირო.

საზოგადოებაც, მისი მოთხოვნებიც თითქმის არ იცვლებოდა. საუკუნეების განმავლობაში საჭირო იყო აღეზარდა მამაკაცი, რომლის მოკლე, ლაკონიურ დახასიათებას ერთ ქართულ ხალხურ ლექსში ვხვდებით:

„ვაჟკაცსა გული რკინისა,  
აბჯარი თუნდა ხისაო,  
თვალნი ქორებულ მხედველნი,  
ზედ მუხლნი - შევარდნისაო!“  
და მორჩილი, მზრუნველი ქალი, რომელიც მამაკაცს მოემსახურებოდა და სამშობლოს ასეთ შვილებს აღუზრდიდა.

მეცხრამეტე საუკუნიდან ევროპაში დრო თითქოს ასწრაფდა. მანამდე არსებულმა განმანათლებლობამ მეცნიერების განვითარება გამოიწვია, მეცნიერებამ - ტექნიკური პროგრესი, ტექნიკურმა პროგრესმა - ინდუსტრიალიზაცია. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან და ოცდამეერთე საუკუნეში ადამიანთა ყოფა კიდევ უფრო სწრაფად შეცვალა ციფრულმა სამყარომ. შეიცვალა სახელმწიფოებრივი მოწყობებიც და უცებ აღმოჩნდა, რომ თანამედროვე მშობელი ბუნებრივად, საკუთარი მეხსიერებიდან და კულტურიდან გამომდინარე ვეღარ ფლობს აღზრდისთვის საჭირო ცოდნას.

მე საბჭოთა ბავშვი ვიყავი, ყველაზე მკაფიოდ 80-იანი წლების უძრაობის ხანა მახსოვს! ერთხელ დეიდამ იტალიიდან ყვითელი, ლურჯთავიანი საწერკალმები ჩამოგვიტანა. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ფერადი ნივთი, რომელიც მოსწავლეს მქონდა და თითქმის მთელმა სკოლამ იცოდა ჩემი საწერკალმის შესახებ!

თავისთავად ცხადია, დღევანდელი ბავშვების სინამდვილე სრულიად სხვაა.

მახსოვს, მეოთხე კლასში რომ გადავედით, დაიწყო საგანი „საბჭოთა კავშირის ისტორია!“ ეს იყო ყველაზე სქელტანიანი სახელმძღვანელო და იწყებოდა ასე: „ჩვენი სამშობლოა საბჭოთა კავშირი!“. მამამ დიდხანს სევდიანად ატრიალა ხელში ეს წიგნი და მერე დაიწყო მოყოლა, რომ ჩვენი სამშობლოა საქართველო, რომ სიტყვა არ წერია ამ წიგნში მართალი, მიყვებოდა თავისუფლებაზე, მის დაკარგვაზე, მნიშვნელობაზე, დაბრუნებაზე, რომ საბჭოთა კავშირი იმპერია იყო და როგორც ყველა იმპერია დაიშალა, ისიც დაიშლებოდა.

მერეც ხშირად მოგვისვამდა ხოლმე მე და ჩემს დას და გვესაუბრებოდა ამ თემებზე. ეს საუბრები ყველაზე თბილი და ინტიმური იყო ჩვენს ურთიერთობაში, რადგან რასაც მამა ჰყვებოდა, საკუთარ სახლშიც კი ჩუმად, ფრთხილი ტონით უნდა გეთქვა. ჩვენც ვიცოდით, რომ სახლის გარეთ არ უნდა გაგვეტანა.

თუკი საკუთარი თავი მშობლის როლში წარმომედგინა, ერთადერთი ხატი მედგა წინ: მეც მამასავით შვილებისთვის სამშობლოს სიყვარული უნდა მესწავლებინა, მისი ისტორია მომეყოლა, ისეთივე სითბოთი და გულანთებით ძელაპარაკა.

მოგვიანებით ორი შვილის დედა გავხდი, შესაბამის ასაკსაც მიაღწიეს, მაგრამ ჩემ მიერ ბავშვობაში წარმოდგენილი სცენები აღარ გამომადგა. თითქოს ენა დამეხა. ამასობაში, საბედნიეროდ, ძალიან ბევრი რამ მოხდა. ქვეყანა განთავისუფლდა, ის სიტყვები, მამა რომ ხმარობდა, ეროვნული მოძრაობისა და მძაფრი ნაციონალიზმის პირობებში გაცვდა და თითქოს შინაარსისგან დაიცალა. მივხვდი, ჩემს შვილებს ისევე ბუნებრივად უყვარდათ სამშობლო, როგორც ადამიანს უყვარს დედა და მამა. არსებული ქვეყნის სიყვარული დასწავლას აღარ საჭიროებდა. სამაგიეროდ, ძალიან განსავითარებელი იყო სამოქალაქო თვითშეგნება. უპირველესად შევეცადე თავად გავმხდარიყავი აქტიური მოქალაქე, თავად მეჩვენებინა მაგალითი. ზოგი რამ გამომივიდა, ზოგში, ახლა ვხვდები, გადავამლაშე, მაგრამ ერთი რამ ცხადი გახდა: დღეს პრიორიტეტულია ამ ქვეყნის შენების სურვილის გაღვივება, პასუხისმგებლობის აღების კულტურა, პირადი ინიციატივა...თუმცა იმდენად დიდი სხვაობაა ჩვენი და ჩვენი შვილების გამოცდილებებს შორის, ბევრი რამ ჭირს და თანამედროვე მშობლები, როგორც არასდროს, დახმარებას, სწავლებას ვსაჭიროებთ.

რამდენიმე წლის წინ ჩემმა 10 წლის ბიჭმა მითხრა, ნურასდროს ნუ მოგყავს მაგალითად შენი ბავშვობა, ჩემსას ნუ ადრი, არ გამოგადგება, რადგან შენ არ გქონდა კომპიუტერიო. მივხვდი, რომ მართალი იყო. ჩვენც და ჩვენი შვილებიც სრულიად სხვაგვარი გამოწვევების წინაშე დავდექით. ჩემმა 10 წლის ბიჭმა მაშინ არ იცოდა, რომ კომპიუტერთან ერთად უზარმაზარი განსხვავება მის და ჩემს გამოცდილებას შორის იმანაც გააჩინა, რომ მე საბჭოთა ბავშვი ვიყავი. მართალია, მამა მიყვებოდა საბჭოთა სტრუქტურების სიმახინჯეზე და შეძლებისდაგვარად ცდილობდა თავისუფალი აზროვნების საშუალება მოეცა, მაგრამ მთელი საგანმანათლებლო სტრუქტურა და სახელმწიფოებრივი მოწყობა მორჩილ, ინიციატივის უქონელ

უმრავლესობად გვზრდიდა. ჩვენი შვილები თავისუფალი ქვეყნის მოქალაქეები არიან, მათ ამ საზოგადოების ფორმირებისთვის მოუწევთ ბრძოლა. თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფო სრულიად სხვაგვარი მოთხოვნების წინაშე გვაყენებს მშობლებს. ყველასთვის ცნობილი ქართული ხალხური სიბრძნე, „შვილი მტრად აღზარდე და მოყვარედ გამოგადგებაო“, აღარ არის სწორი. მტრად გაზრდილი მტრად გამოგადგება, რადგან მოქალაქის ძირითადი ფუნქცია აღარ არის ხმლის ქნევა და ბავშვობაში დაგროვილი აგრესია ბრძოლებში აღარ განიმუხტება. თუმცა ბევრი რამაა ქართული ტრადიციიდან, რაც დღევანდელი მდგომარეობისთვისაც აქტუალური და მისაღებია. ქართველი ყოველთვის ხვდებოდა - „ის ურჩვენია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა!“. ეს მიდგომა მას უბიძგებდა მიეღო სიახლე, განვითარებულიყო, მამის ავტორიტარული, შეურყვნელი ხატით ხელი არ შეეშალა შვილისა და საზოგადოების განვითარებისათვის.

ქართველთა უპირველესი წიგნი „ვეფხისტყაოსანიც“ ხომ ამაზე ყველა, როგორც ჯობნიან შვილები მამებს, რამდენად უკეთესები და ჭეშმარიტების მოყვარულნი არიან, ამაზე ყველა მეცხრამეტე საუკუნეც, თავისი ცნობილი ბრძოლით მამებისა და შვილების თაობებს შორის და ჩვენც, ოცდამეერთე საუკუნეში, გვევალება, ჩვენზე უკეთესი მოქალაქეები აღზარდოთ, რომლებსაც, როგორც ილია იტყოდა, „დროის შესაფერისი“ ცოდნა და უნარები ექნებათ.

## ბავშვთა უფლებები

სანამ ბავშვთა აღზრდაზე, მათ მოქალაქეებად ჩამოყალიბებაზე დავიწყებთ ზრუნვას, უნდა გავეცნოთ ბავშვთა უფლებების კონვენციას, რომელსაც ამ საგნის, „მე და საზოგადოების“, ფარგლებში ჩვენი შვილებიც შეისწავლიან.

ბავშვთა უფლებები მათი დაბადებისთანავე იწყება. ის, რომ ბავშვები დაცული იყვნენ სხვადასხვაგვარი ძალადობისგან და ოჯახი, მშობლები, სახელმწიფო ზრუნავდეს მათს კეთილდღეობაზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია.

საქართველოს კანონმდებლობასთან ერთად ბავშვთა უფლებებს იცავს ბავშვთა უფლებების კონვენცია, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1989 წლის 20 ნოემბერს მიიღო. ამ კონვენციას ხელს აწერს მსოფლიოს 194 ქვეყანა, მათ შორის, საქართველოც, რომელიც მას 2014 წელს მიუერთდა. სახელმწიფოს მიერ გაეროს ბავშვთა კონვენციაზე ხელის მოწერა ნიშნავს, რომ ქვეყანა იღებს ვალდებულებებს, იბრძოდეს კონვენციაში გაწერილი ბავშვთა უფლებების დასაცავად.

ბავშვთა უფლებების კონვენცია 54 მუხლისგან შედგება. მათ შორის 1-42 მუხლი ბავშვთა უფლებების დაცვას ეხება, ხოლო 43- 54 მუხლები კონვენციაზე ხელისმომწერ სახელმწიფოთა უფლება-მოვალეობებს აწესრიგებს.

ქვემოთ გთავაზობთ ბავშვის უფლებათა საბავშვო გამოცემას, რომლის გამარტივება-ადაპტაციაზე ქართველი ბავშვები მუშაობდნენ.

### ბავშვის უფლებების კონვენცია

**მუხლი 1** ყველა ადამიანი, ვისაც ჯერ არ შესრულებია 18 წელი, ითვლება ბავშვად.

**მუხლი 2** სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ყველა ბავშვის უფლება - რელიგიის, ეროვნების, კანის ფერისა და სხვა განსხვავებების მიუხედავად.

**მუხლი 3** ყველა მოქმედების დროს, რომელიც ბავშვს ეხება, დაცული უნდა იყოს მისი ინტერესები. სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს ბავშვის ინტერესების დაცვაზე.

**მუხლი 4** სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს ბავშვის უფლებების დასაცავად.

**მუხლი 5** სახელმწიფო ვალდებულია, პატივი სცეს ყველა იმ ადამიანის უფლებას, რომელიც ბავშვის აღზრდაში მონაწილეობს.

**მუხლი 6** ყველა ბავშვს აქვს სიცოცხლის უფლება და სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს ბავშვის განვითარებაზე.

**მუხლი 7** ბავშვს დაბადებიდანვე აქვს უფლება ჰქონდეს სახელი, გვარი და მოქალაქეობა. ასევე უფლება აქვს იზრდებოდეს მშობლების გარემოცვაში.

**მუხლი 8** სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას და, საჭიროების შემთხვევაში, აღადგინოს ბავშვის პიროვნულობის გამომხატველი ძირითადი ნიშნები: სახელი, მოქალაქეობა და ოჯახური კავშირები.

**მუხლი 9** ბავშვს უფლება აქვს იცხოვროს მშობელთან ერთად, და მშობლების განცალკევების შემთხვევაში, ურთიერთობა ჰქონდეს მათთან, თუ ეს არ არის მისთვის საზიანო.

**მუხლი 10** ბავშვებსა და მშობლებს ყოველთვის შეუძლიათ დატოვონ და დაუბრუნდნენ საკუთარ ქვეყანას, რათა ერთ ოჯახად იცხოვრონ.

**მუხლი 11** სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას ქვეყნიდან ბავშვების არალეგალური გაყვანა.

**მუხლი 12** ბავშვს შეუძლია, გამოთქვას აზრი ისეთ საკითხებზე, რომლებიც მას ეხება.

**მუხლი 13** ბავშვს აქვს აზრის გამოხატვისა და გაზიარების უფლება, თუ ეს ინფორმაცია არ არის მისთვის ან სხვისთვის საზიანო.

**მუხლი 14** სახელმწიფომ უნდა დაიცვას ბავშვის აზრისა და რწმენის თავისუფლება და პატივი სცეს მას.

**მუხლი 15** ბავშვს აქვს პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.

**მუხლი 16** ბავშვს აქვს უფლება მიიღოს ინფორმაცია მედიის საშუალებით, სახელმწიფომ კი მხარი უნდა დაუჭიროს მედიას ბავშვისთვის სასარგებლო ინფორმაციის გავრცელებაში.

**მუხლი 17** მშობლები ვალდებული არიან ბავშვის აღზრდაზე იზრუნონ და თუ ისინი მუშაობენ და დაკავებულები არიან, სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს მათ.

**მუხლი 18** სახელმწიფომ უნდა დაიცვას ბავშვი მშობლის, მეურვის, ან ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ძალადობისგან.

**მუხლი 19** სახელმწიფო ვალდებულია დაეხმაროს მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს და შეუქმნას მათ ოჯახური გარემო.

**მუხლი 20** ბავშვის გაშვილება უნდა მოხდეს სახელმწიფო დაწესებულებების მიერ, ბავშვის ინტერესის გათვალისწინებით.

**მუხლი 21** უპირატესობა ენიჭება სამშობლოში გაშვილებას, თუმცა შესაძლებელია საზღვარგარეთ გაშვილებაც, თუ ეს ბავშვის ინტერესებშია.

**მუხლი 22** სახელმწიფომ განსაკუთრებულად უნდა იზრუნოს ლტოლვილ ან ლტოლვილობის სტატუსის მოსურნე ბავშვზე, და საჭიროების შემთხვევაში, დაეხმაროს მას მშობლების მოძებნაში.

**მუხლი 23** შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვს უფლება აქვს, მიიღოს სპეციალური განათლება, რათა შეძლოს ღირსეულად ცხოვრება, ასეთ ბავშვზე სახელმწიფო განსაკუთრებულად უნდა ზრუნავდეს.

**მუხლი 24** ბავშვს აქვს უფლება სარგებლობდეს ხარისხიანი სამედიცინო დახმარებით, სუფთა წყლით, ჰქონდეს სრულფასოვანი კვება და უსაფრთხო გარემო, რათა ჯანმრთელობა შეინარჩუნოს. სახელმწიფო ვალდებულია შეამციროს ბავშვთა სიკვდილიანობა. მდიდარი ქვეყნები უნდა ეხმარებოდნენ ღარიბ ქვეყნებს იმაში, რომ ყველა ბავშვი ჯანმრთელი იყოს.

**მუხლი 25** სახელმწიფო ხშირად უნდა ამოწმებდეს იმ ბავშვის მდგომარეობას, რომელსაც მეურვე ზრდის.

**მუხლი 26** სახელმწიფო უნდა დაეხმაროს იმ ბავშვსა და ოჯახებს, რომელთაც ეს სჭირდებათ.

**მუხლი 27** ყველა ბავშვს აქვს უფლება იცხოვროს ისეთ პირობებში, რომელიც აუცილებელია მისი განვითარებისთვის. მშობლები ვალდებული არიან შეუქმნან შვილებს ცხოვრების ნორმალური დონე, სახელმწიფო კი ვალდებულია, დაეხმაროს მათ ამაში.

**მუხლი 28** ბავშვს უფლება და ვალდებულება აქვს უფასოდ მიიღოს დაწყებითი განათლება. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საშუალო და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა. დისციპლინის მოთხოვნა სკოლაში უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის ღირსებასა და ინტერესებს. მდიდარი ქვეყნები უნდა ეხმარებოდნენ ღარიბ ქვეყნებს იმაში, რომ ყველამ მიიღოს განათლება.

**მუხლი 29.** განათლება მიმართული უნდა იყოს ბავშვის გონებრივი და ფიზიკური განვითარებისკენ. სკოლამ უნდა მოამზადოს ბავშვი სრულფასოვანი ცხოვრებისთვის, ასწავლოს მშობლების, თავისი და სხვა ქვეყნების კულტურისა და რელიგიის პატივისცემა.

**მუხლი 30** სხვადასხვა ეროვნების ბავშვებს აქვთ უფლება, მშობლიურ ენაზე ილაპარაკონ და იცხოვრონ თავიანთი კულტურის შესაბამისად.

**მუხლი 31** ბავშვს აქვს დასვენების, თამაშის, კულტურულ და გასართობ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების უფლება.

**მუხლი 32** სახელმწიფომ უნდა დაიცვას ბავშვი ისეთი სამუშაოს შესრულებისგან, რომელიც მისთვის საზიანოა.



**მუხლი 33** ბავშვს უფლება აქვს, დაცული იყოს ნარკოტიკის მიღებისა და გავრცელებისგან.

**მუხლი 34** სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ბავშვი სექსუალური ძალადობისგან.

**მუხლი 35** სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას ბავშვის მოტაცება ან გაყიდვა.

**მუხლი 36** სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ბავშვი ნებისმიერი იძულებითი ქმედებისგან, რაც საზიანოა მისი განვითარებისთვის.

**მუხლი 37** 18 წლამდე ასაკის მოზარდს არ შეიძლება დანაშაულისთვის შეეფარდოს სიკვდილით დასჯა ან სამუდამო პატიმრობა. და ყველა ბავშვი დაცული უნდა იყოს წამებისა და უკანონო დაკავებისგან. დაკავების შემთხვევაში ბავშვს უნდა ჰქონდეს კავშირი ოჯახთან და მას პატივისცემით უნდა ეპყრობოდნენ.

**მუხლი 38** 15 წლამდე ასაკის ბავშვები არ უნდა იყვნენ სამხედრო სამსახურში. სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს ბავშვებზე, რომლებიც საომარ ზონაში ცხოვრობენ.

**მუხლი 39** სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ბავშვის მკურნალობა, თუ იგი დაზარალდა შეიარაღებული კონფლიქტის, წამების ან სასტიკი მოპყრობის დროს და იზრუნოს იმისთვის, რომ ჩამოყალიბდეს საზოგადოების ნორმალურ წევრად.

**მუხლი 40** ბავშვმა, რომელმაც კანონი დაარღვია, უნდა მიიღოს სამართლებრივი და სხვა სახის დახმარება. მისი დაპატიმრება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა მოხდეს.

**მუხლი 41** თუ სახელმწიფოში მოქმედი კანონები უკეთესად იცავს ბავშვს, ვიდრე ეს კონვენცია, მაშინ სახელმწიფოში მოქმედ კანონებს უპირატესობა ენიჭება.

**მუხლი 42** სახელმწიფომ ეს კონვენცია უნდა გააცნოს ყველა ბავშვსა და მშობელს.

თითოეული თქვენგანი ბავშვთა უფლებების კონვენციის გადახედვისას დასვამს ლეგიტიმურ კითხვას: თუკი საქართველო მიერთებულია მსგავს კონვენციას, რატომ ირღვევა ბავშვთა უფლებები და რატომ ვერ ზრუნავს სახელმწიფო ყოველთვის მათ დასაცავად?!

ყველა ჩვენგანისთვის ცნობილია, რომ სამწუხაროდ, მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ ისევ ფუნქციონირებს დიდი ზომის ბავშვთა სახლები, რომელთა არსებობა დაუშვებელია. ეროვნების მიუხედავად, ერთნაირად ვერ ზრუნავს სახელმწიფო ბავშვებზე. ქალაქებში ბლომდაა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა ბავშვები, რომლებიც ქუჩაში მათხოვრობენ, ხშირად არიან ტრეფიკინგის მსხვერპლნი, მოიხმარენ სხვადასხვა ნარკოტიკს და ა. შ. მათთან გამკლავება, კულტურული თავისებურებებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს უჭირს.

ასეთ ბავშვებს ხშირად არა აქვთ არც პირადობა, არც მოქალაქეობა, მათი ასაკის დადგენა სამედიცინო კვლევითაც კი ჭირს, რადგან ქუჩის პირობებში სხვანაირად ვითარდება მათი ძვლოვანი სისტემა.

ბავშვთა უფლებების კონვენციაში აღწერილი მუხლები საზოგადოებისგან, ანუ ჩვენგანაც ხშირად ირღვევა.

მიუხედავად პრობლემებისა, სახელმწიფო ზრუნავს და სიტუაციაც უმჯობესდება. ჩვენი, მოქალაქეების ვალიცაა ვიზრუნოთ ბავშვთა უფლებებზე, დავეხმაროთ ქვეყანას, ბავშვებთან მიმართებაში კანონის დარღვევისას მივმართოთ შესაბამის ორგანოებს. ეს ბიძგს მოგვცემს არა მხოლოდ ზოგადად სიტუაციის გასაუმჯობესებლად, არამედ დავეხმარება, რომ გავზარდოთ აქტიური, თამამი, ქმედითი მოქალაქე.

ჩვენი ბავშვთა უფლებების დაცვაში მონაწილეობით, ჩაგრული არასრულწლოვანების მხარში დგომითა და პატარების მიმართ სხვადასხვა სოციალური აქტივობით მივცემთ მაგალითს შვილებს. ამით ჩვენ ორმაგ საქმეს გავაკეთებთ.

ერთი მხრივ, მათ ეცოდინებათ, რომ ჩაგვრის, ძალადობის შემთხვევაში, შეუძლიათ ჰქონდეთ ჩვენი იმედი, და,

მეორე მხრივ, სამომავლოდ იმავს გააკეთებენ, რადგან ადამიანის ქცევათა დაახლოებით ნახევარი დასწავლილია.

გარდა ამისა, თუკი ჩვენ შევესწარით ტრეფიკინგის ფაქტს, როდესაც ბავშვი, ვთქვათ, რომელიმე გზაჯვარედინზე უფროსის ფარული მეთვალყურეობის ქვეშ მათხოვრობდა, გადავდეთ ჩვენი პირადი საქმეები, მოვეფარეთ თვალს (რადგან ვიცოდით, რომ სოციალური მუშაკის გარდა ბავშვისთვის ხელის მოკიდების უფლება არავის აქვს (მათ შორის არც პატრულს) და გამოვიძახეთ პატრულიცა და სოციალური მუშაკიც, ანუ სახელმწიფოს მივაწვდინეთ ხმა ბავშვთა უფლებების დარღვევის შესახებ, ჩვენი შვილები, გინდაც ფაქტს არ შეესწრონ, სადამოს ოჯახში მოისმენენ, რომ დედამ ან მამამ გადადო საკუთარი საქმე, საზოგადოებრივი დააყენა პირადზე მაღლა, დაიცვა სუსტის, ბავშვის უფლება, იყო ინფორმირებული, იცოდა, როგორ მოქცეულიყო, ენდობოდა სახელმწიფო სტრუქტურებს.

გარდა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ამალგებისა, მსგავსი ქმედებები ჩვენ შეგვიქმნის შვილების თვალში ავტორიტეტს და წახალისებით, პირადი მაგალითით, სწორად, უმტკივნეულოდ, კონსტრუქციულად გავზრდით ჩვენს შვილებს.

თუმცა იმისთვის, რომ საკუთარი თუ სხვისი შვილები დავიცვათ ძალადობისაგან, კარგად უნდა ვიცნობდეთ ძალადობის ფორმებს, უკეთ ვიცოდეთ კანონი, მათ შორის ჩვენი პასუხისმგებლობებიც.

სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ჩვენ, მშობლები, ვართ პასუხისმგებელი ვიზრუნოთ შვილების კეთილდღეობაზე, მაშინაც კი, თუკი მშობლები დაშორდნენ და შექმნეს ცალკე ოჯახი, თითოეულს შემოსავლის არსებობის შემთხვევაში ევალება ბავშვზე მატერიალური ზრუნვა და უარი ითვლება ძალადობის ფორმად.

საზოგადოების, ბალის, სკოლის, საავადმყოფოსა თუ უბრალოდ მესამე პირთან მიმართებაში მშობლები ავტომატურად ვართ შვილების წარმომადგენლები და ამისათვის არ გვჭირდება სპეციალური ნებართვა. მშობლებს გვაქვს უფლება, არ გამოგვიყენონ შვილების საზიანოდ, თუნდაც სასამართლო სისტემაში.

საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლების შესახებ ძალადობის რამდენიმე ტიპს გამოყოფს!

პირველი ესაა **ფიზიკური ძალადობა**. ფიზიკური ძალადობაა: ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ან რაიმე ტიპის ქმედება, რაც იწვევს ფიზიკურ ტკივილს, ტანჯვას; ან ჯანმრთელობის მდგომარეობის უგულვებელყოფა, რომელმაც ჯანმრთელობის გაუარესება ან სიკვდილი შეიძლება გამოიწვიოს.

ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი ბავშვი რომ ამოვიცნოთ, საჭიროა ვიყოთ ყურადღებით:

1. თუკი ბავშვი ვერ გვიხსნის, სად და როდის მიიღო ტრავმა;
2. თუკი მის მიერ მოყოლილი ვერსიები განსხვავდება ერთმანეთისგან;
3. თუკი მისი ფიზიკური დაზიანება არ გეჩვენებათ შესაბამისად იმასთან, რასაც ბავშვი ჰყვება;
4. თუკი ბავშვი უფრო ხის შეხებას;
5. იძაბება ადამიანების მიახლოებისას;
6. ადამიანის მიახლოებისას თავზე იფარებს ხელს;
7. იმპულსურია;
8. ზედმეტად დამჯერია;
9. ავლენს აგრესიულ ქცევას.

**ფსიქოლოგიური ძალადობა**: შეურაცხყოფა, შანტაჟი, მუქარა, დაშინება ან რაიმე ტიპის ღირსების შემლახველი ქმედება.

ფსიქოლოგიური ძალადობა ყველაზე გავრცელებული ფორმაა და ის ხშირად თან ახლავს ძალადობის სხვა ფორმებს.

ფსიქოლოგიური ძალადობის ამოცნობა უფრო რთულია, ვიდრე - ფიზიკურის, რადგან იგი არ ტოვებს თვალხილულ კვალს. თუმცა ფსიქოლოგიური ძალადობაც აზიანებს მსხვერპლის არა მხოლოდ ფსიქო-ემოციურ და კოგნიტურ უნარებს,

არამედ ჯანმრთელობასაც. ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ მყოფთ შეიძლება ახასიათებდეთ:

1. მეტყველების დეფექტი;
2. ხშირი გულისრევა;
3. გულყრა, რომლისთვისაც არ გვაქვს სამედიცინო ახსნა;
4. შარდის შეუკავებლობა;
5. მუდმივი უხასიათობა;
6. დაბალი თვითშეფასება;
7. მარტოობისკენ სწრაფვა;
8. ზედმეტი და არაჯანსაღი მიჯაჭვულობა უფროსთან;
9. საზოგადოებისთვის მიუღებელი ქცევა;
10. ზედმეტად ინფანტილურობა;
11. მისი ქცევები ასაკთან შეუფერებელია, თამაშობს გაცილებით დიდის როლს და ა. შ.

**სექსუალური ძალადობა** ბავშვზე ძალადობის ერთ-ერთი უმძიმესი ფორმაა, რადგან მის დროს ირღვევა სხეულის საზღვრები და ამავდროულად ბავშვს ადგება უზარმაზარი ფსიქიკური ტრავმა.

სექსუალურ ძალადობად ითვლება ბავშვის გამოყენება სექსუალური ძალადობის დასაკმაყოფილებლად ან გამორჩენის მიზნით. ეს მოიცავს: სექსუალური ხასიათის საუბარს, გარყვნილი სიტყვებით ალერსს, პორნოგრაფიულ ფოტო ან ვიდეო გადაღებას, სექსუალური ხასიათის ალერსს, ბავშვის ჩართვას სხეულით ვაჭრობაში, გაუპატიურებას ან მის მცდელობას, სისხლის აღრევას და სხვა.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი რომ ამოვიცნოთ, დავაკვირდეთ:

1. ის ხშირად აგრესიულია რომელიმე სქესის მიმართ;
2. აგრესიულად თამაშობს რომელიმე სქესის (თავისი ან საპირისპირო) როლებს;
3. გამოხატავს ზიზღს, სიმულვილს საკუთარი სხეულის მიმართ;
4. ბავშვები თითქმის რასდროს იტყუებიან სექსუალური ძალადობის შესახებ, თუმცა მათი მონათხრობი იმდენად საშინელი ჩანს, მათ ხშირად არ უჯერებენ.
5. ეშინია დამინების;
6. ეშინია კონკრეტული ადგილების;
7. ასაკისთვის შეუფერებელი სექსუალური ცოდნა აქვს.

**უფულებელყოფა**, როდესაც ბავშვის ფსიქო-ემოციური და ფიზიკური მოთხოვნები დაუკმაყოფილებელია მისი მშობლის ან მეურვის მხრიდან. ძალადობის ამ ფორმას ახასიათებს:

1. ბავშვი მუდმივად მშვიერია;
2. არ აცვია სეზონის შესაფერისად;
3. ამკარაა სანიტარული ნორმების უქონლობა;
4. ავადობის შემთხვევაში არ მიმართავენ ექიმს;
5. ძალიან არარეგულარულად დადის სკოლასა ან ბაღში;
6. მუდმივად დაღლილია;
7. ინფანტილურია...

თავისთავად ცხადია, ბავშვზე ძალადობა ისჯება კანონით.

## **შედეგები**

ბავშვს ძალადობა ყოველთვის აჩნევს კვალს. ასეთ მოზარდებს ძალიან დაბალი თვითშეფასება აქვთ, უუარესდებათ ჯანმრთელობის მდგომარეობა, დაბალი აქვთ სოციალური უნარები, უჭირთ ურთიერთობა, სწავლა. ძალადობის მსხვერპლი ბავშვები თვლიან, რომ იმსახურებენ ძალადობას, არ არიან საჭირონი. ძალადობის აღკვეთის შემდეგ მნიშვნელოვანია თერაპია, ან განსაკუთრებული მხარდაჭერა, რათა მათ მოზრდილობაში ან მაშინვე არ გაიმეორონ ძალადობრივი ქცევა. განუვითარდეთ ის უნარები, რომლებიც ძალადობის გამო შესუსტდა.

## **რისკები და დამცავი ფაქტორები**

არსებობს ფაქტორები, რომლებიც ზრდიან ბავშვზე ძალადობის რისკს და ფაქტორები, რომლებიც პირიქით, იცავენ ბავშვებს ძალადობისაგან.

უპირველესი **დამცავი ფაქტორი** სწორედ პირადი მაგალითის მიმცემი, წამახალისებელი მშობელია, რომელიც ფლობს საკმარის ცოდნას ბავშვის განვითარებისა და თავისებურებების, ასევე აღზრდის თანამედროვე მეთოდების შესახებ. ის თავისი ავტორიტეტით (და არა ავტორიტარული მიდგომით) ზრდის თანამედროვე, აქტიურ, წარმატებულ მოქალაქეს. ასეთივე დამცავი ფაქტორი შეიძლება იყოს მეგობარი, მეზობელი, სოციალურად აქტიური და პოზიტიური სანათესაო წრე, თუ საგანმანათლებლო დაწესებულება. ამდენად, თითოეულ ჩვენგანს შეიძლება გადაამწყვეტი როლი მიენიჭოს რომელიმე ბავშვის გადარჩენის საქმეში.

**რისკფაქტორებია** არასაკმარისი საკანონმდებლო ბაზა, როდესაც სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ბავშვთა უფლებების დაცვას, მძიმე სოციალური პირობები, სიმდიდრე, რომელიც ხანდახან ფსიქო-ემოციური უგულვებელყოფის მიზეზი ხდება, საზოგადოებაში სამუშაო ადგილების უქონლობა, კულტურული თავისებურებები, როდესაც ამა თუ იმ თემში ნორმად მიღებულია ბავშვზე ძალადობა. მშობლების ზედმეტად ახალგაზრდული ასაკი, ალკოჰოლიზმი, ნარკოტიკებზე ხელმისაწვდომობა, კრიმინალური გარემო, ბავშვთა აღზრდისა და თავისებურებების უცოდინრობა.

თითოეული ჩვენგანის ვალია, გავაცნოთ ბავშვებს თავიანთი უფლებები, თავად არ ვიძალადოთ ბავშვებზე. ყველა საჭირო თუ საეჭვო შემთხვევაში მივმართოთ სახელმწიფო სტრუქტურებს. ვასწავლოთ შვილებს საჭირო დროს ეფექტური დახმარების თხოვნა, განვუმტკიცოთ შესაბამისი სამსახურების ნდობა, ვასწავლოთ სიფრთხილე და განვუმტკიცოთ დადებითი მიჯაჭვულობა, როდესაც ბავშვი მოქმედებს დამოუკიდებლად, მას ენდობიან, პატივს სცემენ, ჭკუას ეკითხებიან, გადაწყვეტილებებს ანდობენ, თუმცა იცის, რომ საჭირო შემთხვევაში მშობელი, მასწავლებელი, მანდატური თუ პატრული მას ყოველთვის გაუწვდის დახმარების ხელს და შეასრულებს ყავარჯნის ფუნქციას!

## ბავშვისა და მშობლის უფლებები და მოვალეობები სკოლაში

ბავშვისა და მშობლის უფლებები და მოვალეობები ცალკე გაწერილი არაა რომელიმე კანონში, თუმცა მას არეგულირებს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, საქართველოს კონსტიტუცია, ბავშვთა უფლებების კონვენცია, ასევე სკოლის შინაგანაწესი, რომელიც სკოლის დირექციამ უნდა გაგაცნოთ.

მოსწავლეს შეუძლია თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე ისარგებლოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა უფლებით. სკოლას კი შეუძლია დაადგინოს მოსწავლის უფლებების არადისკრიმინაციული და ნეიტრალური შეზღუდვის წესები კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლის უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს გონივრული, პროპორციული, მინიმალური და უნდა განხორცილდეს მხოლოდ დადგენილი წესის საფუძველზე. დაუშვებელია მოსწავლის უფლებების იმგვარი შეზღუდვა, რომელიც არსებითად მათი გაუქმების ტოლფასია. მაგალითად თუკი შინაგანაწესში დისციპლინური დევნის ფორმად გაწერილი გვაქვს 3 დღით ბავშვის სკოლაში არდაშვება, მაშინ სკოლამ დაბრუნებულ ბავშვს უნდა აუნაზღაუროს გაცდენილი საათები. თავისთავად ცხადია, სკოლას არ აქვს უფლება, ვთქვათ 1 თვით გაუუქმოს მოსწავლეს თავისი უფლებები, რადგან ის ძნელად შეძლებს დაკარგულის ანაზღაურებას!

### ზოგადი განათლების მიღების უფლება

ყველას აქვს სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება იმ მიზნით, რომ განივითაროს პიროვნება და შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობებისთვის.

განსაკუთრებული რეგულირება არის გათვალისწინებული სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის. მათთვის უნდა შეიქმნას ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ასევე შეიძლება შეიქმნას დამატებითი სასწავლო პროგრამა, რომლის საფუძველზეც ხორციელდება სწავლება, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია. ამ შემთხვევაში, მოსწავლის დაფინანსება უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ. **ინკლუზიური** განათლების დროს სკოლაში უნდა შეიქმნას სპეციალური გუნდი, რომელიც თვალ-ყურს მიადევნებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელებას.

პირს აქვს უფლება, ზოგადი განათლება **ექსტერნატის** ფორმით მიიღოს. ექსტერნს შეუძლია მიიღოს ატესტატი, თუ ის დაძლევეს ეროვნული სასწავლო გეგმის მიღწევის დონეს და წარმატებით ჩააბარებს სკოლის გამოსაშვებ გამოცდებს. სკოლას ეკისრება ვალდებულება უზრუნველყოს მოსწავლის ცოდნის **სამართლიანი შეფასება**. მნიშვნელოვანია, რომ კანონით აკრძალულია მოსწავლის აკადემიური შეფასება განპირობებული იყოს მისი დისციპლინით.

სკოლას ასევე ეკისრება ვალდებულება შექმნას ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის **უსაფრთხო გარემო**.

ამასთან, ზოგადი განათლების მიღების უფლება უზრუნველყოფილია იმ შემთხვევაშიც, თუ მოსწავლე გაირიცხება სკოლიდან. მას აქვს უფლება, სწავლა განაგრძოს სხვა სკოლაში. გარდა ამისა, მოსწავლე უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გადავიდეს სხვა სკოლაში.

### **საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ცოდნის უფლება**

სკოლა ვალდებულია ყოველ ახალ მოსწავლეს და მის მშობელს გააცნოს მისი უფლებები და თავისუფლებები. მოსწავლეს აქვს უფლება, მიიღოს ინფორმაცია მისი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე მათი შეზღუდვის საფუძვლების შესახებ. სკოლას ეკისრება ვალდებულება, მოსწავლეს და მის მშობელს განუმარტოს უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის საფუძვლები.

### **სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლება**

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი მოსწავლეს ანიჭებს უფლებას, პირადად ან არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით მიიღოს მონაწილეობა სკოლის მართვაში.

### **გასაჩივრების უფლება**

მოსწავლეს თავისი უფლებების დაცვის მიზნით შეუძლია, გაასაჩივროს მასწავლებლისა და სკოლის უკანონო გადაწყვეტილებები ან ქმედებები და მოითხოვოს მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება. აღნიშნული უფლების განხორციელების მიზნით, სკოლას ეკისრება ვალდებულება შექმნას საჩივრების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის საშუალება.



## **ნეიტრალურობის პრინციპი და დისკრიმინაციის დაუშვებლობა**

სკოლაში არ შეიძლება სასწავლო პროცესის პოლიტიზება. აკრძალულია სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენება. დისკრიმინაცია აკრძალულია. დაუშვებელია სკოლამ ისე გამოიყენოს საკუთარი უფლებები და რესურსები, რამაც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად გამოიწვიოს მოსწავლის დისკრიმინაცია. დისკრიმინაციად ითვლება ნებისმიერი განმასხვავებელი ქმედება ან გამონაკლისის დაშვება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ქმედება ან გამონაკლისი სამართლიანი და გონივრულია და ემსახურება თითოეული პირისა და ჯგუფის თავისუფალი განვითარებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას.

სკოლა ვალდებულია დაიცვას და ხელი შეუწყოს მოსწავლეებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას. სკოლამ უნდა დაიცვას უმცირესობების წევრების უფლება, თავისუფლად ისარგებლონ მშობლიური ენით, შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული კუთვნილება.

## **გამოხატვის თავისუფლება**

მოსწავლეს აქვს უფლება მოიძიოს, მიიღოს, შექმნას, შეინახოს, დაამუშავოს ან გაავრცელოს ნებისმიერი ინფორმაცია და იდეები, აგრეთვე გამოიყენოს სკოლის რესურსები. მოსწავლეს უფლება აქვს გამოხატოს საკუთარი აზრი. არ შეიძლება სასკოლო გამოცემათა სარედაქციო დამოუკიდებლობის ხელყოფა და სასკოლო ბიბლიოთეკის ცენზურა. თუმცა, ეს არ ზღუდავს სკოლის უფლებას დააწესოს არადისკრიმინაციული და ნეიტრალური შეზღუდვები იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს არასრულწლოვანთა დაცვა ასაკისთვის შეუსაბამო ლიტერატურისაგან.

სკოლას აქვს უფლება შემოიღოს **სასკოლო ფორმა**. თუმცა, ამით არ უნდა შეიზღუდოს მოსწავლის გამოხატვის თავისუფლება. მოსწავლეს აქვს უფლება, უარი თქვას სასკოლო ფორმის ტარებაზე. უარი უნდა იყოს დასაბუთებული. სკოლას ეკისრება ვალდებულება, გაითვალისწინოს მოსწავლის ფინანსური შესაძლებლობები და თუ მას არ შეუძლია ფორმის შეძენა, სკოლამ უნდა უზრუნველყოს იგი სასკოლო ფორმით.

## **შეკრების თავისუფლება**

მოსწავლეებს შეუძლიათ, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე შეიკრიბონ სკოლის ტერიტორიაზე.

## **გაერთიანების თავისუფლება**

მოსწავლეებს აქვთ გაერთიანების თავისუფლება კანონით დადგენილი წესით. სკოლას არ აქვს უფლება ჩაერიოს მოსწავლეთა გაერთიანების საქმიანობაში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. აკრძალულია გარეშე პირის მიერ მოსწავლეთა გაერთიანების საქმიანობის წარმართვა და მისი კონტროლი.

## **პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა**

მოსწავლის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია. არც მასწავლებელს და არც სკოლაში დასაქმებულ სხვა პირს არ აქვს უფლება, მოსთხოვოს მოსწავლეს თავის პირად ცხოვრებაზე ინფორმაციის გამჟღავნება. დაუშვებელია მოსწავლის პირადი ცხოვრების, კერძო კომუნიკაციის, აგრეთვე მოსწავლის პირად სარგებლობაში ან სკოლის საკუთრებაში არსებული ქონების ხელშეუხებლობის უფლების თვითნებური შეზღუდვა.

## **რწმენის თავისუფლება**

მოსწავლეს აქვს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება. აკრძალულია მოსწავლეს დაეკისროს ისეთი ვალდებულებების შესრულება, რომლებიც ეწინააღმდეგება მის რწმენას, აღმსარებლობას ან სინდისს, თუ ეს არ ლახავს სხვის უფლებებს ან ხელს არ უშლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიღწევის დონის დაძლევას.

## **დისციპლინა**

სასკოლო დისციპლინა დაცული უნდა იქნას იმ მეთოდების გამოყენებით, რომლებიც ეფუძნება მოსწავლის თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემას. შინაგანაწესით გათვალისწინებული მოთხოვნები, აგრეთვე დისციპლინური დევნა და სახდელი უნდა იყოს გონივრული, დასაბუთებული და თანაზომადი.

დისციპლინური დევნა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. დისციპლინური დევნის პროცედურა უნდა იყოს სამართლიანი. მისი განხორციელების დროს, სკოლა ვალდებულია, განუმარტოს მოსწავლეს მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის არსი. დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ ინფორმაცია სკოლამ დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს მოსწავლის მშობელს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ დისციპლინურმა სახდელმა არ უნდა გამოიწვიოს

მოსწავლის არსებითი ჩამორჩენა სასწავლო პროცესისაგან. ამ მიზნით, სკოლა ვალდებულია მიიღოს სათანადო ზომები.

კანონით აკრძალულია სასტიკი ან ისეთი დისციპლინური სახდელის გამოყენება, რომელიც ლახავს მოსწავლის პატივსა და ღირსებას. დაუშვებელია მოსწავლის პირადი გასინჯვა. თუმცა, თუ მტკიცებულებები მიუთითებს კონკრეტულ პირზე და არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირადი გასინჯვის შემდეგ გამოვლინდება გადაცდომა, მანდატურს ან სკოლის მიერ დანიშნულ უფლებამოსილ პირს, დირექტორს ან დირექციის წარმომადგენლის ნებართვით ან ზედამხედველობით, შეუძლია მოსწავლის პირადი გასინჯვა.

### **ძალადობის აკრძალვა**

დაუშვებელია სკოლაში მოსწავლის მიმართ ძალადობა. ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაში, სკოლას ეკისრება სათანადო რეაგირების ვალდებულება.

იმ შემთხვევაში, თუკი ბავშვზე ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით აცნობეთ სკოლის დირექციას როგორც წერილობით, ასევე სიტყვიერად, და ამას არ მოჰყვება შესაბამისი რეაგირება, თქვენ - მშობლებს ან მეურვეებს - უფლება გაქვთ იჩივლოთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში; სამინისტროს თანამშრომელი შეისწავლის საკითხს და სკოლას დააკისრებს შესაბამისი სანქციის ვალდებულებას. ასევე უფლება გაქვთ, იჩივლოთ სასამართლოში.

### **მშობლის უფლებები**

მშობელს უფლება აქვს მოისმინოს ინფორმაცია სკოლის, სასწავლო პროცესის შესახებ, მას ასევე შეუძლია გაეცნოს მასწავლებლის შეხედულებებსა და გეგმებს კლასის მართვასთან, სასკოლო პროცესთან, საგნობრივ სწავლებასთან დაკავშირებით. თუკი მშობელს აქვს მოსაზრებები ზემოთ ჩამოთვლილთან დაკავშირებით, მას უნდა მოუსმინონ. მშობელს აქვს უფლება, სასკოლო პროცესში მიიღონ, როგორც პარტნიორი.

### **მშობლის მოვალეობები**

მშობელი მოვალეა იზრუნოს და უზრუნველყოს ბავშვის სკოლაში სიარული, პასუხისმგებელია, მოსწავლე სკოლაში არ აგვიანებდეს. ასევე პასუხს აგებს გზაში (სკოლიდან სახლამდე და უკან) უსაფრთხოებაზე. მშობელი მოვალეა არ დაამციროს მასწავლებლები და დირექცია შვილის თანდასწრებით. ის ასევე პასუხს აგებს, რომ

იყოს შვილისთვის სასწავლო პროცესში მხარდამჭერი. მშობელი უნდა დაეხმაროს სკოლას ყველასთვის თანაბარი გარემოს შექმნაში, მხარი დაუჭიროს სკოლასა და სკოლის ადმინისტრაციას შინაგანაწესის დაცვაში.

## **თანამედროვე მშობელი ახალი პრობლემების პირისპირ**

აღზრდის პრინციპები, მეთოდები თუ ხერხები, გარდა სახელმწიფოებრივი მოწყობისა, მძლავრად ემყარება კონკრეტული სოციუმის დაკვეთებს, სურვილებს, შიშებს, წარმოდგენებს - როგორი უნდა გაიზარდოს ბავშვი, რა ფუნქცია უნდა შეასრულოს საზოგადოებაში, რა საფრთხეები უნდა დაძლიოს და ა. შ.

საზოგადოების მოლოდინები კარგად აისახება ხოლმე ყოფისა და კულტურის სხვადასხვა სფეროში, მაგალითად ოჯახისთვის ახალდაბადებული ბავშვის მილოცვის ტექსტებიც გამოდგება.

„იმრავლეთ და იხარეთ“ - მკვეთრად გამოხატავს ადამიანის ბუნებრივ ინსტინქტს, გამრავლდეს და ასე დატოვოს საკუთარი კვალი დედამიწაზე, ან მიგვანიშნებს კონკრეტული ეროვნების, ტომის ან გვარის გადაშენების შიშზე.

„ღმერთმა შეგარჩინოთ“ - ეს მოძველებული ფორმა აშკარად მეტყველებს იმ დროზე, როდესაც ბავშვთა სიკვდილიანობის რიცხვი ძალიან მაღალი იყო და დაბადება სულაც არ ნიშნავდა მის გაზრდას.

ბავშვის დაბადება-ნათლობასთან დაკავშირებულ სადღესასწაულო სუფრას „ქეობა“ ჰქვია, რაც ასევე თავისთავად მიუთითებს პატრიარქალურ საზოგადოებასა და აზროვნებაზე.

საბჭოთა კავშირის ნგრევისა და ახალი სახელმწიფოს შენების პერიოდში ჩვენს ქვეყანაში გავრცელდა და თითქმის ნორმად დამკვიდრდა მილოცვისა და სურვილის ფორმა: „ღმერთმა წარმატებული გოგო ან ბიჭი გაგიზარდოს!“ საზოგადოების მთავარი მოთხოვნა სწორედ წარმატებულობა გახდა, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა.

ერთი მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს დიდი ნაწილი ორიენტირებულია წარმატებაზე და ეს მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ერთი ფორმირებიდან მეორეზე გადასვლით არ არის განპირობებული, მაგრამ, მეორე მხრივ, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, სადაც კონკურენციის არარსებობიდან ადამიანებს უცაბედად მოუწიათ კაპიტალიზმზე გადასვლა, წარმატება მოქალაქეებმა აღიქვეს როგორც გადარჩენის ერთადერთი ფორმა.

თუმცა ნელ-ნელა მსოფლიო და ქართული საზოგადოებაც უფრო და უფრო მეტ ყურადღებას აქცევს ადამიანის მთავარ სურვილს - იყოს ბედნიერი, რადგან ცხადი

ხდება, რომ წარმატება არაა საკმარისი ბედნიერებისათვის და თანამედროვე ტექნოკრატიულ სამყაროში, რომელიც საკმაოდ მძიმე გამოწვევების წინაშე აყენებს ბავშვსაც და მშობელსაც, მნიშვნელოვანია, არც აღზრდისას და არც საკუთარი ცხოვრებისას არ დაგვავიწყდეს, რომ ჯანსაღი და ბედნიერი საზოგადოების თუ მომავლის შენებისას აუცილებელი პირობაა ხანდახან მაინც გამოვეთიშოთ რუტინას, გავიდეთ კონკურენციის მძაფრი ველიდან და საკუთარ შვილებთან ერთად უბრალოდ გავიხაროთ, მათაც და საკუთარ თავსაც მივცეთ საშუალება და ვასწავლოთ, როგორ იყვნენ ბედნიერები!

ბედნიერი, ხალისიანი მშობელი ასეთივე ოჯახს ქმნის და ბავშვებიც სამომავლოდ ასეთივე საზოგადოებას აშენებენ, თუმცა, თანამედროვეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მშობელი სასურველია, კარგად იცნობდეს ბავშვის განვითარების თავისებურებებს, იცოდეს აღზრდის ტიპების, თანამედროვე ურთიერთობების შესახებ და მოსალოდნელ სირთულეებს შეიარაღებული შეხვდეს.

### **როგორ გავხდეთ უკეთესი მოქალაქეები**

საგანი „მე და საზოგადოება“ ჩვენი შვილების უკეთეს მოქალაქეებად აღზრდას ემსახურება. ის უნდა დაეხმაროს ბავშვებს მრავალი საზოგადოებრივი ასპექტის გაცნობიერებაში, მისცეს საწყისი უნარები, რათა შედგნენ აქტიურ, ქმედით მოქალაქეებად. თუმცა ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი ბავშვის, როგორც საზოგადოების წევრის, ჩამოყალიბებაში, ოჯახს, მშობლებს უჭირავთ. ოჯახია საზოგადოების პირველი რგოლი, სადაც ის იწყებს არსებობას და სიცოცხლის ბოლომდე მიჰყვება ბავშვობაში ოჯახში მიღებული შთაბეჭდილებები.

თუკი თვითკრიტიკულები ვიქნებით, ვნახავთ, რომ ჩვენი ოჯახები არაა იდეალური, მაგრამ ეს არცაა საჭირო, იდეალური ოჯახები არ არსებობს. კვლევებმა აჩვენა, რომ მუდმივ აყალმაყალსა და ჩხუბში გაზრდილი ბავშვებიც ისევე ზიანდებიან, როგორც აბსოლუტურ სიმშვიდესა და სიამტკბილობაში გაზრდილები, იმიტომ რომ ასეთი ურთიერთობები საერთოდ არ არსებობს - ან ერთ-ერთი პარტნიორი ჩაგრულია და ხმას ვერ იღებს, ან ყველანაირ პრობლემასა და უსიამოვნებას ვარიდებთ. პირველ შემთხვევაში ძალადობრივ გარემოში იზრდება, მეორეში - ტყუილში! ორივე შემთხვევაში ბავშვი მაინც ზარალდება.

ამდენად, მცდარია მოსაზრება, რომ საუკეთესოდ ბავშვი იდეალურ ოჯახში გრძნობს თავს, რადგან ასეთი არ არსებობს!

ამდენად, ვერც ჩვენ ვიქნებით იდეალურნი, შეცდომებსაც აღზრდისას აუცილებლად დავუშვებთ. ვერც იდეალურ გარემოს შევუქმნით შვილებს. სწორედ ეს უნდა გავიაზროთ და მაღალი პასუხისმგებლობა, რომელიც შვილთან მიმართებაში აუცილებელია, არ უნდა გადაგვიხარდოს დანაშაულის მუდმივ განცდაში.

თუმცა, არსებობს ფაქტორები, რომლებიც ხელს შეგვიშლის ვიყოთ კარგი მშობლები, დავებმართოთ შვილებს სწორად აღზრდაში, მივცეთ მათ საჭირო ფსიქო-ემოციური საყრდენი.

ერთ-ერთი ყველაზე ხშირი ხელის შემშლელი ფაქტორი შვილებთან ურთიერთობაში **დროის დეფიციტია!** თანამედროვე სამყაროში ყველა ბევრს მუშაობს და უამრავი მშობელი ჩივის, რომ ბავშვებთან ურთიერთობისთვის უბრალოდ დრო არ რჩება. ზოგჯერ მშობლები ან რომელიმე მათგანი მაშინ ბრუნდება სახლში, როდესაც ბავშვებს უკვე სძინავთ. ასეთ შემთხვევაში მშობლებს ძალიან უჭირთ ბავშვებთან ფსიქო-ემოციური კავშირის დახმარება. ბავშვი არ ფიქრობს, რომ ის უყვართ, მისთვის შრომობენ და ამიტომ ბრუნდებიან ასე გვიან. პატარა თავს გარიყულად, მიტოვებულად გრძნობს. შეიძლება, ყურადღების მისაპყრობად ცუდად მოქცევა დაიწყოს, მიიღოს უარესი ქულები, ან გახდეს ინფანტილური.

ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ დღეში სულ მცირე ნახევარი საათი ურთიერთობა საჭირო, რათა დღის განმავლობაში შესუსტებული სოციალური კავშირები ოჯახის წევრებს შორის აღდგეს. ეს კავშირები თავისთავად სუსტდება, როცა ბავშვი მთელი დღე ვერ გვხედავს. ამ ნახევარი საათის განმავლობაში არც მშობელი და არც შვილი პარალელურად სხვა საქმიანობით არ უნდა იყვნენ დაკავებული, არ უნდა ათვალიერებდნენ სოციალურ ქსელებს, არ უნდა ალაგებდნენ სახლს და ა. შ.

რისი მოსწრება შეიძლება ნახევარ საათში, თუკი ბავშვი მთელი დღე უთქვენოდ იყო? შესაძლებელია ერთმანეთში ემოციების გაცვლა-გამოცვლა. ისეთი ჩვეულებრივი კითხვა, როგორცაა: როგორ ხარ? გაცილებით უფრო სასარგებლოა, ვიდრე: რა მიიღე სკოლაში? პირველ შემთხვევაში თქვენ ინტერესდებით მისი მდგომარეობით, მეორე შემთხვევაში შემართული დგახართ შემფასებლის პოზაში და წინასწარ აგრძნობინებთ, რომ მხოლოდ კარგი შედეგის მოსმენა გსურთ. მართალია, 9-10 წლის ასაკში ბავშვებს მძაფრი სურვილი აქვთ თავი მოგვაწონონ, მაგრამ ხშირად ისინი აკადემიურ მოსწრებას კი არ აუმჯობესებენ, არამედ ტყუიან.

ამდენად, კითხვა: როგორ ხარ, ყოველთვის ჯობს იყოს ამოსავალი. თუკი მშობელი შვილის ფსიქო-ემოციური მდგომარეობით ინტერესდება, შვილს მეტი აქვს მოტივაცია, თქვას, რომ ვერ არის კარგად, ან მათემატიკის საკონტროლოში ისევ დაბალი ქულა მიიღო. თუკი გვეყოფა მოთმინება და გვექნება გააზრებული, რომ დაბალი ქულა ბავშვის პრობლემაა და არა - ჩვენი, ის თავად დაიწყებს სიტუაციის ანალიზს და იპოვის გამოსავალს:

1. მართლა ვერ ვიგებ; შეგიძლიათ, დამეხმაროთ?
2. მასწავლებელი იტოვებს ხოლმე ბავშვებს, მეც შემომთავაზა, ხვალ მეც დავრჩები;
3. ლიზას გვერდით სულ ლაპარაკი მინდა, მერე ვერ ვგებულობ რას ხსნის მასწავლებელი, ვთხოვ, გადამსვას;

4. ვერ პოულობს გამოსავალს და გთხოვთ დახმარებას: დედა (მამა)  
მომეხმარეთ, რა გავაკეთო?

ასეთ სიტუაციაში, თუკი მშობელი ინტერესდება შვილის მდგომარეობით, როგორ გრძნობს ის თავს, აძლევს გამოხატვის საშუალებას, იაზრებს, რომ პრობლემა შვილს აქვს და არა - მას, აცლის ანალიზს და გამოსწორების გზების ძიებას, ეხმარება იმ შემთხვევაში, როდესაც მას სთხოვენ დახმარებას, ამ ნახევარ საათში მშობელი ახერხებს ძალიან საჭირო ურთიერთობას შვილთან:

1. ასწავლის გრძნობების გამოხატვას: თუკი თქვენი შვილი გეუბნებათ, რომ გაუხარდა, ეწყინა, გაბრაზდა, მოიწყინა და ა. შ. ჩათვალეთ, რომ ამ გრძნობებთან და საჭირო შემთხვევაში მათ მართვასთან დაკავშირებული ნახევარი საქმე უკვე გაკეთებულია, რადგან თუკი ის იაზრებს, რომ გაბრაზდა, აუცილებლად დაფიქრდება, როგორ აიცილოს თავიდან მსგავსი სიტუაცია; და თუ ბრაზისას არასწორად მოიქცა, უფრო მარტივია გააზრებულ ემოციაზე შეცდომის მინიშნება.
2. ყალიბდება დამოუკიდებელ მოქალაქედ, რომელსაც გადაწყვეტილების უნარიც აქვს და საჭირო შემთხვევაში დახმარებასაც ადეკვატურად ითხოვს.
3. აღდგება საჭირო ფსიქო-ემოციური კავშირები ოჯახის წევრებს შორის.

მაგრამ თუკი შვილის ქცევა სერიოზულ კორექტირებას საჭიროებს, ამას ნახევარ საათში ნამდვილად ვერ შევძლებთ.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია შაბათ-კვირას, დასვენების დღეებში დავგეგმოთ საერთო საქმიანობა: ერთად ავაწყოთ ასაკისთვის შესაფერისი კონსტრუქტორები თუ ფაზლები, წავიდეთ ტყეში, სათევზაოდ, კინოში, გამოვაცხოთ ნამცხვარი და ა. შ. ფსიქოლოგები, რომელთაც ბავშვთა თერაპიის მდიდარი გამოცდილება აქვთ, ხშირად ჩივიან, რომ მშობლები ვერ პასუხობენ კითხვაზე: რა არის მათი და მათი შვილების საერთო საყვარელი საქმიანობა, რადგან ისინი თითქმის არაფერს აკეთებენ ერთად.

ამდენად, თუკი ჩვენ ვერ ვპოულობთ საჭირო დროს შვილებთან ურთიერთობისათვის, ნუ გვექნება მოლოდინი, რომ მხოლოდ მის კეთილდღეობაზე ფიქრით, მისთვის მუშაობით შევუქმნით საჭირო მომავალს. მატერიალური ფაქტორები იმდენად მნიშვნელოვანი არაა, რამდენადაც თავად ურთიერთობა! ნუ მოვაკლებთ ბავშვებსაც და საკუთარ თავებსაც ამ სიხარულს.

თუკი ჩვენი სამსახური ამის საშუალებას არ იძლევა, ვემებოთ სხვა, შევეცადოთ დროის მონიტორინგს, დავზოგოთ თითოეული წუთი, რაც დრო გვექნება, გამოვიყენოთ შეძლებისდაგვარად ეფექტურად!

ერთ-ერთი დამაზიანებელი ფაქტორი მომავალი ბედნიერი მოქალაქის აღზრდაში არის ხელმოცარული მშობელი.

ალბათ ბევრი ჩვენგანისთვის იქნება ნაცნობი ხელმოცარულობის განცდა: რაღაცა ისე ვერ გამოგვივიდა, როგორც ვაპირებდით, ამ ასაკისთვის უკეთეს კარიერას ვგეგმავდით, სამსახურიდან უსამართლოდ დაგვითხოვეს, ჩვენი მეწყვილე ისევ ვერ პოულობს სამუშაოს და ა. შ.

ამ ტიპის განცდებთან გამკლავება უმრავლესობას გვიწევს, თუმცა, ალბათ, გვაქვს წარმატებებიც და რაღაცნაირად ვახერხებთ მივიღოთ საკუთარი ცხოვრება. თუმცა, ყველას შემთხვევაში ასე არ ხდება. საქართველო ახალბედა სახელმწიფოა და სხვა უამრავ პრობლემასთან ერთად მაღალია უმუშევრობის მაჩვენებელი. დღევანდელი მშობლების დიდ რაოდენობას არ აქვს მიღებული საჭირო განათლება, რადგან იმ წლებში, როდესაც უნდა ესწავლათ, უნივერსიტეტებში ბევრი რამ იყო მოშლილი და რეფორმებს საჭიროებდა, ფაქტობრივად, არ არსებობდა პროფესიული სასწავლებლები, ცოდნა, რომელსაც ესა თუ ის სასწავლებელი იძლეოდა, აღარ აღმოჩნდა საკმარისი ან შესაბამისი დღევანდელობასთან.

ამდენად, ძალიან ბევრი ჩვენგანია უკმაყოფილო და ეს აუცილებლად აისახება ჩვენი შვილების მომავალზე!

**?** რა შეგვიძლია შევცვალოთ, თუკი არ მოგვწონს საკუთარი ადგილი საზოგადოებაში?

უპირველესად, უნდა შევეცადოთ, შევცვალოთ სწორედ ეს ადგილი, ვისწავლოთ, ვიბრძოლოთ, განვვითარდეთ. თუკი სასიცოცხლო ძალები აღარ გვყოფნის საბრძოლველად, იქნებ შვილების ფაქტორი დამატებითი და მთავარი ბიძგის მომცემი აღმოჩნდეს ჩვენთვის. მებრძოლი, ზრდაზე ორიენტირებული მშობელი ხომ ყველაზე კარგი მაგალითია შვილისთვის. თუკი ჩვენ დღეს გვეყოფა ძალა, რაღაც ვისწავლოთ, რადიკალურად შევცვალოთ ჩვენი ცხოვრება, მაშინ შვილებიც საჭირო შემთხვევაში იმავეს გააკეთებენ.

თუმცა, არსებობს სხვაგვარი სცენარიც: მიუხედავად ძალისხმევისა, ხანდახან ადამიანი, სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორებიდან გამომდინარე, ვერანაირად ვერ ახერხებს წინსვლას. ასეთ შემთხვევაში უნდა გავიაზროთ ხელის შემშლელი პირობები და იქნებ საკუთარ თავს მადლობაც კი ვუთხრათ იმ მდგომარეობისთვის, რომელშიც ვართ. ასეა თუ ისე, შვილებთან გულწრფელობაა საჭირო და აუცილებელი. თუკი ჩვენ მუდმივად უბედურები და უკმაყოფილოები ვართ, გვევალება, რაღაც შევცვალოთ, ვიბრძოლოთ, განვვითარდეთ ან მივიღოთ არსებული სინამდვილე, რათა შვილებს ჩვენი ხელმოცარულობის სინდრომით არ დავუქვეითოთ სწავლისა და შრომის მოტივაცია!



ერთ-ერთი მძაფრი პრობლემა ახალი თაობის სწორ მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში დედ-მამისა და პაპა-ბებების მხრიდან **კანონის უპატივცემულობაა.**

საკმარისია გავიაროთ საქართველოს გზებზე, დავაკვირდეთ ქვეითებსა თუ მძღოლებს და ცხადი გახდება: ამ ქვეყანაში ხშირად არღვევენ კანონს.

რამ განაპირობა საქართველოში კანონისადმი უპატივცემულობა, რატომ ვცდილობთ გადავჭრათ ქუჩა, სადაც ზებრა არაა, რატომ ვცდილობთ დავმალოთ გადასახადები, რატომ ვაგვიანებთ სამსახურში, თუკი ვიცით, რომ ამისთვის არ დავისჯებით?!

ამის უპირველესი მიზეზი სახელწიფოებრივი გამოცდილების სიმცირეა. ქართველი ამაყად არღვევდა კანონს, ხანდახან სისხლის სამართლის დანაშაულსაც სჩადიოდა, რადგან ეს არ იყო მისი ქვეყნის კანონები. მეფის რუსეთის, ხოლო შემდგომ საბჭოთა კავშირის უღელქვეშ ადამიანები მიეჩვივნენ კანონის უპატივცემულობას, რადგან თუ არ მოიპარავდნენ, არსებობა ჭირდა, ხოლო ქურდობით დამპყრობელ სახელმწიფოს ჰპარავდი, ჰპარავდი ხანდახან შენს პირად საკუთრებას, ან საკუთარ ძალ-ღონესაც კი. მაგალითად, ბავშვობაში კოლმეურნეობის მიერ მითვისებულ ბაღში ვაშლი მომიპარავს, ადრე ის ბაღი ჩვენი იყო, ახლაც ჩვენია, მარტო საბჭოთა კავშირის დროს გვქონდა ჩამორთმეული. თითქოს არაფერია, მაგრამ მაინც უარყოფითი გამოცდილებაა. საბჭოთა კავშირის დროს და მერეც ერთხანს ძალიან გავრცელებული იყო მექრთამეობა, ნეპოტიზმი. საქართველო ახალგაზრდა სახელმწიფოა და ახლა ახერხებს ნელ-ნელა კანონის უზენაესობის დამკვიდრებას. თუკი ჩვენ, მშობლები, გავიაზრებთ, რომ კანონის მორჩილება თავისუფლებაა, რადგან ვმორჩილებთ ჩვენი, თავისუფალი ქვეყნის კანონს, რომელიც ჩვენივე არჩეულმა საკანონმდებლო ორგანომ დაგვიწესა, ხოლო კანონის უპატივცემულობა - მონობა, რადგან ეს თვისება დამონებული საქართველოსგან გვერგო მემკვიდრეობით, გაცილებით უკეთესი მოქალაქეები გავხდებით და პირადი მაგალითით უზრუნველყოფთ მომავალ თაობებში მოქალაქისათვის ამ ფუნდამენტური ქცევის ჩამოყალიბებას, კანონის უზენაესობის პატივისცემა რომ ჰქვია!

ერთ-ერთი პრობლემური საკითხია **მშობელი და მავნე ჩვევები.** რამდენჯერ მოვქცეულვართ ცხოვრებაში ისე, როგორც არასდიდებით არ ვისურვებდით, რომ მოქცეულიყვნენ ჩვენი შვილები, მაგრამ ამ ქცევების უმრავლესობას ბავშვები ვერ იგებენ. თუმცა, თუკი მავნე საქციელი კი არა, ჩვევაა, ამის ბავშვის თვალისგან მორიდება ძალიან გაჭირდება.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მავნე ჩვევაა ნიკოტინის მოხმარება. თავისთავად ცხადია და ამას კანონიც გვავალდებულებს, რომ ბავშვები თავიანთი ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოში უნდა გაიზარდონ და აქედან გამომდინარე, არანაირი უფლება არ გვაქვს, მოვწიოთ იქ, სადაც ბავშვები არიან. მაგრამ თუკი ჩვენ მწეველები ვართ, ამის შესახებ იციან ბავშვებმა. დამალვა არცაა

სწორი. შეიძლება ჩვენ ვერ ვერეოდეთ დამოკიდებულებას, მაგრამ სიღრმისეულად უნდა გავიაზროთ ის ზიანი, რომელსაც სიგარეტი გვაყენებს და შევძლოთ გულწრფელი საუბარი შვილებთან. შეგვიძლია მათთან ერთად ინტერნეტში ვუყუროთ შესაბამის ვიდეომასალებს, გარდა ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებისა და ეკონომიკური ზარალისა, მოვუყვებთ, როგორ შფოთვას იწვევს დამოკიდებულება, როგორი დამატებითი საზრუნავია სულ თან გქონდეს სიგარეტი და ასანთი, ეძებო მოსაწევი ადგილი, ინერვიულო, დიდ გზაზე როგორ გაძლებ უსიგარეტოდ. შევეცადოთ ჩვენი სიგარეტზე დამოკიდებულების დაწყება იმგვარი მიზეზებით ავხსნათ, რომლებიც დღეს აღარაა აქტუალური: მაგ, მაშინ პროტესტისა და თვითგამოხატვის სახე იყო, მოდაში იყო, ახლა პროგრესულ ქვეყანაში სირცხვილია და ა. შ.

ძნელი სათქმელია, რამდენად დაგვიცავს იმისგან, რომ შვილებმა არ მოგვბადონ, (კვლევებით დასტურდება, რომ მწვევლების შვილები უფრო ხშირად ხდებიან მწვევლები), თუმცა გულწრფელი სინანული თუ მაინც დავანახვეთ, ნორმად და სასურველ ქცევად მაინც არ ჩათვლიან.

მაგნე ჩვევების კიდევ უფრო მძიმე სახეებია ალკოჰოლიზმი და ნარკოდამოკიდებულება.

ორივე მათგანს ხშირად თან სდევს მშობლის რთული ქცევა, რომელიც, რაღა თქმა უნდა, აზიანებს ბავშვის ფსიქიკას. ამ სახელმძღვანელოზე მუშაობისას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აკრძალა მარიხუანას მოხმარება ბავშვების თანდასწრებით ანდა ბავშვთა დაწესებულებებთან ახლოს. ეს თავისთავად სასიხარულოა, თუმცა ასევე საზიანოა ბავშვების თანდასწრებით ალკოჰოლიზმით თრობა, მაგრამ ეს ქართულ კულტურაში მიღებულია და საქართველოს მოქალაქე ბავშვები ხშირად არიან მოზარბაცე თუ აგრესიული მშობლების, ნათესავების, მეზობლების შემსწრე!

ნუ წავიყვანთ შვილებს ისეთ წვეულებაზე, რომელზეც, ვიცით, რომ ადამიანები დათვრებიან, ან წამოვიყვანოთ ადრე, ან თუ სადმე შეესწრო, თუნდაც ქუჩაში, ნუ დაგვეზარება მათთან ანტიალკოჰოლური პროპაგანდა, ან ჩვენ ირგვლივ, სოფელში, დაბასა თუ უბანში ლოთების ან ნარკომანების არსებობის შემთხვევაში, თუკი ისინი ხშირად არიან გარეთ და შესამჩნევ, საშიშ თემს ქმნიან, მოვარიდოთ შვილები, საჭიროების შემთხვევაში მივმართოთ პატრულს!

## ტოლერანტობა - როგორც თანამედროვე სამყაროში არსებობის აუცილებელი ფორმა

ტოლერანტობა - მიმღებლობა, დაფასება სხვადასხვა კულტურის, მათი ნორმების, ზოგადად განსხვავებულის მიმართ ქართულ კულტურაში ოდითგანვე არსებობდა. ყველამ ვიცით, რომ თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში, საკმაოდ მცირე ტერიტორიაზე ერთად დგას ქართული მართლმადიდებლური, სომხური გრეგორიანული ეკლესიები, სინაგოგა და მეჩეთი. თუმცა, ამ მიმღებლობის პარალელურად, ყოველთვის გვახასიათებდა უცხო სიში, საქართველოს კუთხეების დონეზეც კი, ლიხსიქითელი ქართველი ლიხს აქეთ უცხო იყო და - პირიქით. ასევე მძიმე იყო მაგ. არმენოფობია, რომელიც დღემდე შემორჩენილია და ალბათ იმით იყო გამოწვეული, რომ მეცხრამეტე საუკუნეში სომხების რიცხვი თბილისში ქართველებისას აჭარბებდა, რადგან ქართველები არ კადრულობდნენ, ან არ გამოსდიოდათ ვაჭრობა, ქალაქი კი იმ პერიოდისათვის ვაჭრობით ვითარდებოდა.

ის, რომ ვაჭრობა ქართველისთვის საამაყო არ იყო, ერთგვარად ჩვენმა უპირველესმა წიგნმა, „ვეფხისტყაოსანმა“ განაპირობა. ყველასთვის ცნობილია, რომ ვაჭრები „ვეფხისტყაოსანში“ შედარებით დაბალი მორალის მქონე ფენას წარმოადგენენ. თუმცა ტოლერანტობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია მისი დასაწყისი:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,  
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა, ზეცით მონაბერითა,  
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერთა,  
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მისმიერთა.“

ამდენად, შოთა რუსთაველი ღმერთის მიერ მოცემულ, ნაჩუქარ სამყაროს უთვალავ ფერად ხედავს. ეს განსხვავებები, ეს უთვალავი ფერი მთავარი თვისებაა კაცობრიობისა!

ითვლება, რომ თანამედროვე სამყარო უფრო და უფრო მეტად საჭიროებს ტოლერანტ მოქალაქეებს. ამისი მიზეზები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. უპირველესად უნდა აღინიშნოს ის, რომ დედამიწა გაცილებით უფრო მობილური გახდა, გაცილებით მეტი ადამიანი გადაადგილდება, რომ აღარაფერი ვთქვათ, ტრანსპორტის განვითარებაზე, რომელიც ისე სწრაფ და იაფ საშუალებად იქცა, როგორც არასდროს ყოფილა.

ადამიანს აქვს ბუნებრივი სწრაფვა თვითგადარჩენისაკენ და უკეთესი საცხოვრებელი პირობების საძებნელად. ამის ნათელი დადასტურებაა უამრავი ქართველი ემიგრანტი, რომლებიც სხვა ქვეყნებში წავიდნენ საცხოვრებლად და ან იქ დაფუძნდნენ, ან მუშაობენ და იმ ფულით საქართველოში ინახავენ ოჯახებს.

სამწუხაროდ, დღესდღეობით მოხშირდა შეუწყნარებელი გამოხტომები უცხოტომელთა მიმართ. იმისთვის, რომ ჩვენი შვილები მსგავსი ჯგუფების ზეგავლენის ქვეშ არ მოექცნენ (გარდატეხის ასაკი ყველაზე საფრთხილო პერიოდია საერთოდ რაიმე ტიპის არასასურველი დაჯგუფების გავლენის ქვეშ მოსაქცევად), საჭიროა სწორედ ამ პერიოდიდანვე ავუხსნათ, რომ ჩვენი თანამემამულეებიც იმავე მდგომარეობაში არიან სხვა ქვეყნებში, როგორშიც სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები ჩვენთან და თუ არ გვინდა, მათ ცუდად მოექცნენ, არც ჩვენ უნდა მოვექცეთ საქართველოში ჩამოსულ ხალხს ცუდად!

ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა ტოლერანტობის განვითარების აუცილებლობისა არის სოციალური კავშირების შესუსტება. ქვეყნები და საერთოდ, დედამიწა ეკონომიკურად ვითარდება. თუკი ადრე გადარჩენისთვის აუცილებელი იყო დიდი ოჯახები, რომლებიც ერთად მუშაობდნენ და მოიპოვებდნენ წლიურ სარჩოს, დღეს მცირესულიან ოჯახებს და მარტო მყოფ ადამიანსაც თავისუფლად შეუძლია კვება, გათბობა... მოკლედ, გადარჩენა. როდესაც ადამიანი ხედავს, რომ მარტოც გადარჩება, ის ბედავს აღარ იცხოვროს საზოგადოების დაკვეთით. მაგ. იხვრეტს ჭიპს, როცა ეს მის თემში, სამეზობლოსა თუ სანათესაოში მიუღებელია. გამოდის, რომ მისი ქცევა მეტად თავისუფალია, მაგრამ ის ამავე დროს ხდება უცხო, გაუგებარი ირგვლივ მყოფებისთვის და გამოდის, რომ თავისუფლების საფასურს მარტოობით იხდის. მერე მეორე ადამიანი ბედავს იყოს განსხვავებული სხვებისგან და ასე სუსტდება სოციალური კავშირები. კარგია ეს თუ ცუდი, ინდუსტრიალიზაციის თანმდევი, შეუქცევადი პროცესია, თუმცა ცხოვრებაში დგება მომენტები, როდესაც ადამიანს აუცილებლად სჭირდება სხვების დახმარება. თუკი ჩვენ ვბედავთ, ვიყოთ განსხვავებულები, თავისუფლები, მაშინ აუცილებლად უნდა დავუდგეთ გვერდში ასევე განსხვავებულ ადამიანებს. ეს, უპირველესად, ჩვენვე მოგვმატებს თავდაჯერებულობას და ჩვენს შვლებსაც ეცოდინებათ, რომ უცხო საშიში არაა და დახმარებას, მიმღებლობას ყველასგან შეიძლება ელოდონ, ამასთანავე თავადაც უნდა გასცნენ.

ტოლერანტობის ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია **გლობალიზაციის შიში**.

თავისთავად ცხადია, მცირე ერებს, სახელმწიფოებს ეს შიში უფრო მძაფრად ახასიათებს.

ნამდვილად რთულია შეინარჩუნო შენი ეროვნული თვითმყოფადობა, მით უფრო, რომ იზოლაცია გამოსავალი არაა. საჭიროა, რაც შეიძლება ღრმად გავერკვეთ საკუთარ კულტურასა და ღირებულებებში, ჩვენს შვილებსაც მეტი ცოდნა მივცეთ ქვეყნის, ენის, კულტურისა და თავად გლობალიზაციის შესახებაც. ავუხსნათ, რომ ქრისტიანობაც კი გლობალიზაციითაა შემოსული ჩვენთან და მან ადგილობრივი, ქართული რელიგიები ჩაყლაპა და მოინელა, თუმცა შეიქმნა საკუთრივ ქართული ქრისტიანული კულტურა. გლობალიზაციის მესამე-მეოთხე კლასელებისათვის

გასაგები მაგალითი იქნება ქართული საახალწლო კერძი - საცივი, რომელიც შემოტანილი სუნელებით მზადდება. ერთ-ერთს ასეც კი ჰქვია - უცხო სუნელი.

ბავშვის ტოლერანტ მოქალაქედ ჩამოყალიბებაზე, ისევე როგორც ძალიან ბევრ სხვა ასპექტზე, გადამწყვეტ გავლენას მშობლების განწყობა ახდენს. ამდენად, უნდა შევეცადოთ მოვერიოთ საკუთარ შიშს (თუკიგაგვაჩნია), და მამაცი, საკუთარი კულტურის მცოდნე, სხვისი თამამად მიმღები და თანამგრძნობი მოქალაქეები აღვზარდოთ!

## ბავშვის განვითარების სფეროები და ასაკობრივი თავისებურებები

ბავშვის, ისევე როგორც ზოგადად ადამიანის განვითარებაში, რამდენიმე ძირითად მიმართულებას გამოყოფენ:

1. **ფიზიკური** - რომელშიც შედის ბავშვის ფიზიკური განვითარების ნორმები, პროპორციები, მსხვილი და წვრილი მოტორიკის განვითარება და ბავშვის ფიზიკური ჯანმრთელობა;
2. **კოგნიტური** - რომელიც შეიცავს ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებას, მის წერით თუ სამეტყველო უნარებს, ფანტაზიის, პრობლემის გადაჭრის, ყოველდღიური თუ სამეცნიერო ცოდნის მიღების სურვილსა და შესაძლებლობებს;
3. **ემოციური და სოციალური** - ბავშვის განვითარების ეს სფერო გულისხმობს მის შესაძლებლობებს იარსებოს სოციალურში, სწორად გამოხატოს საკუთარი ემოცია, გაიგოს სხვისი ემოციები, იყოს მეგობრული, იყოს მორალური. ამ სამი მახასიათებლის მიხედვით არსებობს ბავშვთა ასაკობრივი კლასიფიკაციები, რომლებიც გვეხმარება ნაკლები შეცდომა დავუშვათ აღზრდისას და უფრო სწორი, ადეკვატური მოლოდინი გვქონდეს საკუთარი შვილის აღზრდის პროცესში. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ოცდამეერთე საუკუნეში ეს კლასიფიკაცია უფრო და უფრო პირობითი ხდება, რადგან ძალიან მატულობს განსხვავებული განვითარების ბავშვთა რიცხვი. თუმცა ეს ცოდნა მაინც აუცილებელი პირობაა აღზრდის პროცესის გასაადვილებლად.

### ისტორიიდან

ბავშვის განვითარებასა თუ ადამიანის ცხოვრების ეტაპებზე უხსოვარი დროიდან ფიქრობდნენ. პირველი პერიოდიზაცია ანტიკური პერიოდის უდიდეს მოაზროვნეს, არისტოტელეს ეკუთვნის.:

1. დაბადებიდან 7 წლამდე;
2. 7 წლიდან სქესობრივი მომწიფების დაწყებამდე, 14 წლამდე;
3. 14 წლიდან 21 წლამდე.

შემდგომი მნიშვნელოვანი კლასიფიკაცია ჩეხ პედაგოგს, პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების ფუძემდებელს, **იან ამოს კომენსკის** (1592-1670) ეკუთვნის. მან ბავშვის განვითარებაში 4 პერიოდი გამოყო:

1. დაბადებიდან 6 წლამდე - ბავშვობა, დედობრივი სკოლის პერიოდი;
2. 6 წლიდან 12 წლამდე - ყრმობა, მშობლიური ენის ანუ დაწყებითი სკოლის პერიოდი;
3. 12 წლიდან 18 წლამდე - სიჭაბუკე, ყრმობა, ლათინური ენის ანუ გიმნაზიის პერიოდი;
4. 18 და 24 წლამდე - მოწიფულობა, აკადემიებისა და მოგზაურობის პერიოდი.

მნიშვნელოვანია ფრანგი განმანათლებლის, **ჟან-ჟაკ რუსოს** (1712- 1841) მიერ მოცემული ბავშვის განვითარების 4 სტადია:

1. ჩვილობა, დაბადებიდან 2 წლამდე - ფიზიკური განვითარების პერიოდი
2. ბავშვობა, 2-იდან 12 წლამდე - შინაგან გრძნობათა განვითარების პერიოდი
3. გვიანი ბავშვობა, 12-იდან 15 წლამდე - გონებრივი განვითარების პერიოდი
4. მოზარდობა, 15-იდან 25 წლამდე - ზნეობრივი ანუ „ვნებებისა და ქარიშხლების“ პერიოდი.

საინტერესოა ქართველი მწერლის, პედაგოგისა და ლექსიკოგრაფის, **სულხან-საბა ორბელიანის** (1658- 1725) ასაკობრივი კლასიფიკაცია:

1. ჩვილობა - დაბადებიდან 5 წლამდე;
2. უსუარობა - 5-იდან 10 წლამდე
3. ნინველობა - 10 წლიდან 15 წლამდე
4. ყრმობა - 15 წლიდან 20 წლამდე.
- 5.

**თანამედროვე თეორიები ბავშვთა ასაკობრივი კლასიფიკაციის შესახებ**

მეცხრამეტე საუკუნიდან დღემდე ბავშვთა ასაკობრივი კლასიფიკაცია თანდათანობით სერიოზულ თეორიულ და კვლევით მასალებს ეყრდნობა.

პირველი სერიოზული მცდელობა მეცნიერულ საფუძველზე ბავშვის ასაკობრივი კლასიფიკაციის ჩამოყალიბებისა ფსიქოანალიზის ფუძემდებელს, **ფროიდს** (1856 – 1939) ჰქონდა. მას, როგორც ექიმს, უამრავი სხვადასხვა ტიპის აშლილობის პაციენტი ჰყავდა, რომელთა დაავადებებზე დაკვირვებამ და მკურნალობამ ფროიდი მიიყვანა დასკვნამდე, რომ ბავშვობის მტკივნეულ მოგონებებზე თავისუფლად საუბარი პაციენტებს განკურნებაში ეხმარებოდა. ამრიგად, მან შეისწავლა პაციენტთა არაცნობიერი მოტივები და შექმნა თეორია, რომლის მიხედვითაც ადამიანის ცხოვრებაში პირველი 5 წლის განმავლობაში გამოვლენილი ფსიქოსექსუალური ქცევების მიმართ მშობლების საპასუხო რეაქციები მთავარი და გადამწყვეტი ფაქტორია პიროვნების შემდგომი განვითარებისათვის.

ბავშვთა განვითარების კვლევებზე დიდი გავლენა იქონია ჩრდილოამერიკელი ფსიქოლოგის, **ჯონ უოტსონის** (1878 – 1958) ბიჰევიორისტულმა თეორიამ. მისი კვლევების ფოკუსში უშუალოდ დასაკვირვებელი მოვლენები, სტიმულები და რეაქციაა.

ასევე მნიშვნელოვანია სოციალური დასწავლის თეორია, რომლის ერთ-ერთი საინტერესო მიმდევარია ამერიკელი ფსიქოლოგი **ალბერტ ბანდურა**. მისი უკანასკნელი კვლევების თანახმად, ბავშვები დასწავლილ სოციალურ ქცევას (ანუ იმას, რაც მიბადვით შეითვისეს) თანდათან თავიანთი დამოკიდებულებების, ფასეულობების შესამუშავებლად იყენებენ

### **პიაჟეს კოგნიტური განვითარების საფეხურები**

კოგნიტივიზმის თეორეტიკოსი, შვეიცარიელი მეცნიერი ჟან პიაჟე (1896-1980) თავის თეორიებს 1930 წლიდან აყალიბებს, თუმცა მხოლოდ 1960-იანი წლებიდან ხდება პოპულარული და წამყვან ადგილს იჭერს ბავშვთა ქცევის შესწავლის საქმეში. მისი თეორიის თანახმად, ბავშვები ცოდნას სამყაროში მანიპულირებისა და კვლევის გზით ამყარებენ.

1. სენსომოტორული პერიოდი, დაბადებიდან 2 წლამდე - ჩვილები თვალებით, ხელებით, ყურებითა და პირით „ფიქრობენ“ და ამის შედეგად პრობლემების გადაჭრის ისეთ გზებს პოულობენ, როგორებიცაა რადიოს ღილაკზე თითის დაჭერა მუსიკის ჩასართავად ან კონტეინერზე რაიმე ასაწყობების დალაგება-ალაგება.
2. წინაოპერაციული პერიოდი, 2-7 წელი - ვითარდება აზროვნება და ფანტაზია, სიმბოლოებს თავიანთი „აღმოჩენების“ გამოსახატავად იყენებენ, თუმცა სუსტია ლოგიკური აზროვნება;

3. კონკრეტული ოპერაციების პერიოდი, 7- 11 წელი - აზროვნება ლოგიკური ხდება, შეუძლიათ საგნების ჯგუფებად და ქვეჯგუფებად წარმოდგენა, თუმცა ჯერ არ არის განვითარებული აბსტრაქტული აზროვნების უნარი.
4. ფორმალური ოპერაციების, 11 წლის შემდეგ - ამ ასაკიდან ბავშვს უკვე უვითარდება სიმბოლოებით აზროვნების უნარი და აქვს შესაძლებლობა გაიგოს მეცნიერული პრობლემა, თუნდაც ის არ იყოს ამკარა. მსგავსი ტიპის კლასიფიკაციები სპეციალისტებს ეხმარება წარმოგვიდგინონ მეტ-ნაკლებად რეალური სურათები ჩვენი შვილების ფსიქოსოციალური, ფიზიკური თუ კოგნიტური განვითარების შესახებ, რაც ჩვენ, მშობლებსა და აღმზრდელებს, საშუალება გვაძლევს, უკეთ დავგეგმოთ ჩვენი აღზრდის სტრატეგიები.

### **მესამე-მეოთხე კლასელთა ფსიქომოციური, ფიზიკური და კოგნიტური განვითარების შესახებ**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასაკობრივი კლასიფიკაცია მეტ-ნაკლებად პირობითია, რადგან ძალიან იზრდება ატიპური განვითარების შემთხვევები, თუმცა მაინც შეგვიძლია ვიმსჯელოთ ზოგად მახასიათებლებზე, რომლებიც თან ახლავს შუა ბავშვობის ანუ გარდატეხის ასაკის წინა პერიოდს.

ამ პერიოდისათვის ბავშვი **ფიზიკურად** განვითარებულია, 6 წლის ასაკიდან უკვე შეუძლია თასმებისა და ღილების შეკვრა, კარგად ფლობს სხეულს, მოძრავია, სჭირდება ფიზიკური აქტივობა!

დაწყებითი საფეხური მოსწავლეების **კოგნიტური** განვითარება სრულდება წერა-კითხვის უნარების სრულყოფილი ფლობით, შეუძლია რთული ქვეწყობილი წინადადებების გამოყენება, მეტყველებისას აქტიურად ხმარობს ზედსართავ სახელებს, ასრულებს მარტივ მათემატიკურ ოპერაციებს, უვითარდება რაოდენობრივი აზროვნება, შეუძლია საგნები და მოვლენები დაყოს კატეგორიებად და ქვეკატეგორიებად.

**ფსიქო-სოციალური** უნარებიდან გამძაფრებულია მეგობრობის სურვილი, ამ პერიოდისათვის უკვე ჰყავს ერთი-ორი გამორჩეული მეგობარი. ითხოვს საზოგადოებისგან აღიარებას, არ უყვარს წაგება, ძნელად ეგუება მარცხს. აზროვნებს კატეგორიებით: „ცუდი“, „კარგი“, „სწორი“, „არასწორი“. მძიმედ გადააქვს იმედგაცრუება, ლოგიკურად მსჯელობს და შეუძლია პრობლემის გადაჭრის რამდენიმესაფეხურიანი სტრატეგიის დასახვა და შემდგომ ამის თვითკონტროლი.



## ურთიერთობის სწორი და ეფექტური ფორმები, შეცდომები

თითქოს აქსიომაა, ყველა მშობელს აინტერესებს, რას ფიქრობს მისი შვილი, რას გრძნობს, როგორაა, მაგრამ სინამდვილეში ჩვენ ყოველთვის მზად არ ვართ გავიგოთ სიმართლე და ხშირად ჩვენი ინტერესები არ ემთხვევა შვილისას. მაგალითად, სკოლიდან მოსულს არ ვეკითხებით, რამ გააბრაზა, ვინ აწყენინა, ვინ გაახარა, არამედ გვინტერესებს, რა ქულა მიიღო, მაშინ როდესაც ბავშვისთვის მისი ფსიქოემოციური მდგომარეობა შეიძლება, გაცილებით მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე კონკრეტული წარმატება-წარუმატებლობა. ანდა არის შეკითხვის ფორმა, როდესაც ჩვენ წინასწარ ვითხოვთ პასუხს და შვილებს მივანიშნებთ, რომ სხვაგვარი ამბის მოსმენა არ გვსურს. მაგ, ვეკითხებით, რა ქნა მათემატიკაში? და არაფრით არ გვინდა მოვისმინოთ, რომ ისევ ვერ გაიგო მასწავლებლის მიერ ახსნილი მასალა.

ეს მოლოდინები კარგად აისახება ჩვენს ჟესტიკულაციაზე, ხმაზე, გამომეტყველებაზე და ბავშვიც გვპასუხობს იმას, რისი მოსმენაც გვსურს, თუმცა საბოლოო შედეგი აღარ არის სასურველი (ბავშვის განვითარების დონე, სემესტრული ნიშანი) და ბოლოს ყველანი იმედგაცრუებულნი ვართ. ეს იმედგაცრუება რომ არ დადგეს, უფროსებს მოგვეთხოვება ურთიერთობის სწორი სტრატეგიები, რომლებიც დაეხმარება ბავშვებს მაქსიმალურად გამოხატონ თავიანთი თავი, დროულად ითხოვონ დახმარება, სწორად განვითარდნენ და საჭირო უნარებით შეხვდნენ ზრდასრულ ასაკს, როდესაც ისინი საკუთარ თავზე აიღებენ მოქალაქის სტატუსსა და პასუხისმგებლობას.

### დავიჯეროთ ბავშვების შესაძლებლობები

მშობლების შეცდომების მთავარი ამოსავალი წერტილი მათი შიშია. მშობელს ეშინია, რომ შვილი ვერ ისწავლის წერა-კითხვას, ვერ შეიძენს მეგობრებს, ვერ მოაწონებს თავს მასწავლებელს, ვერ შექმნის ოჯახს და ა. შ. ეს შიშები უბიძგებს მას არ დაინახოს პრობლემა, ან დაინახოს და თავად შეეცადოს გადაჭრას, ან პრობლემიდან გამომდინარე სტიგმა მიაწებოს შვილს იმის იმედად, რომ ეს უკანასკნელი შეეცდება და ყველაფერს გააკეთებს ცუდი ბავშვის სტატუსის მოსაშორებლად.

ამ ტიპის ურთიერთობები დასაწყისშივე წარუმატებლობისთვისაა განწირული. სამაგიეროდ, სრულიად იცვლება სურათი, როდესაც მშობელი აღიარებს შვილის შესაძლებლობებს და აძლევს მას თვითგამოხატვის საშუალებას, ელოდება, ითხოვს დახმარება და საჭიროების შემთხვევაში ასრულებს ყავარჯნის, საყრდენის როლს.

წარმოვიდგინოთ მესამე-მეოთხე კლასისთვის ტიპური პრობლემა, როდესაც ბავშვს უჭირს გამრავლების ტაბულის სწავლა და ამბობს, რომ საშინელებაა, სისულელეა, არაა საჭირო თანამედროვე ეპოქაში და ა. შ.

მშობელთა ნაწილი ასეთ დროს ბავშვთან ერთად ჯდება სამეცადინოდ, ნაწილი რეგლამენტს უწესებს და საჩუქარს ჰპირდება (7-ამდე ისწავლი და კომპიუტერთან დაჯდება), ნაწილი რაღაც ფორმით, თუნდაც უკმაყოფილო სახით გამოხატავს, რომ ყველას შვილი ჭკვიანია, მხოლოდ მისი შვილია გონებასუსტი. არადა ამ ტიპის პრობლემის დროს ყველაზე სწორი ფორმაა აღიარება (უი, სამამდე აღარ გეშლება, ყოჩაღ!) და თანაგრძნობა, გაგება (მეც იმდენ ხანს მაწვალა, მეც მძიმედ მახსოვს, თანაგრძნობით ნათქვამი „მესმის“). მშობლის ასეთი რეაქციის, აღიარებისა და გაგების შემდეგ, ბავშვი აფასებს პრობლემას, თავად იწყებს გადაჭრის გზების ძიებას (ყოველდღე რომ ნახევარი საათი ვიმეცადინო, 5 დღეში ვისწავლი) ან ითხოვს დახმარებას (რომ ჩაგაბარო ხოლმე, შეიძლება?).

ამდენად, საკუთარ თავსა და შვილის შესაძლებლობებში დარწმუნებული მშობელი მეტად ეხმარება მოზარდს ჩამოყალიბებაში და ეს შეიძლება ზოგჯერ უმოქმედობაშიც გამოიხატოს! შუა ბავშვობის ასაკი ის პერიოდია, როდესაც შვილებს ყველაზე მეტად სჭირდებათ აღიარება და პატივისცემა და ამ ტიპის ურთიერთობის შემთხვევაში ისინი გარდატეხის ასაკშიც კი არ წყვეტენ მშობლებთან გულწრფელ საუბარს.

## აქტიური მოსმენა

ყველას გამოგვიცდია, ზოგიერთ ადამიანთან ადვილია იყო გულწრფელი, ზოგიერთთან ეს შეუძლებელია. თუ დავფიქრდებით, აღმოვაჩინთ, რომ მორალისტებთან ძნელია იყო გულგახსნილი. როგორ ილაპარაკებ შენს შეცდომებზე მეგობართან, რომელსაც სულ მზად აქვს პასუხები, რა არის სწორი და რა - არა!

როდესაც მშობლები ვხდებით, უნებურად გვიყალიბდება მორალისტის თვისებები, გვეჩვენება, რომ ჩვენ ყველაფერი ვიცით, ბავშვმა - არაფერი და ვცდილობთ, რაც შეიძლება მალე მოვაქციოთ მორალის არტახებში და ვასწავლოთ, რა არის მიღებული საზოგადოებაში!

ადამიანი იბადება თავისუფალი და მას მორალი, კულტურა აქცევს თავის ჩარჩოებში. თუმცა, თუკი მორალი ზედმეტად მკაცრია, ზრდასრულობაში შეიძლება, პიროვნებამ ვერ შეძლოს საკუთარი უნარების რეალიზაცია, ან სხვადასხვა ტიპის თრობითა თუ აღვირახსნილობით შეეცადოს ბავშვობაში მიღებული ზედმეტი შეზღუდვის ანაზღაურებას! აღზრდის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა სწორედ ესაა - სწორი ბალანსი მორალსა და თავისუფლებას შორის!

ბავშვის აღზრდისას ასევე მნიშვნელოვანია, მორალისგან, წესებისგან შედარებით თავისუფალი სივრცეები. ბევრმა შეიძლება თქვას, რომ მთელი ცხოვრების საგზაოდ

მიჰყვება ბებიასთან გატარებული დღეები, რომელთანაც გაცილებით მეტი რამ იყო დაშვებული, ვიდრე - მშობლებთან. ან, ვთქვათ, უქმეები, როდესაც თავისუფლების ხარისხი მატულობდა. ამ თავისუფლებისა და შეზღუდვის სწორი განაწილებით იზრდება აქტიური და ჯანსაღი მოქალაქე.

თანამედროვე ფსიქოლოგები გვიჩვენებენ, მივმართოთ აქტიური მოსმენის ხერხს, როდესაც ჩვენი კომენტარები შვილისადმი მთლიანად დაცლილია მორალისტური კონტექსტისგან და როდესაც ის რაღაცას გვიყვება, არ ვაკეთებთ კომენტარებს, რომლებიც მიუთითებს, რომ ჩვენი მორალური პრინციპებისთვის ესა თუ ის საქციელი მიუღებელია. ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ მშობლები არ ვაყალიბებთ შვილებს მორალურად ან არ ვსაუბრობთ მათთან, რა არის სწორი და რა - არა! მაგრამ როდესაც შვილებს რაღაც აქვთ სათქმელი და მოსაყოლი, მორალისტისა და დიდაქტიკოსის როლი უნდა მივატოვოთ და აქტიური მსმენელის პოზიცია დავიკავოთ, როდესაც მის მონათხრობს შეძლებისდაგვარად არაფრისმთქმელი, ან მხოლოდ თანაგრძნობის, გაგების გამომხატველი რეპლიკებით ვხვდებით, ის მეტად გულწრფელია და თავად პოულობს გამოსავალს!

მოვიყვანოთ მაგალითი:

მეოთხეკლასელი ნინო: მარინა მასწავლებელმა ჩემი ნახატი გამოფენაზე არ გაიტანა!

**დედა:** წარბეზის აწევით გამოხატავს ინტერესს და ინარჩუნებს ნეიტრალურ ემოციას!

**ნინო:** 25 ბავშვიდან 14-ის ნამუშევრები შეარჩია, ჩემი - არა!

**დედა:** როგორ ფიქრობ, შემდეგ გამოფენისთვის შეიძლება დახატო უკეთ?

**ნინო:** კი, თუ მეტად მოვიწოდებ!

თუკი დედა ნინოს მიერ ნათქვამ პირველივე ფრაზას შეაგებებდა პასუხად, რომ იზარმაცა, მეტი შრომაა საჭირო, ან კიდევ უარესი, ალბათ ხატვის ნიჭი არა გაქვსო, ნინო საერთოდ დაკარგავდა მოტივაციას როგორც ხატვის უნარის გაუმჯობესებისა, ასევე დედასთან შემდგომი ურთიერთობის!

ნეიტრალური პოზიციის შენარჩუნება მშობლისათვის საკმაოდ რთული ამოცანაა, მით უფრო, რომ ხშირად აშკარაა ჩვენი შვილების შეცდომა ან ნაკლებად მორალური ქცევა, მაგრამ თუკი მივუბრუნდებით ზემოთ ნათქვამს შვილებისადმი ნდობისა და პატივისცემის შესახებ, ისინი თავად იპოვიან სწორ გზას და თავად მოაგვარებენ პრობლემებს, თუმცა, თუკი მონაყოლიდან გამომდინარე შვილის ქცევას სჭირდება კორექცია, რასაც ის თავად ვერ ხვდება, ამაზე მოგვიანებით უნდა ვიზრუნოთ, დავსახოთ ფრთხილი სტრატეგია, ისე რომ შვილებს სანანებლად არასოდეს გავუხადოთ ჩვენთან გულწრფელი ურთიერთობა!

## გენდერული სტერეოტიპები ბავშვთა აღზრდის წინააღმდეგ

ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა თანამედროვე მშობლის წინაშე არის ოჯახში გენდერული სტერეოტიპებისაგან მაქსიმალურად დაცლილი აღზრდითი სივრცე, რათა გოგონებსა და ვაჟებს ერთნაირად მიეცეთ განვითარების საშუალება.

**გენდერი** აღნიშნავს ქალისა და მამაკაცის სოციალურად კონსტრუირებულ როლებს, რომლებიც მათ სქესობრივი ნიშნით მიეწერებათ; გენდერი სოციალური მოვლენაა, სქესი - წმინდად ბიოლოგიური.

**გენდერული თანასწორობა**, რაღა თქმა უნდა, არ გულისხმობს ერთნაირ უნარებს. თავისთავად ცხადია, რომ მამაკაცს მეტი ტვირთის ზიდვა შეუძლია და, სამაგიეროდ, ვერ მოახერხებს ბავშვის გაჩენას ან ძუძუთი გამოკვებას. გენდერული თანასწორობა საზოგადოებაში ორივე სქესისთვის თანაბარი უფლებების მიცემას გულისხმობს. თუმცა თანასწორობისთვის ერთი და იგივე პირობა შეიძლება საკმარისი არ იყოს. თუ ჩვენ რაიმე ისეთ დავალებას ვაძლევთ კაცს, რაც უჭირს, კულტურაში განმტკიცებული არაა, ნაკლებად ეხერხება, რადგან მისი სქესის მეხსიერებაში არაა მსგავსი გამოცდილება და ამიტომ მასაც ცუდად აქვს განვითარებული შესაბამისი უნარები, კაცს მეტი დახმარება დასჭირდება, ვიდრე - ქალს. მაგ. თუკი მარტოხელა მამა მრავალშვილიანია, ფინანსურთან ერთად, კარგი იქნება, სახელმწიფომ მიძაც დაახმაროს, მიძა არც მარტოხელა მრავალშვილიან დედას აწყენს, მაგრამ ქალი მაინც უკეთ გაუმკლავდება. სამაგიეროდ, სამართლიანი იქნებოდა მეძუძური ქალისთვის სამუშაო საათების მოკლება.

ამრიგად, გენდერული თანასწორობა არ ნიშნავს ერთი და იმავე პირობების მიცემას, არამედ ისეთი სიტუაციის შექმნას, რომლებშიც პერსპექტივები იქნება თანაბარი. იგივე პრინციპი შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვების აღზრდაზეც მოქმედებს. მათ ხომ სახელმწიფოცა და მშობლებიც მეტ ძალისხმევას ახმარენ, რათა განვითარებისთვის თანაბარი პირობები შეუქმნან. ასევეა გენდერთან მიმართებაშიც.

გენდერული უთანასწორობა აღიარებულია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, მათ შორის ისეთებშიც, სადაც ქალთა უფლებებზე ზრუნვა დიდი ხანია დაიწყო. ამდენად, დაიბადო მამაკაცად, უკვე პრივილეგიაა, თუმცა გენდერული სტერეოტიპები ბიჭებსაც აზიანებს და გოგონებსაც.

საქართველოში გენდერის კუთხით საკანონმდებლო ბაზა მოწესრიგებულია. ჩვენი ქვეყნის კონსტიტუცია სამართლებრივად თანაბარმნიშვნელოვნად განიხილავს ქალსა და მამაკაცს.

საგანმანათლებლო სისტემაშიც არ არსებობს სამართლებრივად სხვაობები გოგონასა და ბიჭს შორის, თუმცა სინამდვილე სხვაა როგორც საზოგადოებაში, ასევე სკოლაში,

ოჯახებში. ყველგან შეინიშნება გენდერული დისკრიმინაცია, რომელიც ორივე სქესს უქმნის პრობლემებს.

ის, რომ გოგონებსა და ბიჭებს განვითარების თანაბარი პირობები არ აქვთ, ასახულია თუნდაც ლიტერატურაში. ზღაპრებშიც კი გოგონას იშვიათად შევხვდებით აქტიურ როლში, რადგან ადამიანის, პერსონაჟის განვითარებას გზა სჭირდება, ქალს კი არ შეეძლო სიარული. თუკი ქმედითი გოგო პერსონაჟები გვხვდება, ისინი ძალადობრივად არიან მოხვედრილი გარეთ. მაგ. კონკიას ქართულ ვერსიაში დედინაცვალ აგდებს ნახირში, სადაც ის საკუთარი გულისხმიერებისა და გარჯის ნაცვლად დედაბრისგან ოქროსფერ თმას მოიპოვებს. მაგრამ კონკიას ტიპის ზღაპრები ძალზე მცირეა. ამიტომ ჩვენი გოგონები ბავშვობიდანვე ეჩვევიან პასიურ როლს, სადაც მეფის ასული კომპში გამოკეტილი იცდის, სანამ მთავარი პერსონაჟი ვაჟი გმირობებს ჩაიდენს. მერე მიდიან სკოლაში, კედლებზე უმეტესად მამაკაცთა პორტრეტები ხვდებათ და ასე... ათასი წვრილმანი ფაქტორია, რომლებიც მათ თავისდაუნებურად აფიქრებინებთ, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლები არიან და განვითარებაში ხელი ეშლებათ.

ბიჭებისთვისაც მძიმეა გენდერული სტერეოტიპებით გაჯერებულ გარემოში ცხოვრება და გაზრდა.

ჩვენი, მშობლების თაობის ბიჭები თავიანთმა დედებმა ოჯახის უპირობო ლიდერებად გაზარდეს, მათთვის არავის უსწავლებია, რომ თუნდაც კარიერულ კიბეზე გოგონებთანაც მოუწევდათ კონკურენცია. სახელმწიფოებრივი ცვლილებების ფონზე საქართველოში მამაკაცი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც გახლდათ, რომ ის არ იყო მზად ორმაგი კონკურენციისათვის, არ წარმოედგინა, რომ ქალებთანაც მოუწევდა შეჯიბრი. თუკი ბიჭებს თანასწორ გარემოში აღვზრდით, ისინი ბავშვობიდანვე გაიაზრებენ, რომ მხოლოდ თავიანთ სქესს კი არა, საპირისპიროსაც უნდა გაეჯიბრონ. სხვათა შორის, ამის ცოდნა სქესთა შორის შუღლს კი არ აღვივებს (როდესაც თანასწორ გარემოში არიან გაზრდილი), არამედ მომავალში მშვიდობიან, პარტნიორულ, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ ურთიერთობებს უზრუნველყოფს.

სრულიად სხვადასხვა და ხანდახან ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგებს ვიღებთ, როდესაც ქონებას უთანასწოროდ ვანაწილებთ სხვადასხვა სქესის შვილებს შორის. მაგ, ბიჭი, რომელსაც ქონება ერგო, უკეთეს საწყის კაპიტალს ფლობს და ამდენად, უკეთ ვითარდება, გოგონა კი ქონების გარეშე დარჩენილი, ქმნის ოჯახს, სადაც ისევ ჩაგრავენ; ან შეიძლება საპირისპირო სცენარიც განვითარდეს: ბიჭი, რომელიც დარწმუნებულია, რომ სამომავლოდ ფლობს ცხოვრების სახსარს, გაზულუქებულია და ნელ-ნელა იმ ქონებასაც კარგავს; გოგო, რომელმაც იცის, რომ უქონელია, ვითარდება, იბრძვის და ბევრს აღწევს. ამიტომ, უმჯობესია, ორივე სქესს მივცეთ თანაბარი ქონებრივი უფლებები, როგორც კანონში გვიწერია.

გარდა გენდერული უთანასწორობისა, დღევანდელობაში პრობლემას ქმნის მკაცრად განსაზღვრული გენდერული როლებიც.

საზოგადოება შეიცვალა, შეიცვალა მასში არსებობისა და გადარჩენის საშუალებები, მაგრამ დარჩა მძაფრად პატრიარქალური შეხედულებები, რომლებიც მამაკაცს სისუსტის გამოვლენის საშუალებას არ აძლევს. მათ არ აქვთ ტირილის უფლება, არ აქვთ უფლება, აღიარონ, რომ ოჯახის რჩენა არ შეუძლიათ, არ აქვთ უფლება, გაამხილონ ფსიქოლოგიური პრობლემების შესახებ... რა თქმა უნდა, ირგვლივ ათასნაირი კაცია, ისევე როგორც ქალი, მაგრამ თუკი ისინი საზოგადოების დაკვეთას ვერ ასრულებენ, მაგ. სახლში სხედან, ბავშვებს უვლიან, ოჯახს ცოლი უზრუნველყოფს, თავს ვერ გრძნობენ ბედნიერად. შეიძლება თავად ძალიანაც მოსწონდეს და უნდოდეს მსგავსი როლი, მაგრამ საზოგადოება ბევრჯერ აგრძნობინებს, რომ მიუღებელია.

მსგავსი პრობლემები, ისევე როგორც უთანასწორობა, ყველგანაა.

მსოფლიოში ორჯერ მეტი ქალი აკითხავს ფსიქიატრს ან ფსიქოთერაპევტს, მაგრამ თვითმკვლევლობით სიცოცხლეს ორჯერ მეტი კაცი ასრულებს. მათ უბრალოდ რცხვენიათ, ითხოვონ დახმარება, რადგან დაბადებიდან ეუბნებიან, რომ უნდა იყვნენ ძლიერები. უცნაურია, „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირი, ტარიელი, საშინლად მტირალაა და რუსთაველს არ ეშინია, გვაჩვენოს, რომ ყველაზე ძლიერი ამავე დროს შეიძლება, იყოს სუსტი, გონზე გადასული, თვითმკვლევლობის პირას მისული. ჩვენ კი ისე წავართვით ქართველ კაცს მგრძნობელობის უფლება, ბავშვსაც კი ვაჩუქებთ: გოგო ხომ არა ხარ, რომ ტირიო!

მკაცრად განსაზღვრული გენდერული როლები აფერხებს ქალის განვითარებასაც. ის აუცილებლად სუსტი, კდემამოსილი (ოღონდ ამ სიტყვის მნიშვნელობა მე, პირადად, აღარ მესმის), მორჩილი და კარგი დიასახლისი უნდა იყოს. ამას ემატება გარეგნული სტანდარტებიც, რომლებიც ქალის მიმართ გაცილებით მკაცრია და თანაფარდობა ასე გამოიხატება: კაცი შეიძლება იყოს მაიმუნზე ოდნავ უკეთესი, ხოლო ქალი უნდა იყოს ლამაზი. დაისმის კითხვა: როგორ ვიყო ბედნიერი, თუკი მოკლე და მობრეცილი ფეხები მაქვს?!

ძლიერ ქალს საზოგადოება კიდევ იღებს, თუ მის გვერდით არ არის კაცი. ნიშანდობლივია, რომ ქართული ლიტერატურის ყველაზე ცნობილ ძლიერ ქალ პერსონაჟს, ოთარაანტ ქვრივს, გვერდით ქმარი არ ჰყავს; მას, მიუხედავად პიროვნული თვისებებისა, სახელიც კი არ ჰქვია თავისი, იმდენად მნიშვნელოვანია ქვრივობა და მაინც ვიღაც მამაკაცზე, მის გვარზე კუთვნილება, რასაც საოჯახო თიკუნი „ოთარაანტ“ გამოხატავს.

დღეს ძლიერ ქალებს გაცილებით უკეთ იღებენ, მაგრამ მათ გვერდით მყოფ შედარებით სუსტ კაცზე აუცილებლად ჩაიქირქილებენ, მერე ეს კაცი იგრძნობს თავს

ცუდად, შეეცდება პარტნიორს თავისი მამაკაცურობა უხეშად დაუმტკიცოს და ეს ისევ ქალს უბრუნდება, ინგრევა ურთიერთობები, რომლებიც შეიძლება სხვა საზოგადოებაში არც დანგრეულიყო.

მოკლედ, თანამედროვე მრავალფერ სამყაროში ქალისა და მამაკაცის მრავალგვარი როლია. თუკი შევეცდებით, რომ ჩვენი აღმზრდელობითი სისტემები გენდერული სტერეოტიპებისაგან დავცალოთ, შვილები სამომავლოდ მოირგებენ იმ როლებს, რომლებიც მეტად გააბედნიერებთ. მკვეთრად გამოხატული სტერეოტიპების ტყვეობაში მოქალაქე მაინც ვერ ასრულებს მისი ბუნებისთვის, უნარებისთვის შეუფერებელ მოთხოვნას, და ვიღებთ უბედურ ადამიანს, რომელიც უკმაყოფილოა საკუთარი თავით და ქვეყნის შენებაშიც თითქმის ვეღარ მონაწილეობს!

### **რატომ უნდა გავზარდოთ ბუნების დამცველი**

სამოქალაქო აქტივიზმის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი დღეს ბუნების დაცვა და მისი გადარჩენისათვის ზრუნვაა. ეკოლოგიური ცნობიერების ამღლება სახელმწიფოსთვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ გარემოს დაცვის სამინისტროს ინიციატივით, ის საბავშვო ბალებიდანვე იწყება. ამან მშვენიერი შედეგები მოიტანა: ბავშვები ადვილად ითვისებენ მათთვის გასაგებ მარტივ უნარ-ჩვევებს, როგორებიცაა: წყლისა და ელექტროენერჯის დაზოგვა, ნაგვის ურნაში ჩაგდება თუ სხვა და მშობლები სიამოვნებით ჰყვებიან, რომ პატარები იქით უთითებენ მათ არასწორ საქციელზე და სასწავლო დაწესებულებაში მიღებული ცოდნა ოჯახში გადააქვთ.

საგნის „მე და საზოგადოების“ ფარგლებშიც ჩვენი შვილები ეკოლოგიასთან დაკავშირებულ ძირითად ცნებებს, პრობლემებსა და ქცევის ნორმებს კიდევ ერთხელ, ასაკის შესაბამისად გაეცნობიან, თუმცა, ისევე, როგორც სამოქალაქო ცნობიერების უდიდესი ნაწილი, ეკოლოგიზმიც ძირითადად ოჯახში ყალიბდება და საქართველოში ამ კუთხით მწირი გამოცდილების გამო ქართველი მშობელი აქაც დახმარებას საჭიროებს.

ვალდართ, ძალიან ცოტა იქნება ისეთი ოჯახების რიცხვი, რომლებიც თავიანთ პატარას კბილის გამოხეხვის პროცესში ონკანის დაკეტვას, წყლის დაზოგვას ასწავლის.

ეს ერთი დეტალია, მაგრამ ზოგადადაც ჩვენი ცნობიერება ეკოლოგიაში გაცილებით დაბალია, ვიდრე - ევროპელის, რომელიც ბუნებრივ რესურსებს ბევრად უფრო ეკონომიურად მოიხმარს და მეტს ფიქრობს გარემოს გადარჩენაზე.

ჩვენი, მშობლების თაობის, ეკოლოგიური ცნობიერება, როგორც ახალი გამოწვევა, პოლიტიკურ დისკურსს, მწვანეთა პარტიებს, მათ აქტიურობას უნდა

ჩამოეყალიბებინა. თუკი ქართველ „მწვანეთა“ ისტორიას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ეკოლოგიური მოძრაობა თავიდან ნაციონალიზმის წიაღში აღმოცენდა. საბჭოთა კავშირის მიწურულს, ე. წ. „პერესტროიკის“ ხანაში, საქართველოში მომძლავრდა ეროვნული მოძრაობა. შეიქმნა იმ დროისათვის მნიშვნელოვანი „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“ და მის საპირწონედ გაცილებით უფრო კონსტრუქციული, ე. წ. ინტელიგენციისაგან დაკომპლექტებული „რუსთაველის საზოგადოება“, რომელსაც მიმდინარე პროცესებში შედარებით კონსტრუქციული როლი უნდა ეთამაშა. „რუსთაველის საზოგადოების“ მაშინდელი ხელმძღვანელის, ქართველი მწერლის, მოაზროვნისა და საზოგადო მოღვაწის, აკაკი ბაქრაძის თაოსნობით ამავე საზოგადოებაში 1988 წელს ჩამოეყალიბდა მწვანეთა მოძრაობა - ეკოლოგიური ასოციაცია, რომელიც დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებს (გივი გიგინეიშვილი, გივი თუმანიშვილი ) და ამავე პროფილის სტუდენტებს (ზურაბ ჟვანია, ეთერ მაისაშვილი ) აერთიანებდა.

მწვანეთა მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იმ დროისათვის იყო ე. წ. „ტრანსკავკასიის რკინიგზა“, რომლის გაყვანაც რუსეთს სურდა და რომელიც, გარდა ეკოლოგიური ზიანისა, ახალ დამაკავშირებელ გვირაბს გაჭრიდა რუსეთთან, რაც 80- იანი წლების ბოლოს გამოხატულად უსიამოვნო პერსპექტივა იყო. შესაბამისად, „ტრანსკავკასიის რკინიგზა“ არ წარმოადგენდა ერთმნიშვნელოვნად ეკოლოგიურ პრობლემას და თუმცა, სტუდენტთა სერიოზული გამოსვლების მიზეზი გახლდათ და ამ ტიპის პოლიტიკური აქტივობის დასაწყისადაც შეიძლება ჩაითვალოს, ის ჩვენს ეროვნულ მეხსიერებას არ შემორჩა, როგორც ეკოლოგიისათვის ბრძოლის გამოცდილება, რადგან მძაფრად იყო გადაჯაჭვული ნაციონალიზმს.

მწვანეთა მოძრაობის ფონზე 1990 წელს პირველად შეიქმნა „მწვანეთა პარტია“, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ შეძლო შეეჩერებინა საქართველოს ეკოლოგიისთვის ერთ-ერთი უმძიმესი პროექტი „ხუდონჰესი“, პირველ გაერთიანებულ საპარლამენტო არჩევნებში ვერც ერთი ადგილი ვერ მოიპოვა.

სამოქალაქო ომის შემდგომ განვითარებული მოვლენების შედეგად 1992 წელს საქართველოში კვლავ გაიმართა საპარლამენტო არჩევნები. მსოფლიოს მწვანეთა პარტიების პლატფორმა დემოკრატია, სოციალური პროექტების განვითარებას, ფემინიზმს ეხება. ჩვენში ეს პოლიტიკური მიმართულებები არც კი განუხილავთ. საქართველოს „მწვანეებს“, ძირითადად, ერთი საკითხი ედგათ: შესულიყვნენ თუ არა შევარდნაძის პარტიაში. საბოლოოდ მათ საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღეს მონაწილეობა და 11 მანდატიც მოიპოვეს. მოგვიანებით ედუარდ შევარდნაძემ შექმნა სრულიად ეკლექტიკური პოლიტიკური გაერთიანება - „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“. საქართველოს მწვანეები (ზურაბ ჟვანია, რევაზ ადამია) ამ პოლიტიკური გუნდის წევრები გახდნენ და მალევე მოიპოვეს მაღალი თანამდებობები, კერძოდ, 1995 წელს ზურაბ ჟვანია საქართველოს პარლამენტის თავჯდომარე გახდა.



1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში ქართველ „მწვანეებს“ დამოუკიდებლად მონაწილეობა არ მიუღიათ, მათ ისევ „მოქალაქეთა კავშირის ფარგლებში“ მოიპოვეს ორი მანდატი.

ამ პერიოდიდანვე „საქართველოს მწვანეები“ ყალიბდება გავლენის უქონელ პოლიტიკურ პარტიად, რომელიც მხოლოდ ეკოლოგიური ხასიათის კანონ-პროექტების დამუშავებაში მონაწილეობს. საბოლოოდ, „მწვანეთა“ მოძრაობების წევრები ვერ ახდენდნენ ქვეყნის პოლიტიკურ სპექტრსა თუ მოსახლეობის ცნობიერებაზე თითქმის ვერანაირ გავლენას, რადგან ისინი შესაბამისი მომენტის დადგომისთანავე იკავებდნენ თანამდებობებს და ტოვებდნენ პარტიას, მათ არ შეინარჩუნეს ევროპული „მწვანეებისთვის“ დამახასიათებელი პოლიტიკური ღირებულებები, მათი ბრძოლა საქართველოს პოლიტიკურ სარბიელზე ყოველთვის იმპულსური და წერტილოვანი იყო და ახალი ქართული სახელმწიფოს ეკოლოგიური ცნობიერების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი არ უთამაშია.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ პოლიტიკურ სარბიელზე „მწვანეთა“ მოძრაობის საკმაოდ სუსტი და არათანმიმდევრული გამოცდილება დაგროვდა, ქართველი კაცი ყოველთვის მგრძნობიარე იყო ბუნების მიმართ და ეს დამოკიდებულება მის ფოლკლორსა თუ ლიტერატურაში აისახებოდა.

თავისთავად ცხადია, გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემებს ქართული ისტორიული კულტურა ვერ შეეხებოდა, რადგან მსგავსი საკითხები კაცობრიობის წინაშე მოგვიანებით, ინდუსტრიალიზაციის განვითარებამ დააყენა. მაგრამ ის ყოველთვის თანაგრძნობით ეკიდებოდა ბუნებას და ქართულ ფოლკლორში არსებული მასალა ბავშვის ცნობიერებაში ჰუმანურ მიდგომებს აყალიბებდა.

ქართულ საბავშვო ფოლკლორში მრავლადაა ისეთი ნიმუშები, რომლებშიც ცხოველები, ფრინველები საუბრობენ და თავიანთ გასაჭირზე ჰყვებიან. ეს ლექსები დღემდე აქტუალურია ქართველი ბავშვის აღზრდისას. საკმარისია, გავიხსენოთ: „საწყალი მელა ჩიოდა, არ მომივიდა ძილია“, ან:

„კურდღელმა თქვა, ჩირგვში ვზივარ,

ვერვინ მოვა ჩემზედაო,

გავიხედე სერზედაო,

ბატონი ზის ცხენზედაო...“

„ირემო, მთასა მყვირალო,

რამ ჩამოგაგდო ბარადა?“

„მეუღლე ჩემი მომიკლეს,

დავეხეტები ცალადა.“

არის ლექსები, რომლებშიც „დამნაშავე“ ადამიანი არაა:

„ნეტამც არ დაგძინებოდა,  
ჩიტო, ნიბლია, ნარზედა,  
წამოგიქროლებს ალალი,  
წაგიყვანს მაღლა მთაზედა.“

ან:

„ქორმა წიწილა წაილო,  
იმახდა წიაგ-წიავსა,  
იმისი თეთრი ბუმბული  
ველად გაჰქონდა ნიავსა.“

ამ ტიპის ლექსები ადამიანში ბავშვობიდანვე აღვივებს ბუნების მიმართ სიყვარულს, სუსტის, სხვანაირის გაგების უნარს.

ქართულ ხალხურ ზღაპარში „გვრიტი“, გვრიტს ბარტყებს ადამიანი ჰპარავს და პერსონაჟები მის საშველად ერთიანდებიან.

ცალკე ყურადღების ღირსია საკმაოდ უცნაური და საინტერესო ლექსი „საბრალო დედაბერი“, რომელიც თავის დროზე იაკობ გოგებაშვილს ჰქონდა შეტანილი „დედა ენის“ მეორე ნაწილში:

„საბრალო დედაბრისასა  
თაგვნი ყანასა მკიანო;  
დევნი ურემსა აბიან,  
ირემნი ძნასა ჰყრიანო;  
შველნი კევრებში შებმულან,  
კალოს გარს დარბენიანო,  
ზედ ანგელოზნი უსხედან,  
წვრილ ხმაზე დასძახიანო...“

ჭინკები, ტახები, წეროები, დათვები, შაშვები - სრულიად სამყარო ერთადაა თავმოყრილი „საბრალო დედაბრის“ დასახმარებლად, რომელიც რატომღაც ადამიანებს მიუტოვებიათ. ეს ლექსი, როგორც ქართული ხალხური აზროვნების ნიმუში, საინტერესოა იმითაც, რომ ფინალში ეს ცხოველები ერთად ილხენენ. მთელი ფოლკლორი, ქართულიც და მსოფლიოც, ხშირად აღწერს, რომ სხვადასხვა სახეობა ერთად ვერ ჭამს. ამისი კლასიკური მაგალითია იგავი „მელა და წერო“, რომელიც ყველამ ვიცით. მელასა და წეროს მეგობრობა ვერ შედგება, რადგან წერო წვრილი სურიდან მიირთმევს და მელასაც იმავეს შესთავაზებს, ხოლო მელა - გაშლილი თეფშიდან და ასე ჭამა წეროს არ შეუძლია. ამიტომ ხალხური გონი ფიქრობს, რომ მხოლოდ სამოთხის აღდგენის შემთხვევაში, პირველქმნილი წესრიგის დაბრუნებისას, იქნება შესაძლებელი, „მგელმა და ცხვარმა ერთად მოძოვოს“. „საბრალო დედაბერი“ ამ მხრივ გამონაკლისია: ფინალში სხვადასხვა სახეობა შრომის, დედაბრისათვის გაწეული დახმარების შემდეგ ერთად ქეიფობს: „ერთად სმენ, ჭამენ, ლხინობენ, ჰარალეს დასძახიანო“ - დედაბრის მიმართ სიბრალული გააერთიანებს სამყაროს!

მეცხრამეტე საუკუნიდან, როდესაც იწყება ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორია, ადამიანი და ბუნება, მათი ურთიერთპარმონიული არსებობის აუცილებლობა ერთ-ერთი მთავარი თემაა. მეოცე საუკუნეშიც ქართველი საბავშვო მწერლები აგრძელებდნენ ამ კუთხით მუშაობას. ორი დიდი ქართველი ჰუმანისტის - ვაჟა-ფშაველასა და რეზო ინანიშვილის შემოქმედების წაკითხვაც კი სრულებით საკმარისია, რომ ცოცხალი თუ არაცოცხალი ბუნების მიმართ თანამგრძნობი, მოსიყვარულე, მომფრთხილებელი თაობები გავზარდოთ.

თუმცა, ერთია თანაგრძნობა, სიყვარული, მოფრთხილება იმისა, რასაც ხედავ, რაც გიყვარს და მეორეა მსოფლიო ეკოლოგიური პრობლემების გააზრება და აღქმა. ეს მესამე-მეოთხე კლასელებისათვის ცოტა რთულია.

სწორად აღნიშნავდა ვაჟა-ფშაველა თავის პუბლიცისტურ წერილში „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ (რომელსაც ჩვენი შვილები უფროს კლასებში შეისწავლიან), სამშობლოს სიყვარული გრძნობის საქმეა და თავისთავად უვითარდება ადამიანს, მსოფლიო მოქალაქეობის აღქმას გონი, განვითარება სჭირდებაო.

ყველას გაგვიგია ლოზუნგებად ქცეული სიტყვები: დედამიწა ჩვენი სახლია! ალბათ, არც ერთ ეპოქაში არ ყოფილა ეს ლოზუნგი იმდენად ხელშესახები, როგორც დღეს, ოცდამეერთე საუკუნეში. გლობალური ეკოლოგიური კატასტროფების საშიშროებამ დედამიწა უფრო მეტად გააერთიანა და ციფრულმა სამყარომ უფრო ხელშესახები გახადა მისი ყველა წერტილი.

ოზონის ხვრელი, გლობალური დათბობა - ეს ის პრობლემებია, რომელთა კვლევაზე მდიდარი სახელმწიფოები უზარმაზარ თანხებს ხარჯავენ. ეს არის კიდევაც მათი

პასუხისმგებლობა, რადგან მდიდარს, როგორც საზოგადოების, ასევე სახელმწიფოებრივ დონეზე აქვს მორალური ვალდებულება, მეტი გაიღოს.

თუმცა მხოლოდ ესეც არაა. რაც უფრო მდიდარია ქვეყანა, თვლიან მეცნიერები, მით უფრო დიდია მის მიერ ატმოსფეროსთვის მიყენებული ზარალი.

რა შეგვიძლია გავაკეთოთ ჩვენ, ინდივიდებმა, როცა შეიძლება ითქვას, რომ მთლიანად ქვეყნის რესურსიც კი ამ პრობლემასთან ბრძოლაში ძალიან მცირეა?

როგორ შეიძლება დაუპირისპირდე მსოფლიო ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც ყოველდღიურად აუარესებს ატმოსფეროს მდგომარეობას?! მდიდარი ქვეყნები იაფი მუშახელის გამო სხვა სახელმწიფოებში ეზიდებიან ნედლეულს, იქ აწარმოებენ და შემდეგ ვრცელდება მსოფლიოში. ეს ყველაფერი დედამიწაზე საწვავის ხარჯს ზრდის და ოზონის ხვრელის ზრდას აჩქარებს.

ოზონის ხვრელის ზრდას აჩქარებს ერთი შეხედვით ისეთი უწყინარი რამ, როგორცაა, ვთქვათ, საქართველოში ბანანის ჭამა. თავისთავად ცხადია, ის აქ არ იზრდება და მისი ტრანსპორტირებისათვის საწვავი უნდა დაიხარჯოს.

ასევე დიდი ხარჯია პლანეტისთვის მოჭარბებული ტანსაცმლის წარმოება და საერთოდ, ნებისმიერი წარმოება, შემდეგ მისი ექსპორტი და ა. შ. ესეც დაკავშირებულია საწვავთან. ეს ყველაფერი კი, საბოლოოდ, ატმოსფეროში იყრის თავს.

აი, ვცხოვრობ რიგითი მოქალაქე საქართველოში, ქვეყანაში, რომელიც არც თუ მდიდარია და გაუმართავი ტრანსპორტისგან მიყენებულ ზიანს თუ არ ჩავთვლით, წარმოება იმდენად მცირეა, დიდ ზარალს არ აყენებს დედამიწას.

შეიძლება ვხვდები და ემოციურ დონეზე აღვიქვამ, რომ საჭიროა ჩემი ქვეყნის ეკოლოგიისთვის ბრძოლა. ამიტომ ვეწინააღმდეგები დიდი ჰესების მშენებლობას, ვაწერ ხელს შესაბამის პეტიციებს, როცა საჭიროდ მიმაჩნია, გავრზივარ საპროტესტო აქციებზე, ვიცავ სკვერებს, ხეებს, ხანდახან წარმატებულადაც, ვზოგავ ენერჯიასა და წყალს, არ ვანაგვიანებ ბუნებას, ყოველთვის მზად ვარ ვაცნობო შესაბამის ორგანოებს უკანონო ნადირობის, თევზაობის, ხის ჭრის შესახებ. ჩემი შვილებიც შესაბამისი ეკოლოგიური ცნობიერებით ყალიბდებიან. ისინიც ეწინააღმდეგებიან ქალაქში, ვთქვათ, კლდის ჭრას, რომელიც მერე ჩამოიშლება, გარბიან ვაკის ან რომელიმე პარკის დასაცავად, მაგრამ ჩემი საქციელი იშვიათადაა მიმართული მთლიანად დედამიწის გადასარჩენად. იმდენად გლობალურია პრობლემა და იმდენად მცირეა თითოეული ჩვენგანის მიერ გაწეული ძალისხმევა, თანაც დედამიწა დიდია, ჩვენ კი პატარა ქვეყნის შვილები ვართ, რომ ამ პასუხისმგებლობის აღება, გაცნობიერება, გათავისება ძალიან გვიჭირს. უფრო მარტივია კონკრეტული ქმედებები: მაგ, ყოველთვის ვიქონიოთ ნაჭრის ჩანთა, დავზოგოთ პოლიეთილენი, დავზოგოთ ჩვენს ხელთ არსებული რესურსები, უპირატესობა მივანიჭოთ ადგილობრივ პროდუქციას,

ვიდრე ვიაზრებდეთ, რომ ეს ყველაფერი ჩვენი საერთო სახლის, დედამიწის გადასარჩენად გაწეული ძალისხმევაა.

დღეს საქართველოში წარმატებული მოქალაქის აღზრდის ბუმი. იმდენად რთული და ძნელად დასაგეგმი გახდა ცხოვრება, ყველა ერთმანეთს წარმატებას ან წარმატებული შვილის გაზრდას უსურვებს.

თუკი ქართულ კულტურულ სივრცეში შექმნილ ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პერსონაჟს, ავთანდილს გავიხსენებთ, ვნახავთ, რომ მის გზაზე წარმატების საწინდარი მსოფლიოს კოსმოგონიური აღქმაა. მიდის ავთანდილი ნესტანის საძებრად და თან პლანეტების მიმართ ლოცულობს. ის არა მხოლოდ დედამიწას მიაკუთვნებს თავს, არამედ მთელ კოსმოსს და იმდენად დიდია მისი ნდობა სამყაროსადმი, რომ ეს სამყარო ერთიანდება მის გარშემო, პირველქმნილ წესრიგს იბრუნებს და ყველა ერთად უსმენს მის სიმღერას. ამ სცენის შემდეგ, ფაქტობრივად, გარანტირებულია წარმატება.

რაც უფრო დიდია ადამიანი, მით უფრო დიდ საზოგადოებას, არეალს მიაკუთვნებს თავსო, ვაჟაც წერდა. თუ დიდი და წარმატებული მოქალაქეების გაზრდა გვინდა, ჯერ ჩვენ უნდა აღვიქვათ, რომ ეს სამყარო მართლაც ერთიანია და შემდეგ ჩვენი ქცევით შვილებშიც ნელ-ნელა გავაღვივოთ გლობალური ეკოლოგიური პრობლემებისადმი პასუხისმგებლობა. ეს ძალიან ძნელია, მით უფრო ჩვენთვის, საბჭოთა სინამდვილეში გაზრდილი თაობისთვის, სადაც საკუთარი სახლის იქით საშინლად შესუსტებული იყო საკუთრების გრძნობა. ამ პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებასაც ალბათ თაობები დასჭირდება, მაგრამ დღესვე შეგვიძლია რაღაც ჩვევები გამოვიმუშაოთ და თან ხშირად აღვნიშნოთ, რომ ამ ყველაფერს მთლიანი დედამიწისთვის ვაკეთებთ. ქვემოთ შევეცდები ასეთი ქცევების ჩამონათვალი გავაკეთო. თქვენც განაგრძეთ და განავრცეთ:

1. ნაგავს ვყრით მხოლოდ ურნაში.
2. ყოველთვის ვკეტავთ ონკანს.
3. გაფუჭების შემთხვევაში დროზე ვიძახებთ ხელოსანს.
4. ვცდილობთ, ჩვენი საცხოვრებელი იყოს ენერგოეფექტური, მძიმე ფარდები ხელს უშლიდნენ მის გადახურებას, ხარისხიანი კარ-ფანჯარა ან ღრიჭოების საზამთროდ დაგმანვა - ტემპერატურის დაკარგვას.
5. ვაცნობიერებთ და შვილებთანაც განვიხილავთ, რომ ენერგოეფექტური სახლი არა მხოლოდ ჩვენს ფინანსებს ზოგავს, არამედ საერთოდ დედამიწის რესურსსაც.
6. ვცდილობთ შევიძინოთ მეორეული საქონელი.
7. ვცდილობთ, ნივთებს გამოყენების შემდეგ მივცეთ ახალი სიცოცხლე.
8. ვცდილობთ, უპირატესობა მივანიჭოთ ადგილობრივ პროდუქტებს.
9. მოვიხმართ ნაკლებ პოლიეთილენს.

10. უპირატესობას ფეხით ან საზოგადოებრივი ტრანსპორტით სიარულს ვანიჭებთ და განვიხილავთ, რა სარგებლობა მოაქვს დედამიწისთვის.
11. საკუთარი ავტომანქანის შემენისას ყურადღებას ვამახვილებთ, რომ იყოს ნაკლები ეკოლოგიური ზიანის მომტანი და ამას განვიხილავთ შვილებთან.
12. ვიცავთ ხეებს, ბუნებას, სოფლად ცხოვრების შემთხვევაში ვუფრთხილდებით არსებულ ეკოსისტემას, არ ვარღვევთ ბუნებასთან დაკავშირებულ კანონებს და საჭიროების შემთხვევაში, არ გვეზარება დარღვევების შესახებ ვაცნობოთ შესაბამის ორგანოებს.
13. ქალაქის მცხოვრებლები ვიცავთ დარჩენილ სიმწვანეს, ვრწყავთ ქუჩაში ხეებს, მოვითხოვთ მეტ გამწვანებას.
14. თუ ვფიქრობთ, რომ რომელიმე მშენებლობა უკანონოდ აზიანებს ქვეყნის ეკოსისტემას, კანონით გათვალისწინებული ყველა ფორმით ვცდილობთ წინ გადავუდგეთ.
15. თუ ვერ ვახერხებთ დედამიწისთვის სასარგებლო ქცევას, განვიხილავთ ბავშვებთან, რატომ ხდება ასე, გამოვხატავთ წუხილს, ვცდილობთ ვიპოვოთ გამოსავალი.

ამ ტიპის ქმედებებით, ჩვენ შევძლებთ გაცილებით მაღალი ეკოლოგიური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას მომავალ თაობებში და რაც უფრო ფართო იქნება მათი პასუხისმგებლობის არეალი, მით უფრო მაღალი იქნებათ სამყაროსადმი ნდობა, რომელიც ყოველთვის უფასდება ადამიანს და საბოლოოდ წარმატებულ, გარემოსთან ჰარმონიაში მყოფ, მზრუნველ, სწორ მოქალაქეებად აყალიბებს.

ამდენად, ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება, უნარ-ჩვევების გამომუშავება თანამედროვე მოქალაქის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია და რაც მთავარია, ბუნება, რესურსები, დედამიწა, ატმოსფერო როგორც არასდროს, სულ უფრო და უფრო მწვავედ საჭიროებენ დაცვას, მოფრთხილებას, სწორ პოლიტიკას!

## ცხოველთა უფლებები

თანამედროვე საზოგადოების, თანამედროვე მოქალაქის ფორმირებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი ცხოველებზე ზრუნვას, მათი უფლებების დაცვას, უსაფრთხოების ნორმების ცოდნას ეთმობა.

ხშირად გაიგონებთ: რა დროს ცხოველების უფლებებია, როდესაც ადამიანის უფლებებია დასაცავი, რა დროს ცხოველის ღირსებაზე ფიქრია, როცა ადამიანები ცხოვრობენ ღირსებისთვის შემლახველ პირობებში და ა. შ.

სინამდვილეში დემოკრატიული, ჰუმანური საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში ცხოველთა უფლებებს, მათზე ზრუნვას გადამწყვეტი როლი ენიჭება. კვლევები აჩვენებს, რომ ადამიანები ერთნაირად ძალადობენ ქალზე, მოხუცზე, ბავშვზე, ცხოველზე... ზოგადად, მათზე სუსტ ნებისმიერ არსებაზე და ამ ძალადობრივი სისტემისგან გათავისუფლებაც ერთიანი, კომპლექსური პროცესია.

ამდენად, ცხოველთა უფლებების დაცვა, თანამედროვე ბავშვისთვის ამ წესების სწავლება და საერთოდ, ცხოველთა მიმართ ჰუმანურად განწყობილ საზოგადოებაში განვითარება ჩვენი შვილები ფსიქო-ემოციური, ინტელექტუალური, ფიზიკური, ესთეტიკური განვითარების ერთ-ერთი პირობაა. ასეთი საზოგადოება კი ჩვენ, მშობლებმა, უნდა შევქმნათ.

### კანონმდებლობა

ცხოველთა უფლებებზე ზრუნვა საკანონმდებლო დონეზე გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო. 1977 წელს ლონდონში შეიქმნა ცხოველთა უფლებების მსოფლიო დეკლარაცია:

#### მუხლი 1

ყველა ცხოველს აქვს თანაბარი უფლება იარსებოს ბიოლოგიური წონასწორობის პირობებში;

#### მუხლი 2

ყველა ცხოველს აქვს უფლება მოეპყრან პატივისცემით;

#### მუხლი 3

3.1 არც ერთ ცხოველს არ უნდა ეპყრობოდნენ ცუდად, მით უმეტეს - სასტიკად;

3.2 თუ აუცილებელია ცხოველის მოკვლა, ეს უნდა მოხდეს მყისიერად, ტკივილისა და ტანჯვის მიყენების გარეშე;

3.3 მკვდარ ცხოველს არ უნდა მოვეპყრათ უკადრისად;

## **მუხლი 4**

4.1 გარეულ ცხოველებს აქვთ საკუთარ ბუნებრივ გარემოში თავისუფლად ცხოვრებისა და გამრავლების უფლება;

4.2 გარეული ცხოველებისათვის თავისუფლების ხანგრძლივად წართმევა, ნადირობა და თევზაობა გართობა-დროსტარების მიზნით, აგრეთვე ცხოველების ნებისმიერი გამოყენება არასაციცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიზნით, არღვევს გარეულ ცხოველთა ძირითად უფლებებს;

## **მუხლი 5**

5.1 ადამიანზე დამოკიდებული ნებისმიერი ცხოველის უფლებაა მიიღოს შესაფერისი მოვლა და ზრუნვა;

5.2 დაუშვებელია ცხოველის უმიზეზოდ, გაუმართლებლად მიტოვება ან მოკვლა;

5.3 ცხოველის გამოყენების ნებისმიერი ფორმა და გამრავლების ნებისმიერი სახე უნდა პასუხობდეს სახეობისათვის დამახასიათებელ ფიზიოლოგიურ და ქცევით ნორმებს;

5.4 გამოფენები, დემონსტრაციები, აგრეთვე ფილმები ცხოველთა მონაწილეობით არ უნდა ლახავდნენ მათ ღირსებას და არ უნდა შეიცავდნენ ძალადობის ელემენტებს;

## **მუხლი 6**

6.1 ცხოველებზე ისეთი ექსპერიმენტები, რომლებიც იწვევენ მათ ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ტანჯვას, არღვევს ცხოველთა უფლებებს;

6.2 სისტემატურად უნდა ვითარდებოდეს და ხორციელდებოდეს ცხოველთა სულადობის აღდგენის მეთოდები;

## **მუხლი 7**

ნებისმიერი ქმედება ან გადაწყვეტილება, რომელიც იწვევს ცხოველის გაუმართლებელ სიკვდილს, წარმოადგენს სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს;



## **მუხლი 8**

8.1 ნებისმიერი ქმედება ან გადაწყვეტილება, მიმართული გარეული ცხოველის სახეობის განადგურებისაკენ, გენოციდის ეკვივალენტურია, ანუ არის დანაშაული მიმართული სახეობის წინააღმდეგ;

8.2 გარეული ცხოველების დახოცვა, ბიოსფეროს დაბინძურება და დაზიანება გენოციდური ქმედებებია;

## **მუხლი 9**

9.1 ცხოველთა გარკვეული იურიდიული სტატუსი და უფლებები უნდა განისაზღვროს სახელმწიფო კანონმდებლობით;

9.2 ცხოველთა დაცვა და უსაფრთხოება გარანტირებული უნდა იყოს სახელმწიფო ორგანიზაციების დონეზე;

## **მუხლი 10**

საგანმანათლებლო სახელმწიფო ორგანოები ადრეული ასაკიდან უნდა უზრუნველყოფდნენ მოქალაქეთა მიერ ცხოველებზე დაკვირვების, მათი გაგებისა და მათდამი ჰუმანურად მოპყრობის ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

შინაურ ცხოველთა დაცვის ევროკონვენცია, ცხოველთა დაცვის ევროკონვენცია საერთაშორისო ტრანსპორტირებისას, კონვენცია ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების შესახებ, წითელი წიგნი, საქართველოს კანონმდებლობა, კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

**მუხლი 103.** ძაღლისა და კატის ყოლის წესების დარღვევა;

გარეული ცხოველების ტყვეობასა და ნახევრად თავისუფალ პირობებში დაცვის, შენახვის, გამოყენებისა და გამრავლების წესების დარღვევა;

**მუხლი 104.** ცხოველებისა და ფრინველებისადმი სასტიკი მოპყრობა;

საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი –

**მუხლი 259.** ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობა

საქართველოს კანონი „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ

ვეტერინარული სამსახურისა და ცხოველთა ჭერის საქმიანობისათვის საჭირო საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა

გამოყენების წესის დამტკიცების თაობაზე – საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება N2-107 2014 წლის 28 მაისი, თბილისი.

თბილისსა და მის შემოგარენში ცხოველთა უფლებებს ასევე არეგულირებს თბილისის მერიის ბრძანებულებები, რომლებიც უპატრონო და პატრონიან ცხოველთა გამრავლებას, სტერილიზაციას, თავშესაფრებს, უფლებებს, პატრონების მოვალეობებს, ევთანაზიის წესსა და სხვა ამგვარ რეგულაციებს ეხება. დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ თბილისის მერიის ოფიციალურ ვებ გვერდზე.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2805510>

### **ცხოველები და ქართული ტრადიციები**

საქართველოს სხვადასხვა კუთხეს ცხოველთან დაკავშირებული სხვადასხვა ტრადიცია, მოპყრობის წესი თუ ჩვევა ჰქონდა. თავისთავად ცხადია, ნადირობა გაცილებით გავრცელებული იყო, ვიდრე დღესაა, რადგან გაცილებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ადამიანის გამოკვების საქმეში მონადირეებულ ნადავლს. გარდა ამისა, გაცილებით მეტი იყო ტყეში ცხოველი, რაც ბუნების მიმართ მიყენებული ზარალის ხვედრით წილს ამცირებდა. ნადირობა რომ არ ყოფილიყო ზღვარგადასული, გარკვეულ დღეებში - ხატობებში, მარხვისას, თუკი ოჯახის წევრ ქალს ჰქონდა მენსტრუაცია, თუკი სოფელში იყო მიცვალებული და ა. შ. - ნადირობა იკრძალებოდა. იკრძალებოდა როგორც ნადირობა, ასევე ხის ჭრა, ფიჩხის წამოღებაც კი ე. წ. „ხატის ტყეებიდან“. ანუ გარკვეული ადგილები სოფელს მიაჩნდა წმინდად და ეს ტერიტორიები ნაკრძალის ფუნქციას ასრულებდა. კვლევებმა აჩვენა, რომ ასეთი „ხატის ტყეები“ ძირითადად მეწყერსაშიშ ზონებში იყო და მოსახლეობა ამ ტყის მოფრთხილებით სოფელს - მეწყერისგან, მთებს ეროზიებისგან იცავდა, ხეთა ფესვები ხომ ნიადაგს ამაგრებს.

სვანეთის ზოგიერთ სოფელში მეკვლე, რომელიც ოჯახის უფროსი უნდა ყოფილიყო, ჯერ ცხოველთა ბაგებს მოინახულებდა, მათ მიულოცავდა ახალ წელიწადს და მხოლოდ შემდეგ შედიოდა ოჯახში.

საქართველოს მთაში, სადაც მესაქონლეობა მეურნეობის ძირითადი დარგია, ჯერ კიდევ წინა საუკუნის 80-იან წლებში, ჩემს ბავშვობაში არ იყო იშვიათი მსგავსი ტიპის მოკითხვა: როგორა ხარ ცხვარ-ძროხითა და ოჯახობითაო?! ანუ ჯერ საქონელს ეკითხებოდნენ და შემდეგ - ოჯახს, რადგან ოჯახის კეთილდღეობა სწორედ საქონელზე იყო დამოკიდებული.

ამდენად, შინაური პირუტყვის მნიშვნელობიდან გამომდინარე, დიდ სირცხვილად ითვლებოდა მოუვლელი, გამხდარი, მშიერი ცხოველების ყოლა. ოჯახის ღირსების ერთ-ერთი საზომი სწორედ ეს იყო.

თუმცა, რაღა თქმა უნდა, ამ ცხოველებს დაკლავდნენ და მოიხმარდნენ, ბევრი იყო წარმართობიდან გადმოყოლილი ჩვეულებაც, მაგ. ჩემი მთიული ბებია არაფრით არ გაზრდიდა პირველ ხბოს, ასე ამბობდა, წინათ ადამიანი პირველ შვილს სწირავდა, მერე ღმერთმა გაზრდის უფლება მისცა და ძროხის პირველი შვილით ჩაუნაცვლავო. მთაში დღემდე სამარცხვინოდ ითვლება მგალობლების დახოცვა, მაშინ როცა გურიაში მიღებულია შაშვებზე ნადირობა. ცნობილია, რომ სამეგრელოში ცხენის ქურდობა საამაყო საქმედ მიიჩნეოდა, რადგან ცხენს ადამიანი თვალის ჩინზე მეტად უფრთხილდებოდა და შესაბამისად, მისი ქურდობა გარკვეულ მოხერხებას თხოულობდა.

თუში მეცხვარეები განთქმული იყვნენ თავიანთი ძაღლების დაფასებით. თუკი მეცხვარის ძაღლი მგელს მოიგერიებდა, დაამარცხებდა და დაახრჩობდა, პატრონი მას ფარიდან წინასწარვე შერჩეულ, შედარებით სუსტ, განწირულ ცხვარს უკლავდა და მისი გულ-ღვიძლით უმასპინძლდებოდა. ამბობენ, ეს თბილი, სისხლიანი გულ-ღვიძლი წმენდდა ძაღლის ყელს, რომელიც შეიძლებოდა მგლის ბეწვისგან გასიებულიყო და ცხოველი დაეხრჩო.

საყოველთაოდ ცნობილია ქართველი კაცის პატივისცემით გამსჭვალული დამოკიდებულება ხარებისადმი. ის თითქმის წმინდ ცხოველადაა შერაცხული.

„ორშაბათობით აშენდა

ციხე-ქალაქი მთაზედა,

ქვა შემოივლო გალავნად,

ცა დაიხურა თავზედა,

სასახლე, სადარბაზი

დგას ოქროს ბოდობაზედა.

ადამიანის შენახვა

ვერავინ იდვა თავზედა.

ხვნა-თესვა, ფარცხვა და ზიდვა

გაჭირდა მეტად ძალზედა.

ხარმა თქვა, პირნათლიერმა:

- მე დამაწერეთ რქაზედა.

მოცვივდნენ ანგელოზები,  
დაჰკოცნეს ორსავ თვალზედა.  
ჩამოჰქნეს წყვილი სანთელი,  
მიაკრეს ორსავ რქაზედა,  
შვიდიც უბოძეს სარტყელი,  
გაგზავნეს ქვეყანაზედა.  
წადი, ხარო, იმუშავე,  
ერთგულად მთა და ბარზედა,  
შეგაბას შენმა პატრონმა,  
გამუშავებდეს ძალზედა,  
ექვსი დღე უღელში ები,  
მეშვიდეს დაწექ მხარზედა,  
კვირა-უქმეს გამოგიშვას,  
გაგიშვას სამოვარზედა,  
ვინც კვირა-უქმეს შეგაბას,  
ხელიმც შეახმეს მხარზედა.“

საინტერესოა, როგორაა დაცული ხარის უფლება, ერთ დღეს მაინც დაისვენოს. მახსოვს, სანამ სოფელში ხარები ჰყავდათ, ხვნის სეზონამდე ასვენებდნენ, უღელში არაფრით არ შეაბამდნენ, ძალ-ღონე უნდა მოიკრიბოს, ცოდოაო.

ილია ჭავჭავაძეც, როდესაც პერსონაჟის სამოქალაქო სინდისის ჩვენება უნდა, ცხოველებთან დაკავშირებულ სცენებს იყენებს. გემახსოვრებათ, „ოთარაანთ ქვრივში“ ორჯერ ჩხუბობს გიორგი და ორივეჯერ ცხოველთა მიმართ უდიერი მოპყრობის გამო. მართლაც ასეა. ადამიანობა, სამოქალაქო პასუხისმგებლობა ყველაზე სუსტის, უთქმელის მიმართ ყველაზე მეტად იჩენს თავს.

### **ცხოველები და ბავშვები**

თუ გავითვალისწინებთ, რომ თბილისში საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ცხოვრობს, გამოვა, რომ ჩვენი ბავშვებიც ძირითადად ქალაქად იზრდებიან. სამწუხაროდ, ძალიან ცოტა ბავშვს აქვს კავშირი ცხოველებთან. ჩემს შვილებს, მაგალითად, არ აქვთ ნანახი, როგორ იჩეკება წიწილა, როგორ დგება ფეხზე ახალდაბადებული ხბო... არ გაუზრდიათ არც ერთი ცხოველი. როგორც მე

დავდიოდი სოფელში, ისინიც იმავე ინტენსივობით დადიან, მაგრამ სოფელი მოხუცებისგან დაიცალა. აღარც ძროხებია, მამლის ყვილსაც ძლივს გაიგონებ. მათნაირი ალბათ ძალიან ბევრია.

ცხოველებს, მათთან ურთიერთობას უდიდესი როლი აქვს ბავშვთა განვითარებაში. ჩვენს შვილებს კი, განსაკუთრებით ქალაქში, ეს ურთიერთობა აკლიათ. არ არის გამორიცხული, ბავშვთა შორის გახშირებული ნევროზების, ჰიპერაქტიურობის, აგრესიის, ყურადღების დეფიციტის, აუტიზმისა და სხვა მრავალი დარღვევის ზრდის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ცხოველებთან ურთიერთობის დეფიციტია. ამიტომ, თუკი საშუალება გვაქვს, ნუ ვეტყვით უარს შვილებს შინაური ცხოველების ყოლაზე. ცხოველები მათზე დადებითად მოქმედებენ.

ქვემოთ შევეცდები რამდენიმე მიზეზის ჩამოთვლას, რომელთა გამოც სახლში შინაური ცხოველების ყოლა ღირს:

1. ბავშვები, რომელთაც შინაური ცხოველები ჰყავთ, უფრო ჯანმრთელები არიან. მათი იმუნოსისტემა პატარაობიდანვე ეგუება იმ მიკრობიოლოგიურ კლიმატთან გამკლავებას, რომელიც ცხოველებს ახლავს. ამიტომ თავიდანვე ძლიერ იმუნიტეტს ივითარებენ, გაცილებით ნაკლებად უჩივიან ალერგიებს, თუკი ცხოველი მოძრავია და ბავშვიც მასთან ერთად ფიზიკურად აქტიური, დარბიან ქუჩაში, ხტან, გორაობენ, ეს დამატებით ფაქტორს ქმნის ბავშვის ფიზიკური ჯანმრთელობის ჩამოყალიბებისთვის.
2. ცხოველები ჩვენი შვილებისათვის ერთგვარად თერაპიულ როლსაც ასრულებენ, ძალიან სასარგებლოა ცხოველი, თუკი ბავშვი გახდა რაიმე სახის ძალადობის მსხვერპლი. დაზარალებული ბავშვისთვის ცხოველი ის მეგობარია, რომელთანაც უფრო ადვილად შეიძლება ურთიერთობა და, რაც მთავარია, ცხოველებს უპირობოდ უყვართ ბავშვები, რაც ძალადობის მსხვერპლს ყველაზე მწვავედ სჭირდება მდგომარეობიდან გამოსასვლელად.
3. ცხოველები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ისეთი პრობლემების მოგვარებისას, როგორც არის ჰიპერაქტიულობა და ყურადღების დეფიციტი. თუკი პატარას საკუთარი საყვარელი ცხოველი ჰყავს, ის ცდილობს, არ დაკარგოს ქუჩაში, არ გამოეპაროს მისი კვების დრო, არ შეაწუხოს მძინარე ხმაურით და ა. შ. ამასთანავე, უვითარდებათ პასუხისმგებლობის გრძნობა.
4. ცხოველები ასწავლიან ბავშვებს ემოციურ რეგულაციას, რაც ასე მნიშვნელოვანია თანამედროვე სამყაროში. ბავშვი ცხოველთან უფრო გამოხატავს, რომ უხარია, სწყინს, ეშინია, ენატრება, გამოხატული გრძნობის მართვა კი გაცილებით ადვილია.
5. ასევე მნიშვნელოვანია შინაური ცხოველები ბავშვის ინტელექტუალური უნარების განსავითარებლად. პატარები უკეთ აღიქვამენ ფორმებს, უვითარდებათ ესთეტიკის, მშვენიერების აღქმის უნარი (ჩემს ძალს წვეტიანი ყურები აქვს, ნიკოს კატა ლამაზია), უვითარდებათ ფანტაზიისა და

თვითრეფლექსიის უნარები, რადგან ხშირად „საუბრობენ“ თავიანთ ცხოველებთან და ეს გარკვეულ ფანტაზიას მოითხოვს.

### **რამდენიმე რჩევა და რეკომენდაცია ცხოველებთან დაკავშირებით**

თუკი ძაღლის ან კატის ყოლა გადაწყვიტეთ, უპირატესობა თავშესაფრიდან წამოყვანას ან ვილაციისგან ჩუქებას მიანიჭეთ. თან იყოლიეთ ბავშვიც, მიეცით არჩევანის საშუალება, მიაქციეთ ყურადღება მის სურვილს. ძაღლთსაშენებში გამოყვანილი სუფთა ჯიშის ლეკვები გაცილებით უფრო ძნელად მოსავლელები არიან, რადგან ახლო ჯიშებთან შეჯვარებით მათი გენეტიკური ფონი სუსტია. მაგ. ფრანგული ბულდოგის დაავადების რისკი 50-ჯერ მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი ქუჩის ძაღლისა. თანაც, ნაჩუქარი ძაღლით ბავშვი დამატებით სწავლობს სიკეთის გაკეთებას, სხვისთვის თავშესაფრის მიცემას.

სანამ ცხოველს მოიყვანდეთ, ბავშვებთან ერთად კარგად გაეცანით ზემოთ მოყვანილ ცხოველთა უფლებებს.

თუკი ცხოველი ბავშვის სურვილით მოგყავთ სახლში, კარგად აუხსენით მისი უფლება-მოვალეობები, განსაკუთრებით ის, რომ ნაკისრ ვალდებულებებზე უარს ვეღარ იტყვიან.

ბავშვმა აუცილებლად უნდა იცოდეს, რომ

- ნებისმიერი ცხოველის გაკაწვრის ან კბენის შემთხვევაში უნდა გააგებინოს უფროსს.
- ნაკბენი ადგილი უნდა იზანოთ 10 წუთის განმავლობაში ცივი გამდინარე წყლით და შემდეგ მიმართოთ ექიმს.
- ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ თუ ცხოველს ჰყავს პატრონი, მოფერების ნებართვა უნდა სთხოვოს პატრონს.
- თუ ცხოველი უპატრონოა, უფროსის ნებართვის გარეშე არ შეიძლება მისთვის ხელის მოკიდება.
- თუ ქუჩაში ძაღლი თავს გესხმის, არ შეიძლება ყვირილი, გაქცევა (თუ დარწმუნებული არ ხარ, რომ გაასწრებ). უნდა ჩაჯდე, მაქსიმალურად მოიკრიბო სიმშვიდე და ხელები გადაჯვარედინებულად აიფარო სახეზე, არ უნდა შეხედო თვალებში. თუ ძაღლი დამშვიდდა, ნელ-ნელა უკუსვლით უნდა დაიხიო უკან.

თუკი 6- 7 წლის ასაკს მიღწეული ბავშვი გაცნობიერებულად ძალადობს ცხოველზე, 30 პროცენტია იმის ალბათობა, რომ ბავშვზეც ძალადობენ.

ასეთ შემთხვევაში, როცა საქმე ჩვენი შვილების მსხვერპლად ყოფნას ეხება, 30 ძალიან მაღალი პროცენტია, ამიტომ სასწრაფოდ და საფუძვლიანად უნდა გამოვიკვლიოთ ბავშვის ცხოვრება, ხომ არ ძალადობს მასზე ვინმე - ოჯახში, ქუჩაში, სკოლაში... ხომ არ არის რაიმე ტიპის დევნის მსხვერპლი, ხომ არ აშინებენ ან სექსუალურად ავიწროებენ. მოკლედ, ცხოველზე ძალადობა ერთ-ერთი შემამფოთებელი სიგნალია და ის უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ.

## მშობლები ძალადობის წინააღმდეგ - ბულინგი

ძალადობის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა ბულინგი. საზოგადოებაში თავად ტერმინი, როგორც შემოსული სიტყვა, ხშირად გაღიზიანებას იწვევს. თუკი ბულინგი ნიშნავს თანატოლთა მიერ ერთმანეთის პერმანენტულ (დროში გახანგრძლივებულ) ჩაგვრას, ტერორს, დამცირებას, რატომ არ ვარქმევთ მას შესაბამის ქართულ სახელს?

კითხვა კითხვად რჩება. სპეციალისტები ამაზე ჯერჯერობით არ შეთანხმებულან და, ამდენად, დღესდღეობით გამოიყენება საერთაშორისო ტერმინი - ბულინგი.

ბავშვების ბულინგისგან დაცვა, მისი პრევენცია სახელმწიფოს ვალდებულებაა. თუკი სახეზეა ბულინგი, ჩვენ შეგვიძლია მივმართოთ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ცხელ ხაზს (15 25), საიდანაც ვალდებული არიან, ჩაერთონ სოციალური მუშაკები, თუ საჭიროა, შინაგან საქმეთა სამინისტრო და საერთოდ, ყველა შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურა. ამავე ტელეფონის ნომერზე ჩვენ შეგვიძლია, დავრეკოთ ბავშვზე ძალადობის ნებისმიერ შემთხვევაში და მოვითხოვოთ შესაბამისი რეაგირება. ჩვენ ასევე გვაქვს უფლება, დავრჩეთ ანონიმურები.

ბულინგი ბავშვზე ძალადობის ერთ-ერთი მძიმე ფორმაა და რადგან მშობლებს გვაქვს ვალდებულება, შევუქმნათ შვილებს უსაფრთხო გარემო, ბულინგის წინააღმდეგ ბრძოლა ყველა ჩვენგანის ვალია! ოღონდ უნდა გვახსოვდეს, რომ ორივე მხარეს ბავშვი წარმოადგენს. ბულინგის წინააღმდეგ ბრძოლა არ უნდა იყოს მიმართული მოძალადე ბავშვის საპირისპიროდ. ისიც ბავშვია და თუკი ძალადობს, ე. ი სკოლამ, ოჯახმა ვერ უზრუნველყვეს მისი შესაბამისი აღზრდა, ვერ გააგებინეს, რა არის ჩაგვრა, ტერორი, დისკრიმინაცია, ვერ შეუქმნეს შესაბამისი უსაფრთხო და ძალადობისგან დაცული გარემო. ამდენად, ბულინგთან ბრძოლისას ნუ დაგვავიწყდება, ვიზრუნოთ ორივე მხარის საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. სხვაგვარად პრობლემა ვერ მოგვარდება!

ბულინგთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე მცდარი სტერეოტიპი, რომლებიც უშლის ხელს მასთან ბრძოლას.

1. ბავშვებს შორის ჩხუბი, კონფლიქტი ჩვეულებრივი რამაა!

ბავშვებს შორის კონფლიქტები არაა ჩვეულებრივი მოვლენა. თუკი ისინი ჩხუბობენ, ე. ი. ჩვენ, უფროსებმა, ვერ ვასწავლეთ მათ პრობლემის გადაჭრის სხვა გზები და სასწრაფოდ გვმართებს მოქმედება.

2. იჩხუბებენ და მოგვარდებიან!

დავუფიქრდეთ ყველანი ჩვენ-ჩვენს ცხოვრებას: ხანდახან ზრდასრულ ადამიანებსაც გვიჭირს კონფლიქტების მართვა, ჩვენც ვაწყდებით გარკვეულ დისკრიმინაციას და ამან შეიძლება მთელი ჩვენი ცხოვრება მოწამლოს. მით უფრო ვერ გაუმკლავდება მარტო დარჩენილი ბავშვი განმეორებად ჩაგვრას. მას სჭირდება ჩარევა, დახმარება.

3. ცხოვრება ბრძოლაა. უკეთესია, თუ ბავშვობიდანვე ისწავლის ამას!

თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოება მაქსიმალურად უნდა ცდილობდეს, რომ ავტორიტარული რეჟიმისთვის დამახასიათებელი ურთიერთობის აგრესიული მეთოდები ჩაანაცვლოს კონსტრუქციული, თანამშრომლობითი ურთიერთობებით. დღევანდელი მდგომარეობით, მართლა შეიძლება ვიფიქროთ, რომ ცხოვრება ბრძოლაა და იმარჯვებს ძლიერი, მაგრამ სწორი განვითარების შემთხვევაში, სანამ ჩვენი შვილები მოქალაქეებად შედგებიან, გაცილებით მოიმატებს საჭიროება და ფასი ადამიანური უნარისა, კონფლიქტის გარეშე გადაჭრას პრობლემა და მაშინ დაისმის რიტორიკული შეკითხვა: მიაღწევნ ჩვენი შვილები ჩვენგან აგრესიულად ნანატრ წარმატებას, თუკი ისინი ველური, ჯუნგლის კანონებით იქნებიან აღზრდილნი და არა ჰუმანური, ადამიანური ღირებულებებით?!

რაც არ უნდა მაღალი იყოს ჩვენი სოციალური აქტივობა, თავისთავად ცხადია, ყველაფერს საკუთარ თავზე ვერ ავიღებთ და ყველაფერს ვერ შევცვლით, თუმცა მაინც უნდა გავიაზროთ ბულინგის გლობალური მიზეზები, რათა მაქსიმალურად ადეკვატური იყოს ჩვენი ქცევა საკუთარი შვილების დაცვის (როგორც მოძალადის, ასევე ჩაგრულის) საქმეში.

საქართველოს უახლოესმა ისტორიამ, ომებმა, დამარცხებამ, მანამდე დიდი დროით სახელმწიფოებრიობის უქონლობამ, სტრუქტურულმა ცვლილებებმა ჩვენი მოსახლეობა პოსტტრამვულ მასად აქცია, რომელიც ვერ ინელებს მიყენებულ ტკივილებს და მუდმივად მოძალადის როლშია. ძალადობენ ყველგან: მთავრობაში, ტელევიზიაში, სამსახურებში, ინტერნეტსივრცეში, ოჯახში... იმავე ბულინგთან დაკავშირებით ხანდახან მხარეები (ვთქვათ, განათლების სამინისტრო, სკოლა, მასწავლებელი, ჟურნალისტი, დირექტორი, მშობელი) საჯაროდ, პირდაპირ ეთერში



ჩხუბობენ და ხშირად ისევ აგრესიის მაგალითს აძლევენ მომავალ თაობას. იწყება დამნაშავის ძებნა, მერე ჩხუბი და საბოლოოდ, ბავშვები ავიწყდებათ.

თუკი ძალადობის ჯაჭვი უნდა გაწყდეს, სასურველია, ის ჩვენ გავწყვიტოთ. თუკი შვიტყვეთ ბულინგის შესახებ, ნუ ავყვებით ემოციებს, ნუ დავიწყებთ ჩხუბს, ნუ ავუწევთ ხმას და ნუ გავიქცევით აღელვებულები სკოლისაკენ. თავისთავად ცხადია, ამისთვის ჩვენ გვჭირდება თავად შეგვეძლოს საკუთარი ემოციების მართვა, რაც ავტორიტარული განათლების სისტემის პირობებში ჩვენთვის არავის უსწავლებია. მაგრამ ამის გარეშე დამატებით ტკივილს ვაყენებთ ბავშვებს და პრობლემასაც ვერ ვაგვარებთ, რადგან:

1. ბავშვი ისევ იღებს ჩვენგან მაგალითს, რომ ჩხუბი, ყვირილი, აგრესია ურთიერთობის მიღებული ფორმებია და თავადაც, თუ უნდა რომ გადარჩეს, უნდა დაგვემსგავსოს!
2. ისედაც დაზარალებული ბავშვი (მჩაგვრელიც და ჩაგრულიც, ორივე დაზარალებულია) იღებს მორიგ ემოციურ დარტყმას ჩვენი კონფლიქტისას სკოლასთან თუ მასწავლებელთან ან ამ კონფლიქტის მოლოდინში. მან დამატებით უნდა ინერვიულოს, რა მოხდება და კიდევ უფრო დაუმძიმდეს ისედაც ტრავმული ფსიქო-ემოციური მდგომარეობა.
3. როგორც კი ჩვენ ვიწყებთ სკოლაზე, მასწავლებელზე თავდასხმას, დიდი ალბათობით, ის დგება თავის მართლების ან თავდასხმის რეჟიმში. სამწუხაროდ, ყველას არ შეუძლია საჩხუბრად მისული ადამიანი კონსტრუქციული, საქმიანი დიალოგისკენ მოაბრუნოს და იბადება ახალი კონფლიქტი.

ამიტომ, თუკი შვილი გამოგვიტყდა, რომ მასზე ძალადობენ, ან გავიგეთ, რომ ჩვენი შვილია მოძალადე, სერიოზული გამოწვევების წინაშე ვდგავართ და უნდა გვახსოვდეს:

1. თუკი ბავშვი ჩივის რაიმე ტიპის ძალადობის შესახებ, ის მართალია და საჭიროებს უპირველესად თანაგრძნობას (და არა შეცოდებას ან შერცხვენას). საყოველთაოდ მიღებული საერთაშორისო ნორმაა, რომ ბავშვს ყოველთვის დავუჯეროთ და მხოლოდ შემდეგ, განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში, დავიწყოთ მოკვლევა, ხომ არ ტყუის. ძალადობასთან დაკავშირებით, როგორც წესი, ბავშვები არ ტყუიან. პირიქით, ისინი ითმენენ, სანამ გაეძლებათ და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ამხელენ, რადგან საზოგადოების, ოჯახის დაკვეთაა, იყვნენ ძლიერნი და სუსტის, მსხვერპლის როლის აღიარება ბავშვს ძალიან უჭირს.
2. დავიწყოთ გარკვეული სტრატეგიების დასახვა, რას ვაკეთებთ? თანამედროვე ადამიანის ხელში პრაქტიკულად ყოველთვისაა ხელმისაწვდომი ინტერნეტი და შესაბამისად, ინფორმაცია. ვაჩვენოთ ბავშვს, რომ ჩვენ ვეძებთ

ინფორმაციას, ვიკვლევთ და ასე ვსახავთ მოქმედებას. ამგვარი საქციელით ვაჩვენებთ ბავშვებს პრობლემის გადაჭრის სასურველ გზას.

3. ვთხოვთ დახმარებას, ვეკითხებით ჭკუას ისეთ ადამიანებს, რომელთაც მოცემულ საკითხზე ჩვენზე მეტი კომპეტენცია გააჩნიათ. ვთქვათ, მეზობელს, რომელიც პედაგოგია და ანტიბულინგური ტრენინგი გავლილი აქვს, ნათესავს, რომლის შვილსაც ჰქონდა ამგვარი პრობლემა. ოღონდ ვიცავთ ბავშვის პირადი ინფორმაციის ხელშეუხებლობას, ანუ კი არ ვჭორაობთ და მისთვის ისედაც შეურაცხმყოფელ ამბავს კი არ ვავრცელებთ, ვკრებთ ინფორმაციას ადამიანებისგან (თუ ასეთები არიან), რათა ბავშვმა დაინახოს, რომ ვფლობთ გარკვეულ სოციალურ კაპიტალს და რომ მართო არა ვართ, ე. ი. არც ისინი არიან მართო!
4. ოჯახში ამ სიტუაციის განხილვისას და სტრატეგიების დაგეგმვისას გამოვხატავთ ნდობას სახელმწიფო ინსტრუქციებისა და მათში მომუშავე ადამიანების შესახებ (არ ვლანძღავთ სკოლას, მასწავლებელს, სოციალურ მუშაკს, პატრულს და ა. შ.)
5. სკოლისაკენ, ან ბულინგის სხვა ადგილისაკენ პრობლემის მოსაგვარებლად მივდივართ ინფორმაციულად შეიარაღებულები, მშვიდები და, რაც მთავარია, გამოვხატავთ მზადყოფნას იმ ადამიანებთან სათანამშრომლოდ, რომლებიც იქ დაგვხვდებიან. ასევე ჩვენ ვზრდით მათ (მასწავლებლის, სკოლის ადმინისტრაციის, სოც. მუშაკის, პატრულის) ქმედითუნარიანობასაც.

**?** როგორ უნდა ამოვიცნოთ, რომ ჩვენი შვილი ბულინგის მსხვერპლია, ან თვითონ არის ბულერი?

1. ბავშვი ქრონიკულად უხასიათოა;
2. ხალისით აღარ ასრულებს იმ საქმიანობებს, რომლებიც ადრე მოსწონდა
3. არ უნდა სკოლაში წასვლა;
4. აგრესიულია;
5. ხშირად ავადმყოფობს;
6. კონკრეტულ ბავშვებთან ურთიერთობის შემდეგ ან მათთან შეხვედრის მოლოდინში ეცვლება ხასიათი;
7. დაქვეითდა მისი აკადემიური მოსწრება;
8. რაღაცებით, ვთქვათ, საჩუქრებით, ქრონიკულად ცდილობს, რომელიღაც მეგობრის მოქრთამვას;
9. ძილში შფოთავს;
10. გაიხსენა მანვე ჩვევა (ვთქვათ, თმის წიწკნა, ფრჩხილების კვნეტა) და ა. შ.
11. ხშირად მოაქვს სახლში საჩუქრები;
12. უფრო მეტი ფული აქვს, ვიდრე მივეცით;

13. აღარ აქვს ფული, რომელიც მივეცი და ვერ ამბობს, რაში დახარჯა;
14. ნერვიულობს კონკრეტული სამოსის ჩაცმაზე;
15. აღარ მოსწონს საკუთარი თავი;
16. არ უნდა გაიკეთოს სათვალე;
17. გამოხატავს აგრესიას, ვთქვათ, ჩვენი რელიგიის ან სოციალური კლასის, ან საცხოვრებელი ადგილის მიმართ.

ამგვარი სიმპტომების გამოვლენისას უნდა დავაკვირდეთ, ხომ არ არის ის ძალადობრივი ურთიერთობის ველში.

ბულინგი ისეთი რამაა, რომელიც ყველა ჩვენგანის შვილს შეიძლება შეეხოს. ძნელი სათქმელია, რას მოიფიქრებენ ბავშვები, რის მიხედვით დასცინებენ ან რატომ დაჩაგრავენ ერთმანეთს.

ბულინგის მიზეზი შეიძლება გახდეს ყველაფერი:

1. გარეგნობა: ბავშვის წონა, სიმაღლე, სათვალე, წვეტიანი ცხვირი, ლამაზი თვალეები, ქერა ან შავი ან წითური თმა და საერთოდ ყველაფერი, გამორჩეულად ლამაზი გარეგნობაც კი...
2. ქცევა: თამამია, ხშირად ხუმრობს, მოკრძალებულია, კომუნიკაბელურია და ა. შ.
3. აკადემიური უნარები: სწავლობს კარგად ან სწავლობს ცუდად - ორივე შემთხვევაში შეიძლება დასცინონ;
4. დაცინვის საგანი შეიძლება გახდეს მისი კილო, წარმომავლობა, კანის ფერი, აღმსარებლობა, იდენტობა (ამ ტიპის ბულინგი დისკრიმინაციულია და ცალკე კანონით რეგულირდება);
5. ბულინგის მსხვერპლი შეიძლება გახდეს, თუკი ის მასწავლებლის ფავორიტია, ან პირიქით, მასწავლებელს ჰყავს ამოჩემებული;
6. ასევე შეიძლება დაჩაგრონ მეგობრების გამო, მუსიკაზე სიარულისთვის და ასე დაუსრულებლად.

მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ თავად ბულინგის ფორმებიც:

1. ერთის მიერ მეორის იძულება, გააკეთოს რაიმე: ვთქვათ, გადააწერინოს დავალება, გაასუფთავოს დაფა მის მაგივრად, გაიცინოს მის მიმართ ნათქვამ არაკორექტულ ხუმრობაზე და ა. შ.
2. ეკონომიკური ექსპლუატაციაა, როდესაც ერთი ბავშვი მეორეს ართმევს ფულს დაშინებით ან ძალადობით;
3. ფიზიკური ძალადობაა, როდესაც ბავშვს სცემენ, უწევენ ყურს, ჰქაჩავენ თმას, ჰკრავენ მუჯლოგუნს, პანდურს, წვიპურტს, ეხებიან მისი სურვილის საწინააღმდეგოდ.
4. ეძახიან დამამცირებელ მეტსახელს;

5. აიძულებენ სექსუალურ ქცევას;
6. აიძულებენ დაუწეროს საშინაო დავალება, უკარნახოს;
7. ემუქრებიან პირადი ცხოვრების ხელყოფით;
8. ემუქრებიან ღირსების შემლახველი საქციელით;
9. ჭორაობენ და სხვა - ეს ქმედებები ბულინგად ჩაითვლება, თუკი ისინი მეორდება.

## ? სად ხდება ბულინგი?

ხშირად უფროსები საშინელი ფაქტის წინაშე დგებიან ხოლმე და შემდეგ გაოცებულები ამბობენ, რომ მათ ამის შესახებ არაფერი იცოდნენ.

ბულინგი, როგორც წესი, არ ხდება უფროსების თვალწინ. რაც უფრო იზრდება ბავშვის ასაკი და რაც უფრო დამამცირებელი ან მწვავეა ბულინგი, მით უფრო მოფარებულია მშობლებისა და მასწავლებლების, ზრდასრული ადამიანების თვალს. მაგ. მოძალადემ იცის, რომ მანდატურის თვალწინ მეორეს ხურდა არ უნდა წაართვას, არც დამამცირებელ მეტსახელს დაუძახებენ მაინცდამაინც მასწავლებლის გასაგონად. ბულინგი ძირითადად დერეფნებში, ეზოების ბნელ კუთხეებში, საპირფარეოებში და ჩვენი თვალისგან მაქსიმალურად დაცულ ადგილებში ხდება. თუმცა ყველას გვევალება, ვიყოთ ყურადღებით. სახელწიფო სტრუქტურები და მათი წარმომადგენლები პირდაპირ ანგარიშვალდებულნი არიან შენიშნონ ბულინგი, გაატარონ წინასწარი ზომები და იყვნენ ქმედითუნარიანნი საჭირო შემთხვევებში.

ჩვენთვის, მშობლებისთვის, დაცვის საუკეთესო სტრატეგიებია:

1. პატივი ვცეთ შვილის ღირსებას (ასეთ შემთხვევაში, თუკი მას ღირსება ელახება, არ მიაჩნია ნორმად და მალე ამხელს პრობლემას);
2. იცვით შვილებს უპირობო სიყვარული, რათა იცოდნენ, რომ ყველა შემთხვევაში დავეხმარებით;
3. ვასწავლოთ გრძნობების ამოცნობა, მართვა, როგორც ფსიქოლოგები უწოდებენ, ემოციური რეგულაცია, რათა მართოს საკუთარი თავი და ასევე მალე მოახდინოს პრობლემის სახელდება და მოიტანოს ჩვენამდე (მაგალითად, ბავშვი ვერ გვეტყვის, რომ რაღაც ძალიან სწყინს, თუკი მის გრძნობებზე არასდროს ვსაუბრობთ და მხოლოდ მისი პირველადი საჭიროებები (არ შიოდეს, არ სწყუროდეს და აკადემიური მოსწრება, რა მიიღე დღეს) გვაინტერესებს).

? რა შეიძლება მოჰყვეს ბულინგს?!

ბულინგს შეიძლება ნებისმიერი სავალალო შედეგი მოჰყვეს. მაგალითად:

1. შეიძლება ადამიანი მთელი ცხოვრება გაიტანჯოს ანორექსიით, რადგან ბავშვობაში პუტკუნა იყო და დამცინავ სახელს ეძახდნენ;
2. მომავალში ადამიანმა შეიძლება, ვერ გამოიყენოს საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობები, რადგან ბავშვობაში ვერ ისწავლა სოციალური ურთიერთობები დაცინვის, ძალადობის შიშის გამო;
3. შეიძლება ჩამოყალიბდეს მოძალადედ;
4. შეიძლება მთელი ცხოვრება გაჰყვეს წარუმატებელი ადამიანის სინდრომი;
5. ბულინგის შედეგად ბავშვებმა შეიძლება, ერთმანეთს მიაყენონ სხეულის მსუბუქი ან მძიმე დაზიანება;
6. შეიძლება ბულინგი დასრულდეს ბავშვის სიცოცხლის ხელყოფით;
7. შეიძლება ბულინგმა ბავშვი თვითმკვლელობამდე მიიყვანოს.

სამწუხაროდ, ქართული საზოგადოება ზემოთ ჩამოთვლილ ყველა შემთხვევას იცნობს. ამდენად, ბულინგი თანამედროვეობის ერთ-ერთი უმძიმესი პრობლემაა და ყველას გვმართებს მის წინააღმდეგ ბრძოლა, ცნობიერების ამაღლება, წინაპირობების აღმოფხვრა და კოორდინირებული, მშვიდი, გონიერი ქმედება თავად ბულინგის შემთხვევების დროს.

## ინტერნეტი მისი სარგებელი, რისკები, ინტერნეტბულინგი

1980-იანი წლები იყო. მეხუთე-მეექვსე კლასში ვიქნებოდი. ჩემს დას რაღაც სერიოზული პრობლემა შეექმნა სკოლაში. რა იყო, აღარ მახსოვს, მაგრამ მშობლები დიდად არ დადიოდნენ სკოლაში, მამა საერთოდ არ დადიოდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ფსიქო-ემოციური მხარდაჭერა მამას უფრო ჰქონდა საკუთარ თავზე აღებული, ვიდრე - დედას, მას უფრო ვუყვებოდით, რა გვიჭირდა, რა გვილხინდა, მაგრამ სკოლაში არ იყო ნამყოფი და ერთხელაც, ამ ჩემი დის პრობლემის გამო მოვიდა.

მერე, უკვე გაზრდილებს, გვიყვებოდა ხოლმე, რაზე ვიყავი მოსული სულ დამავიწყდა, მთელი კვირა იმაზე ვფიქრობდი, როგორ დადიოდით მასეთ სკოლაში და სად მეპოვა რამე შედარებით სულის მოსათქმელი სივრცეო.

ასეთი სივრცე აღმოჩნდა „მხატვრის სახლი“, რომელიც თბილისის ომის დროს დაიწვა. მაშინ იქ ხელოვნებათმცოდნეობის სტუდია მუშაობდა ბავშვებისთვის,

მასწავლებლებად სულ ახალგაზრდა, თავისუფალი სულისკვეთების ხელოვნებათმცოდნეები და მხატვრები მუშაობდნენ, თან რამდენიმე სართულზე საგამოფენო დარბაზები ჩვენს განკარგულებაში იყო. მოკლედ გვიმოვა ადგილი, რომელიც ჰაერით გვჭირდებოდა. ხშირად მიფიქრია ხოლმე, რა მეშველებოდა, მაშინ მამა რომ სკოლაში არ მოსულიყო, რადგან იმდროინდელ ბავშვს სათავისო სივრცის მოძებნის არანაირი საშუალება არ ჰქონდა.

დღეს ჩვენი შვილები 9-10 წლის ასაკიდან თავად ეძებენ, რა უნდათ, როგორი წრე, როგორი მასწავლებელი, რითი სურთ დაკავდნენ. მათ საშუალება აქვთ ინტერნეტით მოიპოვონ ინფორმაცია იმის შესახებაც კი, სადღაც ვიღაც პედაგოგი როგორ მუსიკას უსმენს, არის თუ არა მათთვის მისაღები და ა. შ. უნდა გითხრათ, ხანდახან მშურს მათი შესაძლებლობების. მართალია, ინტერნეტი დღეს ჩვენთვისაც ხელმისაწვდომია, მაგრამ ბავშვობაში ჩვენი უნარები მკაცრად იყო შემოსაზღვრული: მიგვიყვანდნენ რამეზე, მოგვეწონებოდა, ვივლიდით, არ მოგვეწონებოდა, საბედნიეროდ, შეგვეძლო უარი გვეთქვა, მაგრამ გაცილებით ნაკლები იყო ჩვენი თანამონაწილეობა ჩვენს საკუთარ ცხოვრებაში, ვიდრე დღევანდელი ბავშვების.

ინტერნეტი კარგა ხანია გამოიყენება ერთ-ერთ მნიშვნელოვან სასწავლო რესურსად. უამრავი საგანმანათლებლო გვერდი თუ საიტია, რომელიც სრულიად ახალ შესაძლებლობებს ქმნის ბავშვებისათვის.

საშინაო დავალებებიც ხშირად აქვთ ხოლმე ისეთი, ინტერნეტში მოძიებას რომ გულისხმობს, თუმცა, რამდენად სანდოა თუნდაც საგანმანათლებლო რესურსი, რამდენად ერკვევიან ჩვენი შვილები მედიაწიგნიერებაში, ერკვევიან თუ არა თავად პედაგოგები, აძლევენ თუ არა შესაბამის მითითებებს, ეს ცალკე საკითხია.

ასეა თუ ისე, დღევანდელი საგანმანათლებლო სისტემა, მათ შორის სკოლაც, უკვე განუყოფლადაა მიბმული ინტერნეტს, საიდანაც ზღვა ინფორმაციისა და ცოდნის მიღება შეიძლება, მედიაწიგნიერება კი, როგორც უნარი, რომელიც სათანადო ყურადღებას საჭიროებს, რჩება ერთ-ერთ მთავარ პრობლემად ქართული (და არა მხოლოდ ქართული) საზოგადოებისათვის.

დაისმის კითხვა: რა არის მედიაწიგნიერება? მედიაწიგნიერება გულისხმობს ადამიანის უნარს, იცოდეს სად მოიპოვოს, როგორ მოიპოვოს ინფორმაცია, როგორ გაფილტროს, როგორ დარწმუნდეს ინფორმაციის სანდოობაში. ჩემი მშობლების თაობის ნაწილს ეს უნარი ძალიან უცნაურად ჰქონდა განვითარებული. ინფორმაცია ცოტა იყო, თანაც, ძირითადად, ტყუილი და შენ უნდა გეთარგმნა სინამდვილის ენაზე. მაგ. თუკი საბჭოთა ტელევიზია აცხადებდა, რომ სოციალისტური შრომის გმირმა მოკრიფა ამდენი და ამდენი ჩაი, მშვიდად შეგეძლო გცოდნოდა, რომ ნახევარმა ბრიგადამ იმუშავა იმ რაოდენობის დასაკრეფად, რადგან პარტიას გმირები სჭირდებოდა. ანუ მოსახლეობის ნაწილს ჰქონდა კრიტიკული აზროვნების უნარი

განვითარებული, მაგრამ ეს უნარი საბჭოთა კავშირის პარტიული ხაზით სწორხაზოვანი იყო.

დღეს ინფორმაციის ზღვასთან დასაპირისპირებლად კრიტიკული აზროვნების სულ სხვადასხვა მიმართულებები გვჭირდება, რადგან კომერციული ინფორმაციაც ხშირად ტყუის, თუმცა მისი ტყუილი გაცილებით მრავალფეროვანია!

ვერაფრით ვერ ვიქნებით ქმედითი მოქალაქეები, გაგვიჭირდება შვილების აღზრდა, შეგვექმნება უამრავი პრობლემა, თუკი მშობლებმა ვერ შევძელით საკუთარი მედიაწიგნიერების განვითარება.

მედიაწიგნიერება, როგორც გამჭოლი კომპეტენცია, ეროვნულ სასწავლო გეგმაშიც შედის. შესაბამისად, უნდა ველოდეთ, რომ მას ჩვენს შვილებს სკოლებში განუვითარებენ სხვადასხვა საგნის პედაგოგები, მიაწვდიან ინფორმაციას, ასწავლიან სანდოსა და საეჭვოს, საჭიროსა და უსარგებლოს, ძველისა და ახლის, მულტიმედიისა და განახლებადის გარჩევას. ამიტომ, გააჩნია, თავად რა კომპეტენციას ვფლობთ: შეიძლება ჩვენი შვილები მედიაწიგნიერებასთან დაკავშირებით ჩვენზე კომპეტენტურებიც კი აღმოჩნდნენ. შეიძლება, პირიქით, ჩვენ დაგვჭირდეს მათი დახმარება, მათი კონსულტაცია. ეს შვილთან ურთიერთობის ახალი გამოცდილებაა, რომლისაც არ უნდა შეგვეშინდეს და პირიქით, სიხარულით შევხვდეთ, ვაგრძნობინოთ ჩვენი პატივისცემა და მადლიერება. თუმცა, სულ რომ არ ვიცოდეთ კომპიუტერის მოხმარება, მაინც შეგვიძლია გავუწიოთ საჭირო დახმარება შვილებს სწორი კითხვებითა და მოპოვებული ინფორმაციის ანალიზით, რადგან ბრმისა და კოჭლის არაკისა არ იყოს, ჩვენში, როგორც უფროსებში, მაინც მეტია კრიტიკული აზროვნების უნარი და შვილი ტექნოლოგიებში შეიძლება გვჯობდეს, მაგრამ მას, საჭიროების შემთხვევაში, მაინც დავხმარებით.

მთავარი კრიტიკული კითხვაა რა გვინდა? ეს არის ამოსავალი წერტილი. სანამ ბავშვი კომპიუტერთან დაჯდება, უნდა ვასწავლოთ, მკვეთრად განსაზღვროს მიზანი და დრო და შეეცადოს მონიტორინგს. ანუ თუ მას სურს ნახევარი საათი თამაში, ჯობს ეს თუნდაც საკუთარ თავთან განაცხადოს, რადგან შეიძლება, სანამ ითამაშებს, კიდევ ნახევარი საათი წერილების წერას ან უბრალოდ სოციალური ქსელების თვალიერებას მოახმაროს და საბოლოოდ, დაეკარგება არა ნახევარი საათი, არამედ - ერთი. თუკი მიზანი საგანმანათლებლოა, უნდა ითქვას, იცის ზუსტი მისამართი, თუ მოსაძებნია ინფორმაცია. თუ მოსაძებნია, რა ცოდნას ფლობს იმის შესახებ, რომელი გვერდები შეიძლება გამოადგეს და რომელი - არა.

როდესაც ჩვენი შვილები ეცნობიან მედია პროდუქტებს, ისინი მათზე ყველა შემთხვევაში მოქმედებს. თუკი ბავშვი თამაშობს აგრესიულ თამაშებს, სადაც სხვადასხვა ტურში გადასასვლელად საჭიროა მკვლევლობები, ეს არ ნიშნავს, რომ მას პირდაპირ ჩამოუყალიბდება სიცოცხლისადმი აგდებული დამოკიდებულება, ან რეკლამის ნახვისას მაშინვე გაიქცევა და შეიძენს ნანახ პროდუქტს. მედიას

მოქმედების გაცილებით შეფარული, დახვეწილი ფორმები აქვს, მაგრამ ის იმდენად ყველგანაა, გვაიძულებს თავისი გავლენის ველში დაგვტოვოს. ამდენად, კრიტიკული აზროვნება, არის თუ არა ესა თუ ის პროდუქტი მართლაც მომგებიანი, სასარგებლო ან ჩვენთვის საჭირო, მედიის საყოველთაო გავლენისგან იცავს მედიაწიგნიერ ადამიანებს.

ქვემოთ გთავაზობთ კრიტიკული კითხვების ჩამონათვალს, რომლებიც დაგეხმარებათ მედიაწიგნიერების ჩამოყალიბებაში:

1. არის თუ რა კონკრეტული მედია თქვენთვის სანდო და საიდან მოდის მისი სანდოობა, რა გსმენიათ აქამდე, რა გამოცდილება გაქვთ, რატომ ენდობით არ ენდობით, თქვენი ნდობა მედიის პოპულარობაზეა დაფუძნებული თუ კრიტიკულ აზროვნებაზე?
2. აღიქვამთ თუ არა, რომ მედია პოპულატურაა და ის უნდა გაიყიდოს; შესაბამისად, ავტორები ცდილობენ მოერგონ მასების გემოვნებას და შეიძლება პირდაპირ არ ცრუობდნენ, მაგრამ სინამდვილეს წარმოაჩენენ იმ კუთხით, რომლიდანაც უკეთ გაიყიდება?
3. აღიქვამთ თუ არა, რომ ის მედია საშუალებებიც კი, რომლებიც არ არის კომერციული, საბოლოოდ მაინც კომერციულია, რადგან აგროვებს რეკლამას და ამიტომ ცდილობს მოიპოვოს პოპულარობა (მაგ. youtube )?
4. შეგიძლიათ თუ არა, მედიაპროდუქციიდან გამოყოთ პირდაპირი და ირიბი სათქმელი, შეფარული აზრი, რომელიც რაღაცის გამო პირდაპირ არ ითქვა?
5. შეგიძლიათ თუ არა ცვალებადი ინფორმაციისთვის თვალის მიდევნება, რათა თქვენი ცოდნა არ ჩამორჩეს დროს?
6. შეგიძლიათ თუ არა თავად შექმნათ მედიაპროდუქტი?
7. იაზრებთ თუ არა, რომ დღეს ჩვენ ყველანი ვართ მედიაპროდუქტის არა მხოლოდ მომხმარებლები, არამედ შემოქმედებაც?
8. რა მორალურ-ეთიკური პრინციპებით ხელმძღვანელობთ, როდესაც თავად ქმნით ინფორმაციას?
9. რა ტექნიკური საშუალებებით სარგებლობთ, როდესაც ქმნით ინფორმაციას?

ამ და სხვა ტიპის კითხვები დაგეხმარება მედიაწიგნიერების ჩამოყალიბებაში, ხოლო თუკი შვილებთან ერთად შიგადაშიგ განვიხილავთ ამა თუ იმ მედიაპროდუქტს, ჩავრთავთ მათ განხილვაში, ეს შეიძლება ერთიანად განმავითარებელი აღმოჩნდეს ჩვენთვისაც და მათთვისაც, რადგან გავცვლით სხვადასხვა უნარს და თანაც ურთიერთობა იქნება მეტად თანასწორი, რადგან ციფრულ სამყაროში უფრო ალვიქვამთ შვილებს თანასწორებად და ურთიერთობის საჭირო გამოცდილებას მივიღებთ.



## ინტერნეტსივრცე და საფრთხეები

დღეს მსოფლიოში ყველა მესამე ინტერნეტ მომხმარებელი ბავშვია - ყველა მესამე 18 წლამდე ადამიანია. სამწუხაროდ, ინტერნეტსივრცე ითვისებს საზოგადოებაში არსებულ ბოროტებას, ქმნის თავისას და იმდენად, რამდენადაც ის ღია სივრცეა, ჩვენი შვილები ყოველგვარი დაცვის გარეშე სხედან მონიტორებთან და მრავალი საფრთხის წინაშე არიან.

ვინ არის პასუხისმგებელი ბავშვების ინტერნეტუსაფრთხოებაზე: ჩვენ, მშობლები, სკოლა, სახელმწიფო თუ ინტერნეტპროვაიდერები?

საუკეთესო შემთხვევაში - ყველანი. საზოგადოება ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უსაფრთხოება და ეს ვალდებულება გვაქვს ყველას, მშობლიდან დაწყებული - სახელმწიფოთი დამთავრებული.

აბსოლუტურად უსაფრთხოს ბავშვისთვის ინტერნეტს ვერ გავხდით, ისევე როგორც ვერც ერთ გარემოს, მაგრამ არსებობს რისკები, რომლებიც უნდა შემცირდეს.

დღეს ჩვენი შვილები ყოველგვარი დაცვის გარეშე საკმაოდ მცირე ასაკიდან სხედან მონიტორებთან, რომლებიდანაც, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, პორნოგრაფიის ზღვა მოდის.

ცოტა უცნაური ხალხი ვართ! სკოლებში სექსუალურ განათლებას ვეწინააღმდეგებით და სამაგიეროდ, ჩვენს შვილებს მარტო ვტოვებთ უამრავი უხამსი, გარყვნილი, ძალადობრივი რესურსის პირისპირ ყოველგვარი ცოდნისა და ხშირად გაფრთხილებების გარეშეც. თითქოს მთავარია, ჩვენმა შვილებმა ტაბუ არ დაარღვიონ, ხმა არ ამოიღონ, სექსი განხილვის თემა არ გახდეს, თორემ ჩუმად, მარტო, ეკრანთან რას ნახავენ და რა ტრავმას მიიღებენ, იმდენად მნიშვნელოვანი არაა.

გავუსწოროთ სიმართლეს თვალი: თუკი ბავშვები ნახევარი საათით მაინც დაგვიტოვებია მონიტორებთან მარტო, მაშინ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მათ მრავალგვარი, ასაკისთვის შეუფერებელი უხამსობა აქვთ ნანახი და ჩვენ წარმოდგენა არ გვაქვს, როგორ აზიანებს ეს ფსიქიკას.

**?** სად არის გამოსავალი?

დღეს საქართველოს პარლამენტს აქვს კანონპროექტი, რათა შემუშავდეს სპეციალური ფილტრები, რომლებიც უზრუნველყოფს ჩვენს შვილებამდე შედარებით უსაფრთხო ინფორმაციის მიტანას და მშობელს ექნება საშუალება საკუთარი სურვილის მიხედვით, რაღაც დონეზე არეგულიროს შვილის ინტერნეტსივრცე.

მსგავსი ტიპის გამოცდილება ევროპის განვითარებულ ქვეყნებს აქვს. მაგ. დიდ ბრიტანეთში გამოიყენებენ სპეციალურ სიმ ბარათებს, რომლებიც განკუთვნილია არასრულწლოვანების ტელეფონებისათვის. იმავე ვაიფაის ინტერნეტროუტერებს უყენდება დამცავი ფილტრები და თანაც აკრძალულ მისამართთა სია ყოველდღიურად ახლდება.

პარლამენტში მიიჩნევენ, რომ კანონი ახალ წლამდე შევა ძალაში, თუმცა ის ძალიან საფრთხილოა და შეიცავს რისკებს, შეიზღუდოს სიტყვის თავისუფლება, ადამიანის გამოხატვის თავისუფლება, მშობელმა გადააჭარბოს საკუთარ უფლებებს და იზოლაციაში მოაქციოს შვილი და . ა . შ. ერთი რამ ფაქტია: პორნოდამოკიდებულება თანამედროვე სამყაროს ახალი სენია, რომელსაც მსოფლიო მედიცინა ნარკოდამოკიდებულების გვერდით განიხილავს და არასრულწლოვანთა დაცვა ამგვარი საფრთხისგან ყველას ვალაია!

პორნოგრაფიის გარდა, სხვაც უამრავი საფრთხეა ინტერნეტში. ესაა, უპირველესად, ონლაინ ურთიერთობები.

ონლაინ ურთიერთობების მსხვერპლი ხშირად სრულწლოვანი ადამიანიც ხდება. ძალზე რთულია განსაზღვრო, ვინ, როგორი ადამიანი ზის იქითა მხარეს. არადა ინტერნეტში ურთიერთობა ხანდახან საკუთარ თავთან რეფლექსიას ჰგავს. ემოციურად ვერ აღვიქვამთ, რომ მართლა არსებობს ის, მეორე ადამიანი და ვხდებით მაქსიმალურად გულწრფელები, გავცემთ ისეთ ინფორმაციას, რომელსაც მხოლოდ საკუთარ თავს ვეტყვოდით.

თანამედროვე ბავშვებს ძალიან მოსწონთ როლური თამაშები. შევთავაზოთ მათ, მოგვწერონ და გაგვეცნონ სხვა ადამიანებად, ჩვენც რაღაც ჩაფიქრებული პერსონა ვითამაშოთ და გამარჯვებული ის იყოს, ვინც მალე მიხვდება, ვისი სიტყვებით მეტყველებს მეორე მოთამაშე. ასე რამდენიმე საღამოს ხალისით გატარება შეიძლება, წერილების წერა, მესიჯობა, თანამედროვე ბავშვებს არ ეზარებათ. სამაგიეროდ, კვირის ბოლოს შევძლებთ შევაჯამოთ, რომ ასე სხვისი როლი იქითა მხრიდან ნებისმიერს შეუძლია, ითამაშოს. უნდა შევეცადოთ, შევუქმნათ შვილებს ერთგვარი იმუნიტეტი: მივაწოდოთ მცირე, მაგრამ საჭირო ინფორმაცია, თუნდაც ის მძიმე და ცოტათი დამაზიანებელი იყოს, რათა მომავალში სერიოზული ზიანი აირიდონ.

ასევე მნიშვნელოვანია, ჩვენ არ მივაყენოთ ზიანი საკუთარ შვილებს. ინტერნეტსივრცე ის ადგილია, სადაც ერთხელ დადებული ინფორმაცია აღარ ქრება. სოციალურ ქსელებში ჩვენი პოსტები შვილების შესახებ, შეიძლება დამაზიანებელი აღმოჩნდეს მათთვის. სრულიად უწყინარი საქციელი ან ლამაზი ან სასაცილო ფოტო შეიძლება, მომავალში ბავშვის დაცინვის საგანი გახდეს.

თავისთავად ცხადია, არავის აქვს უფლება სოციალურ ქსელში გამოაქვეყნოს ბავშვის შიშველი ან ღირსების შემლახველი ფოტოები, თუნდაც ჩვილის.

საუკეთესო შემთხვევაში ჩვენ სოციალურ ქსელებში საერთოდ არ უნდა ვპოსტავდეთ შვილების შესახებ, რადგან ისინი ვერ განსაზღვრავენ რისკებს და ბავშვის მიერ მოცემული თანხმობა, გვედოს მათი ფოტოები და მათზე პოსტები, დიდს არაფერს ნიშნავს. უკიდურეს შემთხვევაში ის მაინც გვახსოვდეს, რომ ეს თანხმობა მივიღოთ, ვკითხოთ, თუმცა უმჯობესი იქნება, საერთოდ მოვარიდოთ ჩვენს სოციალურ ქსელებს შვილების ამსახველი მასალა. მე პირადად ეს არ გამომდის და როგორც კი რაიმე მნიშვნელოვანი ხდება მათ ცხოვრებაში, ან ჩემთვის მოსაწონ ფოტოს დადებენ, ან რაიმე წარმატება აქვთ, მაშინვე მათხოვარი სახით ვცდილობ მივიღო თანხმობა. უნდა ვთქვა, რომ რაც უფრო იზრდებიან, მით უფრო ხშირად მისტუმრებენ უარით.

ასევე დამაზიანებელი შეიძლება აღმოჩნდეს ბავშვისთვის ე. წ. ჩექინები, ანუ აღნიშვნა, რომ იმყოფება ამა და ამ ადგილას. ასეთ დროს მისი მოძებნა, მომავალი მარშრუტის განსაზღვრა ათასი ბოროტმოქმედისთვის ხდება შესაძლებელი. არც ჩვენი ადგილმდებარეობის მონიშვნაა უსაფრთხო ბავშვისთვის, თუ ის ამ დროს მარტოა. მშობელი შვილისთვის მთავარი დამცავი ფარია და არ არის საჭირო, ქვეყანას გავაგებინოთ, რომ ისინი რაღაც კონკრეტულ მომენტში ჩვენ გარეშე არიან.

დღეს უამრავი რამ იყიდება ინტერნეტის საშუალებით. ნუ მივცემთ ბავშვებს თავისუფლებას, შეხვდნენ გამყიდველს ან მისცენ მათ სახლის მისამართი საქონლის ადგილზე მიტანის მიზნით. ავუხსნათ რისკები. მიუხედავად იმისა, რომ „მე და საზოგადოების“ ფარგლებში ბავშვები გაეცნობიან ინტერნეტუსაფრთხოებას, აქაც გთავაზობთ ზოგიერთ წესს, რომლებიც საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის მიერაა რეკომენდებული ბავშვებისათვის:

1. არ გასცეთ პირადი ინფორმაცია;
2. არ გაუგზავნოთ ინტერნეტით გაცნობილ ადამიანს თქვენი ფოტო;
3. არ დასთანხმდეთ ინტერნეტით გაცნობილ ადამიანთან შეხვედრას;
4. არ უპასუხოთ ისეთ მესიჯებს, კომენტარებს, რომლებიც თავს უხერხულად აგრძნობინებენ;
5. არ დადოთ ინტერნეტში თქვენი ან თქვენი მეგობრების უხერხული ან გამომწვევი ფოტოები;
6. მაშინვე უთხარით მშობლებს, თუკი ინტერნეტში ისეთ ინფორმაციას გადააწყდებით, რომელიც შეგაშინებთ, უხერხულობას გაგრძნობინებთ, დაგძაბავთ;
7. აუცილებლად დაეკითხეთ მშობელს, სანამ კომპიუტერში რაიმე ახალ პროგრამას გადმოიწერთ, ან რაიმე ისეთს გააკეთებთ, რამაც შეიძლება თქვენი კომპიუტერი დააზიანოს;
8. მშობლებთან შეათანხმეთ დრო და ხანგრძლივობა ინტერნეტის მოხმარებისა;
9. ინტერნეტსივრცეში, ისევე როგორც ცხოვრებაში, არ შეიძლება ისეთი საქციელის ჩადენა, რომელიც კანონით ისჯება ან სხვისთვის ზიანის მომტანია;

10. თქვენი მშობლების გარდა, არავის გაუმხილოთ თქვენი ინტერნეტპაროლები.

### მშობლები ინტერნეტბუღალტრის წინააღმდეგ

რადგან ჩვენი და ჩვენი შვილების ცხოვრების დიდი ნაწილი დაიკავა ციფრულმა სამყარომ, რისკების დიდი ნაწილიც იმავე სამყაროში გადავიდა. ზემოთ ვისაუბრეთ ბუღალტრზე, მის მრავალფეროვნებაზე, მართვის სირთულეებზე, პასუხისმგებლობებზე. იგივე პრობლემები ინტერნეტსივრცეშიც დგას. ზოგჯერ უფრო მწვავედაც, რადგან ინტერნეტში ერთხელ მოხვედრილი ინფორმაცია ძნელად ქრება.

**?** რა შეგვიძლია გავაკეთოთ მშობლებმა შვილების ინტერნეტბუღალტრისგან დასაცავად?

1. უპირველესად, უნდა გავზარდოთ საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ლალი ადამიანები, რომელთა დაშინება, შერცხვენა ძნელია. ასეთები კი ურთიერთპატივისცემით, ბავშვის მიმართ მისი ღირსებისა და პატივის აღიარებით იზრდებიან;
2. ნუ ვითამაშებთ შეუმცდარის როლებს, მოვუყვით ჩვენი შეცდომების შესახებ, რათა მათაც არ ეშინოდეთ თავიანთ შეცდომებზე საუბარი;
3. მოვუყვით, როგორ ვუმკლავდებით შიშებს. ნუ ავუკრძალავთ იყვნენ სუსტები, თორემ იმის სირცხვილით, ჩვენს თვალში როგორი გამოჩნდებიან, არ გვეტყვიან გასაჭირის შესახებ;
4. ვასწავლოთ საკუთარი თავისა და სხეულის, საერთოდ ადამიანის სიყვარული, ნუ გვექნება სილამაზისა და მორალის მკაცრი სტანდარტები. უხერხული ფოტო შეიძლება თვითონაც გაგზავნოს, შეიძლება ჩუმადაც გადაუღონ, შეიძლება ფოტომოპითაც დაამუშავონ, თუმცა, ინტერნეტში გავრცელების შემთხვევაში, უნდა ჰქონდეს უპირველესად მშობლის მხარდაჭერის იმედი.
5. გვახსოვდეს, ძალიან მარტივია არასრულწლოვანით მანიპულირება მაშინ, როდესაც მას მშობლის ეშინია;
6. გვახსოვდეს, არაფერია ჩვენი შვილების ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე ძვირფასი. ინტერნეტბუღალტრს კი თავისუფლად შეუძლია თვითმკვლელობამდე მიიყვანოს ბავშვი.

## მშობელი - მოქალაქე

დღეს საქართველოში მშობელთა უმრავლესობა ძალიან ცუდ დღეში ვართ: ვინც ვმუშაობთ, არანორმირებული სამუშაო გვაქვს; დაღლილები, დაქანცულები დღიდან დღემდე, კვირიდან კვირამდე ძლივს ვახერხებთ გაძლებას. იმდენად ვართ გადაღლილები, ხანდახან სულის მოთქმის გვეშინია, რათა ამ დროს არ შევნიშნოთ და არ გავაცნობიეროთ, რომ საერთოდ აღარ ვიცით, რატომ ვცხოვრობთ, სად არის ჩვენი ღირსება, სად არის განვითარებისა და ბედნიერებისაკენ სწრაფვის საშუალება. ვინც არ ან ვერ ვმუშაობთ, შესაბამისად, სახსარიც არ გვაქვს და თავის გადარჩენის იქით ჩვენი საფიქრალი ძნელად მიდის. ასეთი ცხოვრებით შეშინებულები ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტად მოვახერხოთ შვილების მომავლის უზრუნველყოფა და საერთოდ ვეღარ ვჩერდებით.

მოხარული ვიქნებოდი, რომ ეს ჩემი დრამატული შესავალი გადაჭარბება ყოფილიყო ან მოსახლეობის მცირე ფენებს შეხებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველო ღარიბი ქვეყანაა.

2016 წლის იუნისეფ-ის კვლევით საქართველოში ყველა მეხუთე ბავშვი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს და ყველა მეექვსე საარსებო მინიმუმზე ნაკლებს მოიხმარს.

ბავშვიან ოჯახებში უფრო მაღალია სიღარიბის მაჩვენებელი, ვიდრე იმ ოჯახებში, სადაც ბავშვი არ ჰყავთ. თანაც, გასათვალისწინებელია, რომ ბავშვთა სიღარიბის დონე სოფლად 50 პროცენტით მეტია.

ასე გადაღლილებსა და შეშინებულებს აღარ გვინდა პასუხისმგებლობის აღება, რომ ყველაფერი, რაც ქვეყანაში ხდება, ჩვენი ბრალია, გვეშინია გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ ვართ მოქალაქეები და ამავედროულად, მოქალაქეობა გულისხმობს პოლიტიკოსობას, პასუხისმგებლობას, რაღაცის მოთხოვნის, შეცვლის უნარს.

საქართველოს მოსახლეობაში მოქალაქის აქტივობა ძალიან დაბალია. დაისმის კითხვა - რატომ?

ამას შეიძლება სხვადასხვა მიზეზი ჰქონდეს. რადგან პრობლემასთან გამკლავება უპირველესად მიზეზების აღმოჩენიდან იწყება, შევეცდები ზოგიერთი მათგანი მოვიყვანო:

1. უპირველესი მაინც პოლიტიკური კულტურისა და გამოცდილების დეფიციტია. საქართველოში 70 წლის განმავლობაში და მანამდე, მეფის რუსეთის მმართველობისას, მოქალაქეებს არ გვქონდა უფლება, სახელმწიფოსგან მოგვეთხოვა რაიმე და მუდმივად პასიურ როლში ვიყავით;

2. უკანასკნელი 27 წლის განმავლობაში, როდესაც შეიქმნა ახალგაზრდა სახელმწიფო, პოლიტიკური პარტიები არა ხალხისგან და მათი მოთხოვნიდან გამომდინარე, არამედ რაღაც მცირე ჯგუფის ან ერთი პიროვნების ირგვლივ ყალიბდებოდა და არ შექმნა ხალხის მიერ მართვის, გადაწყვეტილების მიღების პოზიტიური გამოცდილება;
3. საბედნიეროდ, სამოქალაქო განათლება და ახლა უკვე „მე და საზოგადოება“ სასკოლო სივრცეში განსაზღვრავს ჩვენი შვილებისთვის საზოგადოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებას, მით უმეტეს, რომ მოქალაქისთვის საჭირო ბევრი უნარი ეროვნული სასწავლო გეგმით გამჭოლ კომპეტენციადაა მიჩნეული და მათი განვითარება სხვა საგნის პედაგოგებსაც ევალებათ, მაგრამ ჩვენთვის, მშობლების თაობისათვის, ბევრი რამ უცნობია: არ ვფლობთ შესაბამის ცოდნას და ჩვენი სამოქალაქო განათლებაც დაბალია.
4. ამ 27 წლის განმავლობაში საქართველოს მოქალაქეებს დაგვიგროვდა არა პოზიტიური, არამედ ნეგატიური გამოცდილება. ჩვენ მშვენივრად ვიცით, როგორ უნდა გავაპროტესტოთ რაღაცა, მაგრამ არ ვიცით, როგორ მოვითხოვოთ ცვლილებები. შეგვიძლია, დავიცვათ სკვერი, გადავეფაროთ ტრაქტორებს, მაგრამ არ შეგვიძლია მოვითხოვოთ შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურისაგან ისევე სკვერი თუ სტადიონი, თუ სხვა რამ, რაც გვჭირდება და მიგვაჩნია სწორად.

ამგვარი მიზეზები ხელს გვიშლის ვიყოთ აქტიური მოქალაქეები და რაც ასევე მნიშვნელოვანია, როლური მოდელები ჩვენი შვილებისათვის.

თუკი გავბედავთ და ყოველდღიური რუტინისაგან გადავლილები, პრობლემებისგან გაბეზრებულები თუ უმუშევრობით შეწუხებულები, ცოტა სულს მოვითქვამთ და იმ ტიპის კითხვებს დავუსვამთ საკუთარ თავს, ამ დედამიწაზე მხოლოდ ადამიანს რომ აწუხებს, ანუ დავფიქრდებით, რატომ ვცხოვრობთ ამქვეყნად, აღმოვაჩინოთ, რომ ბედნიერება, სიხარული, საკუთარი ღირსების გრძნობა, საკუთარი მნიშვნელობის აღქმა - ეს ის მთავარი შეგრძნებებია, რომელთათვისაც გავჩნდით. ამიტომ დღესვე გვევალება, გავიხაროთ, რომ შვილები გვყავს, რომ მეზობლის ბავშვებს სტადიონი აუშენეს, რომ მიუხედავად სხვადასხვა სოციალური კუთვნილებისა, უნარებისა თუ ცოდნისა, გვაქვს ღირსება და პატივი, ვიყოთ მოქალაქეები და არ მივცეთ სხვა ადამიანებს, სხვა პარტიებს, სხვა მთავრობებს ჩვენი მართვის უფლება.

შექმნა შენი ქვეყნის აწმყო და მომავალი ჩვენი, მოქალაქეების, არა მხოლოდ მოვალეობაა, არამედ დიდი პატივიც, რომლის აღსრულებაც გვაგრძნობინებს საკუთარ ღირსებას, აგრერიგად რომ გველახება ღარიბ ქვეყანაში თავის გატანისას.

როცა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობ, ყოველდღიურობაზე მაღლა დგები, თითქოს მარადისობისაკენ ერთ ნაბიჯს დგამ და ამ ტიპის პასუხისმგებლობით სავსე გაცილებით დაცული ხარ ბედისწერის ხელისგან, გაცილებით მეტად ფლობ საკუთარი და შვილების ცხოვრების სადავეებს, უფრო მშვიდი ხარ და დარწმუნებული.

### **პირადი გამოცდილება**

მე თბილისში ვცხოვრობ. ჩემს ქუჩაზე თაღოვანი შემოსასვლელია. ამ თაღით გამზირზე გადიხარ. ქუჩაზე სკოლაცაა. თაღი თითქმის ყოველთვის მანქანებითაა სავსე. ხან შეძლებ გავლას, ხან - ვერა. ეტლით მოსარგებლე ადამიანი თითქმის ვერასდროს გაეტევა მანქანასა და კედელს შორის დატოვებულ ვიწრო გასასვლელში.

სკოლიდან გამოდიან ბავშვები და დადიან შუა ქუჩაზე, მანქანების სავალ ნაწილზე, რადგან უკვე მიეჩვივნენ, რომ თაღში ტროტუარი გადაკეტილია.

ხანდახან, როცა შედარებით მეცალა ხოლმე, პატრულს ვიძახებდი. არაა ადვილი. მოდიან 30-40 წუთის დაგვიანებით, მერე, სანამ პატრონს მოძებნიან, 1 საათზე მეტი მეკარგება. არადა ერთხელ, წლების წინ, ფეხი მოვიტეხე, იმ 2-3 თვეშიც კი შეეწუხდი სახლში ჯდომით და შევეცადე ქუჩაში ეტლით გამოვსულიყავი. ძალიან რთულია: მიგორავ და მანქანა გიღობავს შენთვის განკუთვნილ გზას...

როცა თავად შეზღუდული გაქვს შესაძლებლობა, ისედაც მეტი ძალისხმევა გჭირდება ყველაფრისათვის. როცა გავიარე, გავაცნობიერე, რომ ჩემი პასუხისმგებლობა იყო მეზრუნა მათზე, ვისაც ჩემზე მეტად ჩაგრავდა გარემო, მით უფრო, რომ ბავშვების უსაფრთხოებაც ხშირად დგებოდა ეჭვქვეშ.

ქუჩა პატარაა. ამბები სწრაფად ვრცელდებოდა. შესაბამისად, ერთი გამოძახება 2-3 თვე ჰყოფნიდათ მძღოლებს. მერე ისევ გამოჩნდებოდა ვიღაც „ჭკვიანი“, რომელსაც მანქანის გაჩერება სწორედ ტროტუარზე უნდებოდა და ასე დაუსრულებლად...

ყველაზე მეტად ის მაბრაზებდა, რომ მძღოლები, უბრალოდ, არ იწუხებდნენ თავს ერთი-ორი მანევრით მეტი შეესრულებინათ, მანქანა გაესწორებინათ, თავადაც დამდგარიყვნენ და არც ჩვენთვის შეეშალათ ხელი. ამის საშუალებას ადგილი იძლევა!

წლის განმავლობაში ძალიან დამაბუღლ რეჟიმში ვმუშაობ. ზაფხულის რაღაც დრო კი შედარებით მსუბუქად მაქვს დატვირთული. ამ ზაფხულს, ცოტა სული რომ მოვითქვი, ჩემს ქუჩაზე მერიის რაიონულ განყოფილებაში (ადრე საბჭოთა სახლმმართველობა იყო) შევყავი ცხვირი და ვიკითხე, ამ საკითხზე განცხადებით

ხომ არ შეიძლება მოგმართოთ-მეთქი. ასე დაწვრილებით იმიტომ აღვწერ, რომ არ არის ყოველთვის აუცილებელი სრულყოფილი ინფორმაციის ფლობა, ზოგჯერ ადგილზეც შეიძლება გარკვევა. მიმიღეს გულისხმიერად და ზრდილობიანად, თქვენ განცხადება დაწერეთ და ჩვენ მერიაში გადავგზავნითო. სამი განცხადება დაწერე:

1. იმ ადგილას, სადაც მანქანები დგებიან, ბომები ჩაბეტონდეს, რათა ფეხით მოსიარულეებს ვეღარ გადაუკეტონ გზა;
2. თაღში განათება მოეწყოს;
3. ქუჩაზე დაიდგას სატვირთო მანქანების გაჩერების ამკრძალავი ნიშანი, რადგან მათი შემოსვლა-გასვლა დამატებით აბინძურებს ქალაქის ეკოლოგიას და შუა ქუჩაზე ტვირთგადამზიდი უზარმაზარი ტრანსპორტის ადგილი არაა.

იმ დღესვე მომივიდა ელექტრონული შეტყობინება, რომ მერიაში დარეგისტრირდა ჩემი განცხადებები და მათ მიენიჭა შესაბამისი ნომრები. მეორე დღეს მომწერეს, რომ ამკრძალავი ნიშნის დადგმას მერია კი არა, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო დეპარტამენტი კურირებდა და წერილი მათ გადაეგზავნათ. სამივე განცხადებასთან დაკავშირებით 2-3 კვირაში ფოსტით მომივიდა წერილი, რომ მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება, გამოაცხადებენ ტენდერს და ამ წელიწადში გაკეთდება. ჯერჯერობით არაფერი გაკეთებულა, მაგრამ, რაკი დადებითი პასუხი მივიღე, ვიმედოვნებ, ყველაფერი შესრულდება.

უნდა გითხრათ, ამ ამბავმა გამიუმჯობესა განწყობა: როდესაც გაკეთდება, მართლა სიამაყით გავივლი ხოლმე ჩემს ქუჩაზე და სავარაუდოდ, რაღაცა სხვა პრობლემის გადაჭრის სურვილიც გამიჩნდება. თანაც, ეს გამოცდილებაა არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ ჩემი შვილებისთვისაც.

## **მშობლები სოფლად**

თუკი თქვენ სოფლად ცხოვრობთ, თქვენი, როგორც ინდივიდის მნიშვნელობა მატულობს. თქვენ, ერთ ადამიანს, შეგიძლიათ შეცვალოთ გარემო და ეს ცვლილებები უფრო მნიშვნელოვანი და ხელშესახებია.

ნებისმიერი სახელმწიფო სტრუქტურის მუშაობა გამჭვირვალეა და ჩვენ შეგვიძლია, მოვიკითხოთ ინფორმაცია. საბჭოთა ინერციიდან გამომდინარე, არ უნდა მოგვერიდოს, ჩვენზე თანასოფელს (ვთქვათ, საკრებულოს თანამშრომელს) მოვთხოვოთ ანგარიში, სად და როგორ დაიხარჯა ჩვენი ფული, რა გაკეთდა ა. შ.

უნდა გვქონდეს განცდა, რომ ეს მართლაც ჩვენი ფულია, ჩვენი სახსარია, სახელმწიფო სტრუქტურებში ჩვენთვის მუშაობენ ადამიანები და დიახაც,



გვევალემა, ვიცოდეთ, როგორ მუშაობენ და რამდენად შეესაბამება ჩვენი საჭიროებები მათ გაწეულ შრომას.

როცა ადამიანები თანამდებობებს იკავებენ, მათ ხშირად უჩნდებათ ილუზია, რომ იციან, რა უნდა სოფელს. ამიტომ აღარ იკვლევენ ხოლმე საკითხს და თავად წყვეტენ, სტადიონი გამართონ, ბიბლიოთეკა გაარემონტონ თუ ხიდი გაამაგრონ.

როგორც წესი, საკუთარი პირველადი მოთხოვნილება იცის თავად სოფელმა, მაგრამ მისი თანამონაწილეობა დაბალია, რადგან არ აქვს გამოცდილება, არ აღიქვამს საკუთრებად, მოქმედებს ინერციით.

თუკი მიხვალთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, გაოცდებით, რამდენად დიდია თქვენი შესაძლებლობები.

კიდევ უფრო გაგაოცებთ ის განცდა, რომელსაც თქვენ მიერ წამოყენებული პრობლემის გადაჭრა მოგანიჭებთ. ეს მოგცემთ საშუალებას, დარწმუნდეთ საკუთარ შესაძლებლობებში და არა მხოლოდ საზოგადო, არამედ საკუთარი საქმეებიც გაცილებით წარმატებულად აკეთოთ.

საკრებულოებში აცხადებენ, რომ თუკი მოქალაქეებს აქვთ გამოცდილება, მათი ჩართულობა მატულობს. ანუ, თუ ვთქვათ სოფელმა, მოქალაქემ ან ჯგუფმა დააყენა რაღაც საკითხი და გადააჭრევინა ადგილობრივ თვითმმართველობას, ის, როგორც წესი, აღარ ჩერდება, ისევ აყენებს მორიგ საკითხს და ინარჩუნებს აქტიური მოქალაქის, სოფლისა თუ ჯგუფის სტატუსს.

ასე ცხოვრება გაცილებით ადვილია, მიუხედავად იმისა, რომ აქტივიზმი ძალისხმევას თხოულობს; სამაგიეროდ, მატულობს ჩვენი თვითშეფასება და საჩვენოდ ვითარდება გარემო. ასეთ ოჯახებში შესაბამისი სამოქალაქო შეგნების ბავშვი იზრდება.

თუკი თქვენ ხართ აქტიური მოქალაქე, ე. ი . თქვენ პატივს სცემთ კანონს. ეს დამატებით უზრუნველყოფს თქვენი შვილების სწორ განვითარებასა და უსაფრთხოებას, რადგან თუკი ბავშვი იზრდება გარემოში, სადაც კანონს არა მხოლოდ ემორჩილებიან, არამედ იკვლევენ, პატივს სცემენ და სათავისოდ იყენებენ, ის სამომავლოდ იმავე გზას ირჩევს და არ შეექმნება პრობლემები კანონთან.

სამოქალაქო აქტივიზმისას აუცილებელია, გავაცნობიეროთ ჩვენი უნარები. სოციალური პასუხისმგებლობა არ ამოიწურება აღმასრულებელ ორგანოებთან ურთიერთობით, ინიციატივითა და კონტროლით. ზოგიერთმა სახალხო პროექტმა, შეიძლება, ჩვენი ინდივიდუალური უნარები მოითხოვოს.

ეს უნარები ყველას განსხვავებული და უნიკალური გვაქვს. ვიღაცას შეუძლია საბავშვო გუნდისთვის ფანდური გამოთალოს, ვიღაცას - სოფლის

განვითარებისთვის უცხოენოვანი ინფორმაცია შეკრიბოს, ვილაცას - ბავშვები ამეცადინოს ცეკვაში და ა. შ.

უნდა გვახსოვდეს, რომ ეს უნარები გაცილებით მნიშვნელოვანი ხდება, როდესაც საქვეყნო საქმეს ვახმართ და ძალიან დაღლილები მაინც ვერთვებით საზოგადოებრივ საქმიანობაში. სამაგიეროდ, დასვენებისა და დაფიქრების აღარ გვეშინია, რადგან მეტ-ნაკლებად უკვე გვაქვს პასუხი მთავარ ადამიანურ კითხვაზე: რატომ ვცხოვრობთ?

ვცხოვრობთ იმიტომ, რომ შევცვალოთ გარემოცა და საკუთარი თავიც უკეთესობისკენ და გაუმჯობესებული გარემო დავუტოვოთ შვილებს.

## რატომ და როგორ უნდა გავზარდოთ მკითხველი

### პატარა ადამიანები დიდი ამოცანების პირისპირ

ყველამ ვიცით, ადამიანი მორალისა და ეთიკისაგან თავისუფალი იბადება და ჩვენ, კულტურა, საზოგადოება ვზღუდავთ მას, ვასწავლით ათას ნორმას, ვუკრძალავთ ათას რაღაცას და ვამზადებთ ზრდასრული ცხოვრებისათვის, რომელშიც ის მარტო უნდა გავიდეს, ფიქრი უნდა შეძლოს, საკუთარი სინდისი დაბადოს, რომლითაც ისე უნდა იცხოვროს, რომ ჰქონდეს სხვისი ინტერესების გაგების, პატივისცემის, მოფრთხილების უნარი და ასევე საკუთარი განვითარებისა და ბედნიერებისკენ ჯანსაღი მისწრაფება.

ეს მეტად რთული, მაგრამ ძალიან საინტერესო პროცესია და ცოდნას, მოთმინებას, სიყვარულს მოითხოვს.

### ? როგორ იზრდებიან ბავშვები?

საიდან სწავლობენ ისინი მორალური დილემების სწორად გადაჭრას?

ერთ-ერთი მთავარი, რა თქმა უნდა, ირგვლივ მყოფი ადამიანები არიან, უპირველესად - ჩვენ, მშობლები; მერე - სკოლა, საზოგადოება; ბავშვი იღებს როლურ მოდელს იმ ადამიანებისგან, რომლებსაც ხედავს, მაგრამ მათგან ის იღებს და აანალიზებს ამბავს.

მაგ. ნიკოს მამა მხიარულია. როცა სათევზაოდ ნიკოსთან ერთად წამიყვანა, მთელი გზა გვაცინებდა სახალისო ამბებით. რომ გავიზრდები, შევეცდები მეც ასეთი სასიამოვნო და მხიარული მამა ვიყო. ბავშვი ცდილობს ვილაცის ქცევის გადაღებას

და ეს ქცევაც თავისთავად ამბავია. ამიტომ ადამიანებს, და განსაკუთრებით ბავშვებს, ძალიან უყვართ ამბები.

ყველას გვსმენია, რომ მხატვრული ლიტერატურა შეუცვლელია ბავშვის აღზრდის საქმეში. თანამედროვე ციფრულ სამყაროში, რაღა თქმა უნდა, მას კინო და მულტიპიკაციაც ეხმარება, როგორც ასევე ამბის მატარებელი პროდუქტები, თუმცა მხატვრული ლიტერატურის მნიშვნელობა მაინც შეუცვლელია. ქვემოთ შევეცდები ავხსნა, რატომ.

მაგალითად გამოდგება ქრისტიანული გაგება მზიანი ღამისა. ღმერთი ისეთი სინათლეა, რომელსაც ადამიანი პირდაპირ ვერ უყურებს და თუკი ცდილობს, თვალები უბნელდება.

მორალიცა და ეთიკაც, თუკი ბავშვს პირდაპირ ვაწვდით, გონებასა და სინდისს არ უნათებს, პირიქით, ბავშვს თითქოს აშინებს ასე თავსმოხვეული ნორმა, შეიძლება საპირისპირო შედეგიც კი მივიღოთ. გარდა ერთგვარი შიშისა, რომელიც რაღაც ახლის მიმართ უფროსებსაც გვახასიათებს, პირდაპირ დიდაქტიკას სხვა სუსტი მხარეებიც აქვს:

პედაგოგიკაში მომუშავე ადამიანებმა იციან, სწავლა-სწავლებისას არ არსებობს სწავლების სუბიექტი და ობიექტი, ორივე მხარე სუბიექტია. ეს სამართლიანიცაა, რადგან ზრდის მოსწავლის, აღსაზრდელის მნიშვნელობასა და თავისუფლებას. როდესაც ჩვენ შვილს რაღაცას ვასწავლით, მან ეს უნდა მიიღოს და გარდაქმნას საკუთარ სინამდვილედ. როგორც წესი, მზამზარეულ დოქტრინებს ბავშვი, ისევე როგორც ზრდასრული, არ იღებს. მხატვრული ლიტერატურა კი აზროვნების ველს ქმნის. როდესაც ჭკუის სწავლების ნაცვლად ბავშვს ვაწოდებთ ამბავს, ის ამ ამბავს თვითონ გარდაქმნის შესაბამის მორალურ დოქტრინად და ასე, გაღიზიანების გარეშე აქცევს თავის სინამდვილედ.

ამდენად, მხატვრული ლიტერატურა იძლევა საშუალებას აღვზარდოთ ბავშვი და ეს პროცესი იყოს ფრთხილი, მოზომილი, ბავშვის საჭიროებებზე მორგებული.

მართალია, ხშირად ამბობენ, რომ ლიტერატურა ვერ უზრუნველყოფს უკეთეს მოქალაქედ ჩამოყალიბებას და დიდი ტირანების მაგალითები მოჰყავთ, რომლებიც მკითხველები იყვნენ, მაგრამ ამან ხელი არ შეუშალათ საყოველთაო სისხლისღვრასა და სისასტიკეში, მაგრამ ლიტერატურა იძლევა პიროვნული ზრდის საშუალებას, ვიღაცა გამოიყენებს, ვიღაცა - არა! თავად ეს საშუალება უნიკალურია და ერთ-ერთი შეუცვლელი რესურსია აღზრდის საქმეში.

ქვემოთ შევეცდები თავი მოვუყარო იმ სიკეთეებს, რომლებსაც ლიტერატურა დიდი სამყაროს აღმოჩენილ ჩვენს პატარებს სთავაზობს:

1. მხატვრული ლიტერატურა ეხმარება ბავშვს, ჩამოიყალიბოს სწორი მორალურ-ეთიკური ღირებულებები, შეძლოს სხვისი გასაჭირის გაგება, გვერდში დგომა, თავგანწირვა, გარჯა და ა. შ, რომლებიც შემდგომში მას საზოგადოების სრულყოფილ წევრად აქცევს.  
საბედნიეროდ, ლიტერატურის ფუნქცია ბავშვის ცხოვრებაში მხოლოდ მორალური აღზრდა არაა. არსებობს უამრავი საბავშვო ტექსტი, რომლებიც პატარებს ფსიქო-ემოციურ რეგულაციაში ეხმარება.  
აქ რამდენიმე შემთხვევაა განსახილველი:
2. ტექსტში აღწერილია ბოროტება, რომელსაც სიკეთე ამარცხებს. ბავშვებმა საკმაოდ მცირე ასაკიდან იციან, რომ ქვეყანაზე არსებობს ბოროტება. ამ ტიპის ზღაპრები თუ ლიტერატურული ტექსტები ბოროტების შესახებ კი არ უყვებიან პატარებს, არამედ, ანუგეშებენ, რომ მათი დამარცხება შეიძლება, ასწავლიან შიშებთან გამკლავებას.
3. ლიტერატურა გაშუალებულ წარმოდგენას გვიქმნის სამყაროზე, რადგან მხატვრული სახეების საშუალებით ჰყვება მის შესახებ. ეს კიდევ ერთი დამატებითი ფაქტორია ბავშვობის შიშებთან გასამკლავებლად. თუკი ტექსტში ბავშვს რაღაცის ეშინია, ის ამ შიშის დაძლევის გამოცდილებას იმავე ტექსტის წაკითხვისას იღებს. ცხოვრებაში შექმნილ მგავს სიტუაციებს უკვე მომზადებული ხვდება.
4. დიდები ხშირად ვივიწყებთ, რომ ცხოვრებაში ჰაერივით აუცილებელია გართობა და ხალისი. ხანდახან ისე ვკარგავთ ამ უნარს, რომ შრომას ვეღარ ვწყდებით, თითქოს შეჩერების გვეშინია. მერე გვეწყება ნევრული აშლილობა! ბავშვებისთვის ჰაერივით აუცილებელია გართობა და ამ ფუნქციას ხანდახან კარგი საბავშვო ტექსტი ასრულებს! ნუ შეგვეშინდება, თუ ჩვენი გადმოსახედიდან წიგნი არაფრისმომცემია: თუკი ბავშვი ხალისობს, უკვე ძალიან კარგია!
5. ხშირად და სამწუხაროდ, ჩვენი შვილები არიან მარტო, მიუხედავად იმისა, რომ გვერდით ვყავართ. ასეთ შემთხვევაში წიგნი, მისი პერსონაჟი ხშირად ითავსებს მეგობრის, ემოციების გამზიარებლის ფუნქციას.
6. თავისთავად ცხადია, მხატვრული ლიტერატურა ავითარებს კითხვისა და მეტყველების უნარებს და რადგან ურთიერთკავშირშია, წერით უნარსაც. ეს სამი კომპონენტი კი წარმატებული სწავლის საწინდარია.
7. მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია არის ბავშვის ესთეტიკური უნარების განვითარება. მეტყველებასთან ერთად ადამიანს ცხოველისგან სწორედ ესთეტიკის შეგრძნება განასხვავებს. რაც უფრო განვითარებულია ეს უნარი, მით უფრო უზრუნველყოფილია ინდივიდის ცხოვრების მაღალი დონე. მაგ, თუკი მშვენიერებით ტკბობა შემიძლია, სიხარულის მიღების ბევრნაირი საშუალება მაქვს: კინო, თეატრი, წიგნი, ბუნება, მუსიკა... ეს ყველაფერი ირგვლივ უამრავია და

ხშირად არც დიდ ხარჯებს უკავშირდება, ხოლო თუკი ამ უნარს მოკლებული ვარ, მრჩება ცხოველური მოთხოვნები, რომლებიც ხშირად უფრო ძვირი სიამოვნებაა და თანაც, ადამიანის დაუკმაყოფილებელი ბუნებიდან გამომდინარე, მალე ქმნის პრობლემებს ცხოვრებაში. ამდენად, მშვენიერების აღქმისა და მისით ტკბობის უნარი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ბავშვის აღზრდისას.

8. არსებობს ე. წ. „ყირამალა ამბები“, „ცოცხალი ტყუილები“, რომლებიც ბავშვის გართობასთან ერთად უზრუნველყოფს მისი იუმორისა და ფანტაზიის განვითარებას და ისინი საბავშვო ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.
9. კინო და მულტიპლიკაცია ნაწილობრივ ითავსებს მხატვრული ლიტერატურის ფუნქციას, მაგრამ ეს უკანასკნელი მეტ თავისუფლებას სთავაზობს ადამიანს და ამდენად, მეტად ავითარებს.

### **როგორ გავზარდოთ მკითხველი**

მკითხველის გაზრდა დღეს, როგორც არასდროს, განსაკუთრებულ ძალისხმევას ითხოვს. წიგნს გამოუჩნდა არაერთი კონკურენტი და შესაბამისად, გადაინაცვლა შედარებით უკანა პლანზე. დღეს ხშირად გაიგონებთ უფროსების წუწუნს, რომ უწიგნური თაობა გვყავს, რომ თავად კითხულობდნენ, დღეს კი სულ კომპიუტერსაა მიჯაჭვული ახალგაზრდობა.

რამდენად სწორია ეს საყვედური, ვერ გეტყვით, უფრო მგონია, საბჭოთა მოდა იყო გეთქვა, რომ კითხულობ, გეყიდა წიგნები, ხანდახან გებრძოლა, რომ ერთი ფერის შეგხედროდა რომელიმე ტომეულები, რათა თაროებზე ლამაზად ჩამოგემწკრივებინა. საბჭოთა ოჯახური ბიბლიოთეკები ბევრი მინახავს ბოლომდე ასე ხელუხლებლად დატოვებული. თუმცა, შეიძლება, მართლაც მეტად კითხულობდნენ, დრო მეტი იყო. ამის კვლევას ახლა ვერ შევძლებთ. ჩემი ამ საკითხით დაინტერესებული ერთი რიგითი ადამიანის გამოცდილებით, დღესაც კითხულობენ, კითხულობენ უფრო მეტს და უფრო ხარისხიანად. გაცილებით ხელმისაწვდომია თავად წიგნიც. ნელ-ნელა ძალას იკრებს ბიბლიოთეკებიც. მეტიც, მოდაშიც კი შემოდის და მოზარდები ხშირად ბიბლიოთეკაში კითხვას ამჯობინებენ, რადგან ზოგიერთ მათგანში თანამედროვე და მიმზიდველი გარემოა.

თუმცა, საერთაშორისო კვლევებს თუ გადავხედავთ, საქართველო წერა-კითხვისა და წაკითხულიდან აზრის გამოტანის უნარებით სავალალოდ გამოიყურება. ამიტომ, ვფიქრობ, რომ არც ისეა საქმე, როგორც მე ვხედავ. ალბათ, პროფესიიდან გამომდინარე მიწევს ამ კუთხით შედარებით დაინტერესებულ ნაწილთან ურთიერთობა.

იმისთვის, რომ თანამედროვე პირობებში აღზარდოთ მკითხველი, თანამედროვე მიდგომებია საჭირო. ზემოთ უკვე რამდენჯერმე ითქვა, რომ ადამიანის ქცევის დაახლოებით ნახევარი ან ნახევარზე ცოტა მეტი, დასწავლილია. ამიტომ დაისმის დღევანდელი მშობლისთვის ხშირად მძიმე და კრიტიკული კითხვა, თავად რა დროს უთმობს კითხვას, წელიწადში რამდენ წიგნს კითხულობს, კვირაში რამდენჯერ შეიძლება დაინახოს შვილმა წიგნით ხელში და ა. შ.

თუკი ჩვენ არ ვართ ან აღარ ვართ მკითხველი, იმის ალბათობა, რომ ჩვენი შვილი იქნება, კლებულობს.

თუკი ზრდასრულ ასაკს ისე მივადწიეთ, ერთხელაც არ გვიკითხავს წიგნი გატაცებით, ახლა ძალიან გვიანია, მაგრამ თუკი ეს უნარი გვქონდა, ადვილად შევძლებთ დავიბრუნოთ და გარდა შვილების აღზრდის მოტივისა, სიხარულის მიღების საშუალებასაც ავდიდგენთ. რაც შეეხება დროის დეფიციტს, ის ყოველთვის იქნება, თუ ჩვენ არ შევცვალებთ საკუთარი ცხოვრება და წიგნის კითხვის კი არა, ბავშვის გულში ჩაკვრის წუთებსაც მოგვპარავს.

წიგნიერებაზე ზრუნვას განვითარებულ ქვეყნებში ბავშვის დაბადებიდანვე იწყებენ! წიგნი უნდა ასოცირდებოდეს მომხიბვლელ, სასურველ ნივთად, რომელიც ჩვილობიდანვე ბავშვის გვერდითაა. ამ მიზნით ამზადებენ ცელოფნის ან რეზინის „წიგნებს“, რომლებიც 3-4 გვერდია და თითოზე თითო რაღაც ხატია, ანუ თითო გზავნილია ბავშვისთვის, ამ წიგნებით აზაზანაშიც კი შეიძლება თამაში! არსებობს ხმოვანი წიგნები, ე. წ. 3დ წიგნები, წიგნები, რომლებსაც შესაბამისი თამაშები მოჰყვება და ა. შ.

ხშირად ჩივიან მშობლები, რომ ყიდულობენ ძვირფას წიგნებს, მაგრამ პატარას ძილის წინ წაკითხულის მოსმენა არ სურს. როგორც წესი, 2-3 წლის ბავშვებს წაკითხულის მოსმენა უჭირთ. ბავშვს უნდა ეჭიროს წიგნი, ჰქონდეს გადაშლის საშუალება და ჩვენ უნდა ვყვებოდეთ ტექსტს. მოყოლილი ტექსტის აღქმა გაცილებით იოლია, ვიდრე - გაბმით წაკითხულის. ნელ-ნელა წაკითხულის მოსმენასაც ისწავლის.

მნიშვნელოვანია, რომ წიგნის წაკითხვას ყოველთვის შევუნარჩუნოთ პოზიტიური დატვირთვა და არ ვაქციოთ ვალდებულებად.

მნიშვნელოვანია, ჩვენც გვქონდეს წაკითხული ესა თუ ის წიგნი, რომელსაც ბავშვი კითხულობს და ფრთხილად დასმული კითხვებით შევამოწმოთ, გამოაქვს თუ არა აზრი, საჭირო შემთხვევაში სწორი კითხვებით მივიყვანოთ სწორ დასკვნამდე. არ შევთავაზოთ გამზადებული მოსაზრება.

როდესაც პირველკლასელი წერა-კითხვის სწავლას იწყებს, მნიშვნელოვანია მთელი ოჯახის ჩართულობა არა იმისთვის, რომ თავზე ადგეს, როგორ ამოიკითხა „თოხი“, ან გამოწერა ესა თუ ის ასო, არამედ სიხარულისა და წარმატების გასაზიარებლად და

სიძნელეების დროს თანადგომისთვის. მნიშვნელოვანია, მთელ ოჯახში აღიარებული იყოს წერა-კითხვის უზარმაზარი მნიშვნელობა და თითოეული წინ გადადგმული ნაბიჯის დროს სიხარულით ვხვდებოდეთ შვილების წარმატებას. როდესაც უკვე გამართულად კითხვას შეძლებენ, სასურველია, ვანდოთ ძილის წინ წასაკითხი ლიტერატურიდან, თუნდაც, ერთი გვერდი და შემდეგ ჩვენ განვაგრძოთ. თავიდან სათაურების ამოკითხვით უნდა დავიწყოთ და მნიშვნელოვანია, ყველა შემდეგ ეტაპზე გადასვლისას, მოვახერხოთ, ბავშვმა იგრძნოს პატივი, რომელიც მიენიჭა რაღაცის წაკითხვის უფლებით.

მესამე-მეოთხე კლასში წერა-კითხვის უნარები, წესით, ჩამოყალიბებულია. მოსწავლეს შეუძლია გაბმით კითხვა, აზრის გამოტანა და სიამოვნების მიღება მცირე და მისთვის შესაფერისი ლიტერატურის კითხვისას (არ უნდა დაგვაფიქვდეს, ლიტერატურის შინაარსი და შრიფტის ზომაც უნდა იყოს ასაკზე მორგებული).

თუკი ამ პერიოდისათვის ბავშვი ვერც გაბმით კითხულობს და თქვენც უკვე ბევრი შეცდომა დაუშვით ბავშვის მკითხველად ჩამოყალიბებაში (ვიმეორებ, შეცდომებს ვუშვებთ ყველანი!), უყვირეთ, დააძაღეთ, კითხვის სანაცვლოდ საჩუქარს შეჰპირდით, მაშინ განსაკუთრებული ძალისხმევის გამოვლენა მოგვიწევს.

უპირველესად უნდა დავრწმუნდეთ, ხომ არ გვაქვს საქმე რაიმე ტიპის დისლექსიასთან. ასეთი მსუბუქი დარღვევები ბავშვებში ხშირია და ის სპეციალისტების, ფსიქოლოგებისა და პედაგოგების ძალისხმევით გვარდება.

ამდენად, არ უნდა შეგვეშინდეს და დისლექსიის შემთხვევაში მშვიდად მივდიოთ სპეციალისტების მითითებს.

თუ ბავშვს დისლექსიის პრობლემა არ აქვს, უნდა შევეცადოთ გაცილებით მჭიდრო თანამშრომლობას პედაგოგთან. თანამედროვე პედაგოგიკა წერა-კითხვის სწავლების მრავალ მეთოდს იცნობს; უნდა ვცვალოთ მეთოდიკა, დაუძლეველი ამოცანები არ უნდა დავსახოთ. თუ ვფიქრობთ, რომ საშინაო დავალება არ შეესაბამება ჩვენი შვილის უნარებს, ვთხოვთ პედაგოგს, იხელმძღვანელოს ინდივიდუალური გეგმით, რათა სწავლების პროცესი არ გადაიზარდოს ძალადობაში.

მოვძებნოთ მომხიბვლელი სივრცეები, სადაც წიგნებია. ეს შეიძლება იყოს თქვენი მეგობრის ბიბლიოთეკა, რომლის შვილსაც უყვარს კითხვა და შეძლებს სიამაყით ან სიყვარულით დაათვალიერებინოს, სკოლის ბიბლიოთეკა, რაიმე საბავშვო საკვირაო სკოლა ან ლიტერატურული წრე.

თუკი თქვენ სოფლად ცხოვრობთ, ასეთი სივრცე თავად შეგიძლიათ შექმნათ. მაგ. მშობელთა კლუბი, სადაც კვირაობით მშობლები ან პაპა-ბებიები საზვიანვე ვითარებაში წაიყვანენ პატარებს (შენობა შეიძლება ისევ სკოლას სთხოვოთ). წაუკითხავენ ლიტერატურას და საჭიროების მიხედვით ძალზე მცირე დავალებას მისცემენ. თუ იქნება რესურსი, შეიძლება იქვე შექმნან ხელნაკეთი წიგნები, მოაწყონ

მკითხველის თეატრი, საბავშვო თეატრი. სოფლად პაპა-ბებიები მეტად არიან შვილიშვილების გვერდით. სასურველია ამგვარი საქმიანობების მათთვის გადაბარება. ასე გამყარდება სოციალური ურთიერთობები და ხანდაზმულებსაც მეტი ფუნქცია მიეცემათ, რაც მათზე ზრუნვის მთავარი კომპონენტია.

მოკლედ, თუ გვსურს გავზარდოთ მკითხველი, ნებისმიერი ძალისხმევის ფასად უნდა ვაგრძნობინოთ, რომ კითხვა - ეს არის საოცარი საშუალება, საჩუქარი, რომელსაც ჩვენ მათ ვთავაზობთ.

ამ ტიპის ხრიკს ჯერ კიდევ აკაკი წერეთელი აღწერს ავტობიოგრაფიაში, როდესაც უფროსი და თითქოს დედისაგან ჩემად ასწავლის პატარა აკაკის წერა-კითხვას.

ბავშვთან ურთიერთობისას, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამოსავალი მისი ღირსებაა და ყოველთვის შევეცადოთ ნდობის, მისი თავისუფლების დემონსტრირებას!

**?** რა არის თავისუფლება?

ის ერთგვარად არჩევანის საშუალებაა. რაც უფრო დიდია არჩევანის საშუალება, მით მეტია თავისუფლება. წიგნიერებასთან დაკავშირებითაც ძალზე მნიშვნელოვანია ბავშვებს მივცეთ თავისუფლება.

**?** რაში შეიძლება გამოიხატოს ეს?

წავიყვანოთ ბიბლიოთეკაში, ან, თუ საშუალება გვაქვს, წიგნის მაღაზიაში და ვაჩვენოთ ის თაროები, რომლებზეც მათთვის შესაფერისი ლიტერატურაა განლაგებული. ეს შეიძლება იყოს მესამე-მეოთხე კლასელისთვის, პირობითად, 30 წიგნი. გავუმახვილოთ ყურადღება მისი არჩევანის მნიშვნელობაზე. წინა დღეებშივე მოვამზადოთ, რომ ეს მან რაღაცით დაიმსახურა და რომ მივალთ, თავად აირჩევს სასურველ წიგნს.

როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში პატარები მეტი ენთუზიაზმით კითხულობენ და კითხვასაც მეტად იყვარებენ, თუკი წიგნის მაღაზია, ბიბლიოთეკა, ლიტერატურული კლუბი, მკითხველის თეატრი ან რაიმე მსგავსი ადგილი მათ აგრძნობინებს საკუთარ თავისუფლებას, ღირსებასა და მნიშვნელობას.

ასევე რეკომენდებულია წიგნი დაკავშირებული იყოს დღესასწაულთან. თუკი თქვენ თბილისში ან თბილისთან ახლოს ცხოვრობთ, ნუ გამოტოვებთ წიგნის ფესტივალს, რომელიც ყოველწლიურად მაისის ბოლოს წერეთლის გამზირზე მდებარე გამოფენის ბაღში იმართება.

ფესტივალი სამი დღე გრძელდება ხოლმე და მრავლადაა ბავშვებისთვის საინტერესო აქტივობები. გარდა ამისა, წიგნის საყიდლად თავმოყრილი ამდენი ადამიანი თავისთავად ქმნის მოტივაციის ამამაღლებელ ველს. კარზეა ხოლმე



მომდგარი ზაფხული, წიგნების კითხვისთვის ყველაზე თავისუფალი დრო და სასურველია, ბავშვებმა თავად აირჩიონ ის წიგნები, რომლებსაც ზაფხულში წაიკითხავენ.

თუ სოფლად ცხოვრობთ, შეგიძლიათ სპეციალური ექსკურსია დაამთხვიოთ ამ ფესტივალს. თუ ესეც შეუძლებელია, თქვენს სოფელში შემოიღეთ წესად და წელიწადში ერთხელ მაინც გამართეთ წიგნთან დაკავშირებული დღესასწაული, რომელსაც პატარები წლიდან წლამდე დაელოდებიან. ასეთ დღედ შეგიძლიათ აირჩიოთ წიგნის საერთაშორისო დღე 23 აპრილი, ან საბავშვო წიგნისა და წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღე 2 აპრილი.

შეგიძლიათ ასეთი დღესასწაულის მოსაწყობად აიყოლიოთ სკოლა, ბიბლიოთეკა ან სულაც სამეზობლო.

ბავშვის მკითხველად გაზრდა არაა მარტივი პროცესი, მაგრამ სახალისოა, შვილთან სწორ ურთიერთობას გვაჩვენებს და საშუალებს გვაძლევს ხშირად ვიყოთ მათთან ერთად ბედნიერები.

## როცა ბავშვები ავად არიან

მშობლები განსაკუთრებულად უმწეონი ვხდებით, როცა ბავშვები ავად არიან. ჩვენი შიში, შფოთვა იზრდება, თუ მანამდე არ გვაქვს მსგავსი გამოცდილება და არ ვიცით, რომ პრობლემა მალე და მშვიდად მოგვარდება, ანუ ჩვენი პატარა გამოჯანმრთელდება. თუ ეს ჩვეულებრივი ვირუსია, რომელთან გამკლავების სტრატეგია უკვე გამომუშავებული გვაქვს, მაშინ უკეთ ვმართავთ სიტუაციას და მშვიდად ვართ, მაგრამ თუკი ჩვენს შვილს სჭირდება ჰოსპიტალიზაცია, და წარმოდგენა არა გვაქვს, რა პროცედურები მოელის პატარას, რისი დამლევა მოგვიწევს ერთად, სიტუაცია რთულდება და ჩვენი თუ ბავშვის შფოთი მატულობს.

ხანდახან ბავშვები ხანგრძლივად ავადმყოფობენ, საჭიროებენ ერთ ან რამდენიმე ოპერაციას, ჰოსპიტალიზაცია აუცილებელი ხდება და დიდ დროს მოითხოვს. მშობელიცა და ბავშვიც სტრესულ სიტუაციაში ექცევიან და ამან შეიძლება ბავშვის განვითარება შეაფერხოს.

არ სჭირდება სპეციალური კვლევა (თუმცა, ასეთებიც ბევრი არსებობს), რომ ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობა აისახება ჯანმრთელობაზე. ამიტომ, თუ გვინდა მისი სწრაფად გამოჯანმრთელება, უნდა შევეცადოთ, უზრუნველვყოთ მისი

განწყობა, დავებმართო, ისწავლოს ტკივილებთან გამკლავება, რომლებიც ავადობას და მასთან დაკავშირებულ ბევრ პროცედურას ახლავს.

უპირველესი, რაც ჰოსპიტალიზაციისას უნდა მოვითხოვოთ, არის ჩვენი შვილების ღირსების დაცვა, რაც ბევრ რამეში გამოიხატება: ჰკითხოთ და მიმართონ მისთვის სასურველი სახელით, სთხოვონ ნებართვა გასინჯვისას ან პროცედურების ჩატარებას, მიაწოდონ ინფორმაცია მისთვის ასაკობრივად გასაგებ ენაზე და ა. შ.

ასევე მნიშვნელოვანია, ჩვენ, მშობლები, საფუძვლიანად ინფორმირებულები ვიყოთ ბავშვის ავადობის შესაძლო განვითარებასთან დაკავშირებით, ვიცოდეთ მოსალოდნელი პროცედურების შესახებ და ა. შ.

საავადმყოფოში მიღებული ტკივილი, შიში, შფოთვა რომ შეამცირონ, ბევრ ქვეყანაში ექიმებთან ერთად მუშაობენ ფსიქოლოგები. ბავშვებისა და მშობლებისათვის მხარდამჭერ სერვისს საქართველოს რამდენიმე კლინიკაშიც აღმოაჩინო.

ბავშვთა გულის კლინიკაში ერთ-ერთ პროექტზე მუშაობისას თავად მინახავს, როგორ იცავდნენ ფსიქოლოგები ბავშვთა უფლებებს, როგორ შემოჰყავდათ ატირებული პატარები მათთან, ე. წ. სათამაშო ოთახში, სადაც თოჯინებზე თამაშით აცნობდნენ სულ პატარებსაც კი, რა ელოდათ, რა სამედიცინო პროცედურა უნდა გადაეტანათ და ბავშვებიც დამშვიდებულები, ყოველგვარი ძალადობის გარეშე იტარებდნენ ამ პროცედურებს და გარდა იმისა, რომ იმწუთას ადგებოდათ ნაკლები ზიანი, იძენდნენ შიშთან და ტკივილთან გამკლავების საჭირო უნარს.

## **დავით სარაჯიშვილი - მოქალაქე და ჩვენი, დღევანდელი მშობლების თაობის, მოქალაქეობრივი ამოცანა**

მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის, ხშირად გმირობის მაგალითებიც მრავლადაა საქართველოს ისტორიაში.

ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეცხრამეტე საუკუნე და მეოცე საუკუნის დასაწყისი. ავბედითი სამოცდაათი წლის გამო თითქოს ისტორიამ უკან დაგვაბრუნა და ისევ იმავე პრობლემების წინაშე ვდგავართ, ერთი საუკუნის წინ რომ ვიდექით. დღესაც იგივე პასუხისმგებლობა და პიროვნული გმირობის იგივე მაგალითებია საჭირო!

ახალი სახელმწიფოს შენებისას დავიწყეთ ისტორიის იმ ფურცლების მოძიება, რომლებსაც საბჭოთა ცენზურა საგულდაგულოდ გვიმალავდა. ერთი-ერთი ასეთი

პიროვნება საზოგადოებრივი მოღვაწე, ბიზნესმენი, მეცენატი, მეწარმე დავით სარაჯიშვილი გახლდათ. მისი სახელი არა მხოლოდ მიჩქმალეს, საფლავიდანაც კი ამოთხარეს კომუნისტებმა.

იმდენად ყოვლისმომცველია მისი ღვაწლი საქართველოს წინაშე, იმდენ მნიშვნელოვან და დღესაც აქტუალურ საკითხს ეხება მისი ცხოვრება, მოქალაქეობის ისეთი მაგალითია, გადავწყვიტე, „მე და საზოგადოების“ მშობლის რესურსის ბოლო თავი მისთვის მიმეძღვნა, როგორც საუკეთესო სახელმძღვანელო და მაგალითი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობისა.

## ბიოგრაფია

დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი 1948 წლის 28 ოქტომბერს თბილისელი დიდვაჭრის, ზაქარია სარაჯიშვილისა და აზნაურ სვიმონ სავანელის ქალიშვილის, ელისაბედის ოჯახში დაიბადა.

სარაჯიშვილები, როგორც დიდვაჭრები, საპატიო თბილისელების ტიტულს ფლობდნენ და ამართლებდნენ კიდევაც. ზაქარიას აშენებული წმინდა გიორგის ეკლესია და ხიდი დღესაც არის სოფელ დილოში.

ზაქარია სარაჯიშვილსა და ელისაბედ სავანელს სამი შვილი ჰყავდათ: დავითი, ეკატერინე და მარიამი. უფროსი, ეკატერინე, თავად ნიკოლოზ ერისთავზე (1831-1912, ერთ დროს ბათუმის გენერალ-გუბერნატორი) იყო გათხოვილი. მარიამის მეუღლე იყო ქართველი მწერალი დავით ერისთავი (1847-1890).

დავით სარაჯიშვილს დაწყებითი განათლება ოჯახში მიუღია, შემდეგ სწავლობდა თბილისში იმ დროისთვის სახელგანთქმულ ჰაკეს კერძო პანსიონში. ამის შემდეგ დავითმა ვაჟთა პირველი კლასიკური გიმნაზია დაამთავრა.

1866 წელს, გიმნაზიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, ოჯახმა დავითი პეტერბურგში გაუშვა სწავლის გასაგრძელებლად. დავითმა მხოლოდ ერთი წელი დაყო პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე და გერმანიაში გაემგზავრა სასწავლებლად. გერმანიაში ის ქ. მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანეს სახელობის უნივერსიტეტში ისმენდა ლექციებს, შემდეგ ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში სწავლობდა, რომელიც 1871 წელს დაამთავრა ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხით. ამავე 1871 წელს დაიცვა დისერტაცია ფილოსოფიაში და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიენიჭა. ცოტა მოგვიანებით ქ. ჰოჰენჰაიმსა და ჰალეში სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებას ეუფლება, მევენახეობა-მეღვინეობის შესასწავლად 1878-1879 წლებში კი საფრანგეთშია.

საფრანგეთში შეისწავლა დავით სარაჯიშვილმა სპირტიანი სასმელების - არაყის, ლიქიორისა და კონიაკის წარმოების ტექნოლოგია.

საქართველოში დაბრუნებულმა დავით სარაჯიშვილმა ცნობილ ვაჭარ-მრეწველის, ივანე ადამის ძე ფორაქიშვილის ასულზე, ეკატერინეზე (1862 - 1916) იქორწინა. ეკატერინე დავითის ერთგული მეგობარი და ყველა საქმეში მისი მხარდამჭერი და დამხმარე იყო. ეკატერინე იყო სარაჯიშვილების სასახლის დიასახლისი, სასახლეში სისტემატურად გამართული შეხვედრა-საღამოების სულისჩამდგმელი და მოთავე.

დავით სარაჯიშვილის, როგორც მეწარმის საქმიანობა კლასიკური ნიმუშია იმისა, როგორ უნდა დააბანდო მამის დანატოვარი ქონება, მიიღო საფუძვლიანი განათლება, შეძლო წარმატების განსაზღვრა, სწორი რეკლამა და ა. შ.

საქართველოში დაბრუნებულმა დავით სარაჯიშვილმა კონიაკის წარმოება დაიწყო. საყოველთაოდ ცნობილია, კონიაკი ეწოდება საფრანგეთის პროვინცია კონიაკში მოწეული ყურძნით გაკეთებულ სასმელს და სხვას ყველაფერს უნდა ეწოდოს ბრენდი. არსებობს მოსაზრება და თბილისიდან გაგზავნილი წერილები, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დავით სარაჯიშვილს დასახელება „კონიაკის“ გამოყენების უფლება ჰქონდა, თუმცა ამის დადასტურება დღეისთვის ვერ ხერხდება.

დავით სარაჯიშვილმა პირველად უზარმაზარი რუსეთის იმპერიაში გახსნა თავისი სპირტის ქარხნები:

თბილისი 1988

ყიზლარი 1989

ერევანი 1894

ბესარაბია (კიშინოვთან) 1895

ბაქო 1894

დავით სარაჯიშვილის კონიაკს მსოფლიო გამოფენებზე 14 ოქროსა და ვერცხლის მედალი აქვს აღებული.

ცნობილი სომხური კონიაკი დღესაც დავით სარაჯიშვილის მიერ დაარსებულ ქარხანაში ისხმება.

დღევანდელი ბიზნესისათვის სამაგალითოა მისი, როგორც მეწარმისა ბიზნესმენის, დამოკიდებულება საკუთარი თანამშრომლებისადმი:

1. დავით სარაჯიშვილი ქირობდა მასწავლებლებს და წერა-კითხვას ასწავლიდა საკუთარ მუშებსაც და სახლის მომსახურე პერსონალსაც. თუკი მუშა წერა-კითხვას შეისწავლიდა, ის უზრდიდა ხელფასს.

2. დავით სარაჯიშვილმა პირველმა შემოიღო 8 საათიანი სამუშაო დღე, ნაცვლად მოთხოვნილი 9 საათიანი სამუშაო დღისა.
3. დავით სარაჯიშვილის თანამშრომლები დაზღვეულნი იყვნენ მისივე ფონდის მიერ და ავადობის შემთხვევაში იღებდნენ შესაბამის მომსახურებას.
4. თუკი რომელიმე მისი ყოფილი თანამშრომელი ცალკე გასვლას და თავისი ბიზნესის წარმოებას გადაწყვეტდა, დავითი უფინანსებდა ამ წამოწყებას.
5. დავით სარაჯიშვილმა პირველმა შემოიღო ბიულეტენი.
6. 1905 წელს, მუშათა ცნობილი გაფიცვის დროს, სარაჯიშვილის მუშები არ გაიფიცნენ. როდესაც დავითი მივიდა და ჰკითხა, რატომ მუშაობთო, მათ უპასუხეს, ჩვენ ყველაფერი გვაქვს, რასაც სხვები ითხოვენო. დავით სარაჯიშვილმა მაინც გააჩერა საკუთარი ქარხნები და მუშებს გაფიცვისკენ მოუწოდა, სირცხვილია, მთელი ქალაქი გაფიცულია და თქვენ მუშაობთო.

## სტიპენდიანტები

დავით სარაჯიშვილს, რომელსაც თავად საოცარი განათლება ჰქონდა მიღებული, კარგად ესმოდა, რომ ქვეყნის განვითარება მხოლოდ ახალგაზრდების სასწავლებლად გაშვებით იყო შესაძლებელი. დღეს ძნელი წარმოსადგენია ქართული კულტურა იმ ადამიანების გარეშე, რომლებსაც დავითმა ასწავლა და რომლებმაც თავიანთ სფეროებში ეპოქა შექმნეს და განსაზღვრეს ქვეყნის კულტურული მომავალი.

დავით სარაჯიშვილმა ნიკო ცხვედაძის თავმჯდომარეობით დააარსა კომიტეტი, რომელსაც ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა ევალებოდა. დავითი მათ საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად სტიპენდიას უნიშნავდა. დავითის სტიპენდიანტები იყვნენ: ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, ია კარგარეთელი, გიგო გაბაშვილი, მოსე თოიძე, გრიგოლ მესხი, სოლომონ ჩოლოყაშვილი, არჩილ ქართველიშვილი, ნინო ციციშვილი, კათალიკოსი კალისტრატე ცინცაძე. ასევე ეხმარებოდა უცხოეთში მყოფთ: აკაკი შანიძეს, ვახტანგ კოტეტიშვილს, გერონტი ქიქოძეს, თედო სახოკიას, ნოე ჟორდანიას და სხვებს.

ამ ადამიანების მოღვაწეობის გარეშე დღეს სრულიად წარმოუდგენელია ქართული კულტურა.

## გურიის აჯანყება

1905 წელს გურიაში მიჯრით მოეწყო აჯანყებები. მაშინდელმა მეფისნაცვალმა, ვორონცოვ-დაშკოვმა, გურიაში გააგზავნა ცნობილი სადამსჯელო რაზმი ალიხანოვ-

ავარსკის მეთაურობით. ალიხანოვ-ავარსკის რაზმი ცნობილი იყო თავისი დაუნდობლობით და იმდროინდელი ქართველი მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, დავით სარაჯიშვილი, ნიკო ცხვედაძე შეიყარნენ, რათა რამე მოეფიქრებინათ და აოხრებისგან ეხსნათ გურია. ამასობაში დავით სარაჯიშვილს გაახსენდა, რომ მეფისნაცვალს მისი ძალიან დიდი თანხა ემართა. სარაჯიშვილი მივიდა ვორონცოვ-დაშკოვთან და ალიხანოვ-ავარსკის რაზმი უკან გამოაწვევინა ამ ფულის პატიების სანაცვლოდ.

## **ქაშუეთის ეკლესია**

მეფის რუსეთმა კავკასიაზე სრული გამარჯვების ნიშნად თბილისში, ღუნბის მოედანზე (ეს არის დღევანდელი პარლამენტის ადგილი), ააშენა გრანდიოზული ეკლესია, რუსული სობორო, როგორც კავკასიაზე გამარჯვების ძლევა მოსილი ნიშანი. თავად ღუნბი აული იყო, სადაც 1859 საბოლოოდ დაამარცხეს შამილი, რეგიონში თავისუფლებისათვის მებრძოლი უკანასკნელი გმირი.

ქართველებმა დავით სარაჯიშვილის თაოსნობით გადაწყვიტეს, რომ ამის საპირწონედ აეშენებინათ რაიმე ტაძარი და ასეც მოიქცნენ: დაანგრიეს შედარებით მცირე ტაძარი, რომელიც ქაშუეთის ადგილზე იდგა და კონსტრუქციული პრობლემები ჰქონდა და მის მაგივრად ააშენეს ქაშუეთის ის ეკლესია, რომელიც დღესაც დგას. ერთ-ერთი მთავარი დამფინანსებელი და ორგანიზატორი დავით სარაჯიშვილი იყო. ამის აღსანიშნავად ქაშუეთის კარის ჭედურობაზე ამოტვიფრულია დავითისა და ეკატერინეს ინიციალები.

სამხედრო სობორო მოგვიანებით ლავრენტი ბერიამ დაანგრევინა.

## **ანდერძი**

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში ფორბსის სიები რომ ყოფილიყო, დავით სარაჯიშვილი მასში აუცილებლად მოხვდებოდა, როგორც დიდძალი ქონების პატრონი. მთელი ეს ქონება, მანაც და მისმა მეუღლემაც, ქართველ ხალხს უანდერძეს.

აქ დაწვრილებით იყო გაწერილი, ვის რამდენი უნდა შეხვედროდა, რა ფინანსებით უნდა განეგრძოთ სტუდენტთა დაფინანსება, რომელი ობიექტები უნდა გაყიდულიყო და რისთვის? არ დარჩენილა იმ დროისთვის საქართველოში არსებული მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საზოგადოება თუ ინსტიტუცია, რომელიც მოხსენიებული არ იყო დავით სარაჯიშვილისა და ეკატერინე ფორაქიშვილის ანდერძებში.

## დაკრძალვა და საფლავი

დავით სარაჯიშვილი 1911 წელს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. მისი დაკრძალვა უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახდა თბილისისათვის. სოლოლაკიდან დიდუბემდე ყველა ორას მეტრში იდგა დახლი, რომლიდანაც სიცხეში მიმავალ ადამიანებს გაზიან გამაგრილებელ სასმელს უფასოდ სთავაზობდნენ. ეს მიტროფანე ლალიძე უხდიდა მადლობას დავით სარაჯიშვილს აღმოჩენისთვის, თბილისში ჩამოყვანისა და გაწეული ამაგისთვის. არ დარჩენილა ქალაქში მნიშვნელოვანი პიროვნება, რომელიც არ გამოემშვიდობა მას.

1939 წელს, როდესაც ახალგადავლილი იყო 37-38 წლის რეპრესიები, შეიქმნა „უცხო საფლავთა კომისია“, რომელსაც უნდა დაედგინა, დიდუბის პანთეონში ხომ არ ესვენა ვინმე, ვინც არ იყო კულტურის მუშაკი. მეწარმე და ბიზნესმენი, რაღა თქმა უნდა, ამ სიაში აღმოჩნდა და დაიბარეს ეკატერინეს ძმა, ადამ ფორაქიშვილი და დავითის დისშვილი, ნიკა ტარსაიძე და მოსთხოვეს, 10 დღის ვადაში გადაესვენებინათ მიცვალებულები.

თბილისში ყველას უჭირდა, ხალხი ან დახვრეტილი იყო, ან - გადასახლებული, ამათ კაპიკი არ ებადათ და ეს ორი ადამიანი რომ გადაესვენებინათ, საფლავი გახსნეს, დავითს ხელიდან მოხსნეს ბრილიანტის ბეჭედი და ამ თანხით ხელმეორედ დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე, ხევში.

1995 წელს ქართველმა ხალხმა დავით სარაჯიშვილი და ეკატერინე ფორაქიშვილი ქაშუეთის ეკლესიის ეზოში გადმოასვენა, პატივის ნიშნად და იმ გაწეული ღვაწლის გამო, რომელიც დავითს ქართველი ერის წინაშე მიუძღოდა.

დღეს საფლავის ნაწილი მაღაზიას ეკუთვნის. იქ საეკლესიო ნივთები იყიდება. საფლავთან ხშირად დგანან მანქანები და დავითისა და ეკატერინეს საფლავები ისეა ხოლმე დაფარული, თუ არ იცი, ვერც მიაგნებ.

ვფიქრობ, ამ საფლავების პატივისცემა ჩვენი, მშობლების თაობის სამოქალაქო პასუხისმგებლობაა: უნდა მოიშალოს მაღაზია თუ კიდევ ერთხელ უნდა გადავასვენოთ ეს ღვაწლმოსილი ადამიანები, ჩვენი საზოგადოების გადასაჭრელი პრობლემაა და შვილების თაობას არ უნდა დავუტოვოთ.

## გამოყენებული ლიტერატურისა და რესურსების სია

თომას გორდონი, როგორ გავხდე კარგი მშობელი, მასწვლებელთა ეროვნული განვითარების ცენტრი, 2014წ.

დემოკრატიული ღირებულებების ნაკვალევზე საქართველოში, გამოიცა ფონდ „ღიას საზოგადოება -საქართველოს“ მხარდაჭერით, 2011წ.

[http://unicef.ge/44/mosakhleobis\\_ketildgeobis\\_kvleva/441](http://unicef.ge/44/mosakhleobis_ketildgeobis_kvleva/441)

<http://mastsavlebeli.ge/?p=1689>

[http://phr.ge/home/content?menu\\_id=55&per\\_page=3](http://phr.ge/home/content?menu_id=55&per_page=3)

<http://mastsavlebeli.ge/?p=9865>

<http://mastsavlebeli.ge/?p=18815>

[http://unicef.ge/uploads/CRC\\_child\\_friendly-resized.pdf](http://unicef.ge/uploads/CRC_child_friendly-resized.pdf)